


ლიტერატურული გაზეთი

№23(183) 9 - 22 დეკემბერი 2016

ბათუმის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



ჩანაწერები
პოეზია
პროზა
რეცენზია
დებიუტი
ინტერვიუ

„მა ახლა მიხვდი“

აკაკი წერეთელმა ენა დაუნუნა „მარგალიტების მთესველ“ ვაჟა-ფშაველას (კონკრეტულად: ფშაური კილოს მოჭარბებული გამოყენება უსაყვედურა).

მწუნობარ ლექსში არის ასეთი სტრიქონი: „მე ახლა მიხვდი ყოლიფერს“.

ერთ-ერთი გამოცემის მესვეურებმა იგრძნეს საჯავი უხერხულობა და „უმნიშვნელო“ ტექსტოლოგიური პროცედურა ჩაატარეს: აკაკის ლექსში იმერული „ყოლიფერი“ ლიტერატურული „ყველაფერი“ ჩაანაცვლეს...

ვაჟას, როგორც მისი ქალიშვილი გულქან რაზიკაშვილი იგონებს, დიდად არ უნაღვლია სათაყვანებელი მგოსნის უმკაცრესი შეფასება: ბრალს სდებდა სწორედ იმაში, რითიც თავი ეწონებოდა (ცნობილია ის განსაკუთრებული პატივისცემა, რასაც ვაჟა იჩენდა თავის წინამორბედთა თუ თანადროულ შემოქმედთა მიმართ. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა გალაკტიონის ერთი ჩანაწერი: „...აკაკის არაფერი სწამდა ვაჟა-ფშაველასი და გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტროფებს. სამაგიეროდ, ვაჟა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება...“)

საჩოთარო იმერიზმის ვარაიციული ცალკე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაშიც დასტურდება: „ცოლი ყოვლისფრით პატიოსანი ქალია...“ „ერთი სიტყვით, ყოვლისფრით შემკულია...“ „ყოვლისფერი, მიხრა-მოხრა, ლაპარაკი, ხმა...“ „ძნელია ეს ყოველისფერი, ჩვენო მკითხველო...“

ილია სანიშნურო ქართულით შესრულებულ თავის პუბლიცისტურ წერილებში სწორედ იმ დიალექტურ ფორმას მიმართავს, რომელიც აკაკისთვის, როგორც იმერეთის წარმომადგენლისთვის, უფრო ბუნებრივი და „მისატყველები“ უნდა იყოს (ორიოდე თვალსაჩინო ნიმუში აკაკის კრიტიკულ-პუბლიცისტური ოპუსებიდან: „და, მართლაც, უფულო ანტრეპრენიორი იძულებული გახდება ყოლიფერი აიტანოს...“ „ყოლიფერი დაუთმოს ჭირვეულ არტისტებს“... „გარდასული ყოლიფერი მივიწყებულია...“).

სარეველასავით მოდებული ამ დიალექტური ფორმის ნებით თუ უნებლიე „ლეგიტიმაციის“ კიდევ ერთი შემთხვევა: „... მაგრამ ეს ყოველისფერი გაკვრით არის აქ თქმული“ (ნიკო ნიკოლაძე)...

ვთქვათ პირდაპირ: ყოვლად მიუღებელია თვითნებური ჩარევა და „ჩასწორება“ (თუნდაც უაღრესად კეთილშობილური მოსაზრებით) ისეთი რანგისა და ავტორიტეტის მქონე მწერლის ტექსტებში, როგორც აკაკი წერეთელი გახლდათ. ენისა და ლიტერატურის მიუკერძოებელი მკვლევარი აუცილებლად უნდა აფიქსირებდეს და აძლევდეს შეფასებას ანალოგიურ მოვლენებს...

მართებულად იქცევია ილიას გამომცემლები, უცვლელად რომ ტოვებენ მის „ყოვლისფერს“.

მართებულად მოიქცნენ აკაკის ტომეულების ბოლოდროინდელი გამომცემლებიც, სიტყვა „ყველაფრის“ ავტორგრაფული ფორმა რომ დააბრუნეს მის ლექსში „ვაჟა-ფშაველას“.

ლენვა და „ბერტყვა“

„მოყინულ კალოზე შერიას ლენავდენ...“ ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ ამ ფრაზამ შორს დარჩენილი სიყმარის მზრალი დღეების ეს სადაგი სურათები განმიახლა და გამომიხმო წარსულის უძირო წყვილიდან: ფერგაცრეცილ ცაზე სვენებ-სვენებით ამოსულა სულიერ-უსულთა უმურველად მანუგებელი მზე. ხმელ, გათოშილ ბალახზე თვირთვილი ბზინავს. სამარხილე შარავზაზე დამდგარ გუბებს ღამლამობით ყინულის მჭახე, სიფრიფანა ფენა ფარავს. ალაგ-ალაგ გათიბულ მზვარეში ბალანაშლილი ბერნობა მიმოფანტული. სამეომდგომო სამეშაოების დროულად დამთავრებაში ერთურთის მჯობინობის უინი დაუფლებია გამრჯე, ფეხნაუხრელ სოფელს. ქერი გალენილია და საპურე გოდრებში დაბინავებული. ჯერი სვილის (იგივე ქვავი) დაჟამკრებაზე მიმდგარა. მოსუფთავებული კალოს ცალ მხარეს განყობილ მსხვილ ძელებზე

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

სიპის ბრტყელი ქვება დახრით დაყუდებული. სვილის სერკვიც იქვე, ბზიან სანადლში დგას. მალე მშობლები (ეს საბალლო საქმე არაა!) სერკვს „მოხდიან“, ე.ი. ნვიმა-წყლისგან დამცავ ჩაჩს გადააცლიან და მძიმე-მძიმედ შეუდგებიან „ბერტყვას“. სიპზე დაშვებულ ძნას სალი, მოგრო მარცვალი სცვივა და ძირს გროვდება, ხვადდება... კალოზე ჩაშლილი ქერი, როგორც წესი, ცხენებისა და ხარების ფეხით იღვნება, ხოლო სვილი — სიპზე „ბერტყვა“ კაცის ხელით...

ქერ-სვილის ლურჯი ყანები ნიავზე რომ ილასტებოდა, ეს თაკარა ზაფხულში იყო. ახლა ატრეცილი, გამიზებული სთველია და სიცოცხლის ჭქნობის მელანქოლიური მელიოდა რეკვიემით ეფინება გაყვითლებულ მთა-ბარს...

გული გიკვდება: სისხლსავსე სოფლური ყოფის ისეთი სახიერი შტრიხებია ნაშლილი და სამუდამოდ დავიწყებული, ინტერნეტ-სივრცეში ანდა წიგნებში-ლა რომ მიაგნებენ და ამოიკითხავენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები...

გრილი დილა. სვილის სერკვი „მბერტყავებს“ ელოდება.

სოფლის კარიკურთ მოყვანილი პურეულისგან მწარე (თანაც წარმოუდგენლად ტკბილი!) წინნაქარი და სვიანი სადღეობო ლუდი მზადდება!..

არა ურავატრიოტული

„და ამ პატარა მინის ნაგლეჯზე შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი“. ოთარ ჭილაძე

თეზამში სრული სიმარტოვისა და შინაარსიანი ყოფითი სიმარტოვისთვის ხელსაყრელი ისეთი მყარი, შუმი სიმყუდროვეა, ქვეყნიერების არცერთ გრძელსა და განედში, კუთხეში, სოფელში, აულსა თუ ხუტორში რომ არ გვევლება!

ეს-ესაა მზე ჩავიდა, ჩაეფარა დასავლეთის ფერნაცვალ, მიშემოდგომებულ მთებს. დამშვიდდა, დამოშინდა ნასიცი, უწყლობით დამაშრული მინა. მორღვეული ღობის შიგნით აღმართულ იფნის ორ ბებერ, უზარმაზარ ხეს სასალამოე რინდი შეჰპარვია. ჩაყურებულან ღელის გასწვრივ ჩარიგებული ნახევრად ველური ხეილები...

ცურსავსე, ეფვანებმულმა (ხმირტყიანებში რომ ადვილად მიაგნოს პატრონმა) ფურებმა ფიჩხის ღანამტვრევით გამოჩქიფეს თეზმურას ჭყანტიანი ტოტი და აღმართ ორღობეში მიეფარნენ თვალს.

ღამე ღონეს იკრებს. თანდათანობით ღრმავდება და ღვინდება. ხეთა კენეროებში სავსე, პირბადრი მთვარე მოგორავს; ცათა უსასრულობიდან დამზერს ტყიან სერებს და დროდადრო გახამებული ღრუბლის თხელი, თეთრი ლეჩაქით იმაღავს ჭორფლიან სახეს...

გაღმა უბანში (გამოღმელები გამოჯავრებით „ჯუნგლებს“ რომ ეძახიან) ღამის უჩინარი ფრინველი მოთქვამს. რა ჰქვია ამ ფრთოსანს, არ იცი. ზარნაშო? მიკიოტი? — ოჰოჰო! — გამოგძახის და თავის „დამიფრულ“ კილოკავში მთელი ცისქვეშეთის ბალამს, დარდას და სატკივარს იტევს. რა აწუხებს, რა აღონებს, — რატომ ვერ ჩუმდება და წყნარდება, მიდი და გაიგე!..

ამნამს აქაურობა გეთავისება, მოგნონს, გეტკობა, გესაკუთრება და გგონია, რომ ესაა „სამყაროს ჭიპი“. მაგრამ ვაგონდება იდილიის ის ნარუვალი ნამებიც, გასულ ზაფხულს „ზეთაზე“, ქვიშხეთში, ნიკორწმინდის ცაცხვებიან ეზოში, მარტვილის კანიონებსა თუ ხობის მონასტრის შემოგარენში რომ განიცადე და წარმოდგენა გეცვლება, გისხვარიგდება...

მართლაც: „საქართველოო, ღამა-ხო!“

ნიგნი დღეს, ნიგნი — ასწაულებს მირა

„პირველი სიმდიდრე ნიგნთა მოძღვრებაა არს. ღმერთთან მზე და მთვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა,

ხოლო ნიგნი — სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგვმადლნა“.

ვაგა ასწაულები და მარადისობის კონტექსტში, აბსტრაქციის სფეროსა და განზომილებაში დავით ჯიბისძის — XI საუკუნის ნაკლებცნობილი ქართველი მოღვაწის — ამ დამაფიქრებელ სიტყვებს ჭეშმარიტების „შარმი“ თუ შარავანდედი არ მოაკლდება, თუმცა ერთი ხდომილების, ერთი სამწუხარო „ნახტომის“ პერსპექტივაც არ უნდა გამოვრიცხოთ: შესაძლოა ზეკომპიუტერული ეპოქების მკვიდრთათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელიც კი აღმოჩნდეს კაცთა ცხოვრებაში ნიგნების ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ ყოველი ამდგვარი რიტორიკა.

მზისა და მთვარის დანიშნულების პრაგმატულ შინაარსთან შედარებით ნიგნი ხომ კარგად გამოცდილი ის უსასრულო გზაა, ღვთიური სიბრძნისა და სულიერი სრულქმნის ტაძრისკენ რომ მიჰყავს ადამიანი!.. ხოლო არცთუ მთლად უსაფუძვლო პროგნოზის აცხადება და განამდივლება, შეიძლება ითქვას, დასაბამი იქნება დიდების მწვერვალთან კაცობრიობის „თავ-თავქვე“ (ვაჟა) თანდათანობით სვლის დამლუბველი, შეუქცევადი პროცესისა...

ახმატური ნოვაციონი

პანკისის ხეობის მხრიდან ახმეტაში რომ შეხვალ, ორმხრივ მოძრაობას შორის მოქცეულ მტკავლისტოლა წრეხაში აღმართულ რკინის მომრგვალებულ კონსტრუქციას დაინახავ, „დამშვენებულს“ შემდეგი წარწერით: „პანევეჟისის მოედანი“.

იქვე, ორ ნაბიჯში, ბახტრიონის დასახვევში დგას სავაჭრო დანიშნულების „ინოვაციური“ შენობა, რომლის ფასადს დიდი ასობით აწერია: „საფშავლო ხაჭოერბო“...

დაინტერესებულმა პირმა, თუკი არ დაიზარებს და რაიონული ცენტრის შუაგულისკენ გადაინაცვლებს, შეიძლება ამგვარი წარწერაც აღმოაჩინოს: „დათვი ხეზე როგორ ვაგა, იავნანიანო“...

კონკრეტული ეპოქისა თუ სახელდებითი დასახლების (ასევე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის) კულტურული დონე, ინტელექტი და გონსანიერი საოცარი სიტყვადი იკითხება ხოლმე ერთურთის სიახლოვეს განთავსებულ ანალოგიურ წარწერებში!..

საბა სტუდენტური

ანდრო ბუაჩიძის ვრცელი წერილი შერმადინ ქალდანზე. უფრო სწორად: რეკვიემი-გახსენება. არცერთი უადგილო, უფუნქციო, ყურით „მოთრეული“ სიტყვა. აზრის ბუნებრივი მდინარეა. სანიშნურო სისადავე და სევდა — ღრმა, უსასრულო, მოურჩენელი!..



შერმადინ ქალდან

ქარავანი, რომელიც მუდმივად, გაბმით, დღე და ღამ მოძრაობს, იცვლის „დისლოკაციის“ ადგილს, გადაადგილდება; ქარავანი, ნაღდ შემოქმედთ, პოეტური სულით ანთებულთა ც რომ მიითვლის და შემთხვევით მათ მარაქაში მოხვედრილ გრაფომანებსაც (კითხვისას უდაბნოს ალუზიაც უნებურად იზადება, უდაბნოს, რომელიც სიმბოლოა უწყლობისა, უწყაოფობისა, ბერნი სიცოცხლისა)...

შერმადინ ქალდან — გამორჩეული ხმის, ხედვისა და ხელწერის პოეტი, არაორდინარული პიროვნება, ბოჰემური პერსონა; ტიპი, გარეგნობით გულზე მიხაკმიბნეულ ტიციან ტაბიქსაც რომ ამსგავსებდნენ (და არცთუ უსაფუძვლოდ) მისი მეგობრები და თანამეინახენი...

ანდრო ბუაჩიძის წერილი-გახსენება: სიტყვების აღმავალ დღეთა პულსაციის ზუსტი დეტალები, სტუდენტურ ურთიერთობათა დაუიწყარი ნიუანსები, სახინკლებების ობიექტი და ქაფქაფა ლუდი, ფსიქოლოგიურად უტყუარი სახასიათო შტრიხები. და ეს ყოველივე: ნაწვენები ტკბილ-მწარე დროუჟამის ერთიან კონტექსტში...

ასე რომ წერო, უნდა გტკიოდეს, სული სუფთა უნდა გქონდეს. სხვანაირად მეგობრის მეტყველ პორტრეტს ვერ ჩამოძერწავ, ვერ ჩამოაქანდაკებ: ნანერს სიყალბის ნაკვალევი თეთრ ფურცელზე ნესტისგან გაჩენილ ყვითელ ლაქსავით დააჩნდება... ქარავანი — უძრაობას, დამდორებას, დაყოვნებასა და ერთ ადგილზე დასაყდრებას სიკვდილი რომ ურჩევია!..

ხანდახან მეც იმ მბორგავი ქარავნის წვერი თუ ნაწილი გახლდით. ამიტომაც ბევრი რამ მეცნო და მენიშნა ანდრო ბუაჩიძის ამ თბილ, ემოციურ ოპუსში...

მთაზე გადაავალი შუქი

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სოსიკო მერკვილაძისეულ ჩანაწერში (მთხრობელი ჯოყოლა არაბული, სოფ. ჩირდლი, თიანეთის მაზრა; „აკაკის კრებულები“, 1897, N3) ავთანდილს დევი (დიახ, დევი!) უამბობს ხელქმნილი ტარიელის შესახებ: „ერთმა პირქუშმა მოყმემა ცხენ-ხეთქით ჩამომიარა... ღმინი ქმნა, კბილი გამოჩნდა, მთას შუქმა გადაიარა...“

იმავე საუკუნის დამლევეს თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავეში მოპოვებული უმშვენიერესი ხალხური ლექსი: „მათურის ძირას ნისქვილნი მარლის გულებს სცრიანო, შიგ ქალნი სხედან ღამაზნი, ვაჟკაცის გულსა ჰგლიანო, წამოვლენ, ხელ-პირს იბანენ, შუქნი მთათ გადადიანო“...

რომელია უწინარესი, რუსთაველის პოემის კოლორიტული ფრაგმენტის ხვესურული ვერსია თუ ფშაური წარმომავლობის საქალაქო პოეტური ქმნილება? ორ ავტორ-მთქმელთაგან რომელმა იხილა პირველმა „მთაზე გადავლილი შუქი?“ იხილა და მოხდენილ ტროპულ სახედ ჩამოქნა ტრივიალური ცხოვრებისეული ამბავი...

ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, აშკარაა გავლენისა თუ ფოლკლორული „სესხების“ კვალ; ისიც აშკარაა, როგორ, რა დოზით და ხარისხით შეიძლება გაისისხლობროცოს წინა თაობების სახელოვან მელექსეთა სვრელში ჩამდგარმა ახალბედა მელექსემ სახეობრივი აზროვნების კონკრეტული ნიმუში და თავისი „ნათქვამის“ საყრდენ ღერძად აქციოს ისინი... აქციოს და, გამომდინარე ზეპირსიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკიდან, არანაირ უხერხულობას არ გრძნობდეს წინამორბედ მესიტყვეთა პოეტურ კარმიდამოში დაუკითხავად „შეპარვის“ გამო!

ნიკორი

ხევიდან ჯუთისკენ ქვეყნით მიმავალ შექვიფიანებულ ცხენოსნებს შუა გზაზე შემოალამდათ. „ჯაჯთალამში“, ნადარბაზვეს ზემოთ, ორი ნაბორძიკებული ცხენმხედარი ერთურთს შეეჯახა. სამარხილე გზიდან გადავარდნილმა ჩვენმა ნიკორმა გრძელ წელისპირა ჭალაში დალია სული. საბედისწერო წამს ცხენიდან გადმოხტომა მოასწრო და უფნებლად გადაარჩა ბიძაჩემი — გიგიტათ ნათელისძე...

ვიქნებოდით, ასე, ოთხი-ხუთი წლისა...
 სისხამზე შინიდან გარეთ გამოსულმა (არ მაინცყდება, როგორი ნეტარი, სამოთხისსადარი უხარვეზო დილა იდგა!) ბანზე დაინახე ქვადორიანი ფერდობზე ხეთქებისგან გვარიანად შეღავილი უნაგირი — მინით მოსვრილი ყაჯრითა და თოქალთოთი, მოქნილი ტყავის სამკერდულ-საძუეთი და მოსართავებით, ალვით, სევადიანი ვერცხლის ულამაზესი სამკაულებით.

იდო უძრავად, როგორც უტყვი და, ამასთან, უტყვიური დასტური ნუხანდელი ტრაგედისა...

ალარსად ჩანდა ჩემი უსაყვარლესი ნიკორი — კობტა, ტანფეხ დაკვალთული, ჭკვიანი, პატრონის გუნება-განწყობის უმცდომოდ შემცნობი მგრძობიარე ცხენი...

ზაფხულის გრილ, მშვიდ, უავდრო დილას სიცოცხლის მარადიულობის მაუნყებელ საგალობლად ეფინა უსუფთავეს სივრცეში ლალად მოსრიად მერცხლებსა და ბუდეებს შეყუყუილი მათი უმწეო ბარტყების დაუსრულებელი ჭიკჭიკი...

და ბიძაშვილის გაუფრთხილებლობის გამო გულმოსული მამაჩემის დანახვაზე დედის მშვიდი, დამზავებული რეაქცია: — რაილ ეშველებს, ვედარცაით გავაცოცხლებთ, ეგი, რაიც ას!...

ჯერ კიდევ როდის...

არსებობს ზღვარი, ზღურბლი, მთიელთა წეს-რჯულის ტერმინოლოგიით — „სამრისხველო სამანი“, რომლის დამლახავისა და დამრღვევის მიმართ მიმტყვევლობისა თუ ტოლერანტობის ნებისმიერი გამოვლინება სიბრძნისა და უთავმოყვარეობის, ანტიეროვნული კანონებისადმი მონური მორჩილებისა და დანაშაულებრივი დუმილის დასტურად აღიქმება...

გრიგოლ ორბელიანი სწერს სოფიოს — ყაფლან ორბელიანის მეუღლეს: „... ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლენ პოლოზოვები, აბოვიანცები! ფიტარეთი! ჩვენის მამა-პაპების სასაფლავო უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელ დღეთა ჩემნარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის“ (ი. მეუნარგია, თხზ., I, თბ., 2010, გვ. 169).

სისხლიანი კავკასიური საგის მონანი ილე რომანტიკოსი პოეტი-გენერალი „საფლავს სიმნარით რომ ჩადიოდა“, ამ ფაქტში, ასაკისმიერ უიმედობასთან და ერთგულ სატივიართან („დადამხო ჩემი სამშობლო...“) ერთად, ეჭვი არაა, ლომის ნილი ედო შეღავილი საგვარეულო საძვალისა და შეურაცხყოფილი ფიტარეთის (და, ალბათ, კუმისის წმინდა სამების ეკლესიისა) სავალალო, გულისგამხეთქ სანახაობებს...

ბერიკაპი

გასულ ზამთარს გომბორის უღელტეხილით რამდენჯერმე მომინია აღვანებში ჩასვლა: მისულფერებული სნეულები, პანაშეიდები, ხარჯები და გასვენებები... კარგა და საამოს ხომ იშვიათად გაიგონებს კაცის ყური!..

გომბორის მხარეს, აქეთა ფერდობის გზაზე, ტერფამდე თოვლსა და ასე თუ ისე გასადლის ყინვაში ბერიკების დანახვამ რადიკალიზაციას გამოიწვია და გუნება გამომოიკეთა. გავსაუბრე და არც შესაწავარი დამნაშავეა.

რამდენიმე ჯანიანი ჯეილი და ორი მოფაფალებული კაცი ატარებდა რიტუალს, რომელიც ათასწლეულებს ითვლის და მრავალმხრივ ინტერესს აღძრავს როგორც რიგით მაყურებლებში, ასევე თეატრალური ხელოვნების ხალხური საწყისების საკითხებზე მომუშავე კვალიფიციურ მკვლევარებში.

ცხვრის ტყავის გაქუცულ ქურქებში, ნაბდის ქუდებში, გამურულ ნიღბებსა და მამაპაპურ ქალამენტში გამოხიბილი მესახიობენი დოლ-გარმონის თანხლებით ასრულებდნენ უხსოვარ წინაპართა მიერ შემუშავებულ უძველეს წეს-ჩვეულებას...

შემდეგ ჯერზეც, ასე, ორ-სამ კვირაში, იგივე რომ განმეორდა, არკეთილად მენიშნა, აღარ მესიამოვნა და უბრადა აუფარე გვერდი უშნოდ მობარბაცე, ფეხარეულ

„მელოდარებს“.
 მესამედაც(სიდედრის გარდაცვალების გამო კვლავ კახეთისკენ პირნაქცევი) ისევე იქ, იმავე ადგილას რომ ვიხილე მოწყალეების მომლოდინე „გმირები“, სვლა შევანელებ, მანქანის მინა ჩაწვინე და უსაყვედურე, რომ უკვე სამარცხვინო იყო, რასაც ისინი აკეთებდნენ.

— რატომ? აბა, გააჩერე! — გამომეკიდა ერთი... რა აზრი ჰქონდა საუბარს ადამიანებთან, ვისაც შემოსავლის (თუნდაც მიზეზების) უწყვეტ წყაროდ უქცევია არქაული პლასტებით ესოდენ მდიდარი ეთნოკულტურული ფასეულობა...

ორთვიანი ბერიკაობა, თანაც ყოველდღიურ რეჟიმში, მე არ მსმენია (მოხეური გაგებით რომ ვთქვათ, მართლა ბერიკები!)...

საკითხავია, რა მაგალითს, ტრადიციასა და გზა-კვალს უტოლებენ ისინი თავიანთ შთამომავლობას.

მსგავს ცხოვრებისეულ ამბებს სწავლულთა ენაზე „პროფანაცია“ (იდეის, მოვლენის და ა.შ. შეღავლა, შეურაცხყოფა, დამახინჯება) ჰქვია.

„როგორც მთა ჩამოთოილი“

თვითირონიის სანუკვარი ნიჭით გახლდათ გამორჩეული ბატარკაც ბექაური, წარმოშობით გუდამაყრელი მელექსე, მცხოვრები კასპის რაიონის სოფელ გარგალში. არც ფილოსოფიური ლირიკისთვის დამახასიათებელი ტრაგიკული ტონალობა ყოფილა უცხო მისი პოეზიისთვის („შამაშპარა სიბერე, მამხარა კირკალივითა, ცალას თოლას-ლა ვაბუტებ მიზიდულ ცისკარივითა...“), მაგრამ, ყველაფერს მაინც იმ ლექსმა ნააჭარბა, რომელშიც ლიტაო ჯოხივით გალოკილი ავტორის „სანატრელი“ ყოფა-ცხოვრებაა ასახული: „ბატარკაცი ვარ გარგალელი, დამიდის ჭუკის ბოინი, სუ ვავადოვე ყანები, მეზობლებს ყუყავ ოინი, სამას-ოთხას ფრთას გავზრდიდი, რო არ მიხოცდეს ყოილი...ცოლიც ლამაზი ქალი მყავ, ხორხიდან გამოთხოილი, ისეთი ლამაზი არის, როგორც მთა ჩამოთოილი...“

ქალის სილამაზის შედარება „ჩამოთოილ მთასთან“ (სინამდვილეში, შავი და შეუხედავი პირისახის ცოლი ჰყოლია ბატარკაცს!) რაღაცით შორდება ფოლკლორის პოეტიკის კანონიკურ საზღვრებს. ეს ისეთი ხატია, თან თვალს რომ გჭრის და თანაც ჯადოსნური ძალით გიპყრობს, გიზიდავს. უჩვეულოდ ჩვეულებრივი მხატვრული შედარება სიტობსაც გულისხმობს და სიცივისაც, ჩამოთეთებული მთიდან რომ მოდის და მოიღვრება. და ამ „დამხაცვლ“ სახილველთან გაიგივებული უბრალო ხორხელი (სხვათა შორის, ხორხი ვაჟას მეორე ცოლის თამარ დიდებულის მშობლიური სოფელია) ქალის „სილამაზე!“

და ბოლო, ლექსის დამატარებელი სტრიქონი სხვა საფიქრალსაც აჩენს: ხაზგასმული მხატვრული სახე არათუ ლექსიკის, ასო-ნიშანთა დონეზე ემთხვევა ტაქსს, თავდაპირველად, ჟურნალ „პრომეთეში“ (1918) დაბეჭდილ ვაჟა-ფშაველას უთარილო ლექსში — „ბუნების გლოვა“ — რომ გვგვხვდება: „ნისლისგან ნაცრემლ მღვლოზედ ამოიხეთქას ყოილი, ტურფა, სხვადასხვა ფერისა, ჯადოსნურად ქსოვილი, შორით კი მოსჩანს თეთრად, როგორც მთა ჩამოთოილი“...

ვაჟას და ბატარკაც ბექაურის პოეტურ ნიმუშთა სათქმელი და თემატიკა სრულიად სხვადასხვაა, პოლარულად საპირისპიროც კი, რაც ნაწილობრივ მაინც გამორიცხავს ცალმხრივი „გადამღერებისა“ და ეპიგონობის საუხერხულო ფაქტის დაშვების შესაძლებლობას...

ვაჟა-ფშაველას „ბუნების გლოვის“ კიდევ ორ სტრიქონს („რომ სახელს ვერ ჰკლავს გმირისას“ და „სჯობია მოკვდეს სიკვდილი“) ეძებნება საინტერესო სახელოვე და პარალელები ხალხური პოეზიის შედარებით გვიანდელ ნიმუშებში, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა...

ბევრ ამგვარ საიდუმლოს ინახავს „ინტელიგენტური მწერლობითი პოეზიისა“ (ვაჟა) და ზეპირსიტყვიერების შემოქმედებითი ურთიერთმიმართება, რაც, ბუნებრივია, არა ასეთ ზედაპირულ მინიშნებას, სერიოზულ, საგულდაგულო, ჩაძირისძირებულ დაკვირვებასა და კვლევას საჭიროებს.

პირანისი ხეობაში ჩვენაშურაბი

„მე ჯორზე გადაკიდული ხურჯინის ერთ-ერთ თვალში ვიჯექი. მეორეში ჩემი ძმა იჯდა. დაზაფრული ვიყავი, რადგან ჩემ ქვემოთ სიცარიელე იყო...“

თითქოს თუშეთში ხარ, დაბებკილი ბილიკით ალაზნის დინების საპირისპირო მიმართულებით მიიჩქარი, მოულოდნელად ნესტიანი კლდის წინააღმდეგ მუხლთან ჩერდები, ორიოდ მოკლე ნაბიჯით ზემოთკენ ინაცვლებ, ჩამონაფხვრებულ ფერდობზე ფეხის მოსაკიდს ეძებ, წონასწორობას ინარჩუნებ და ღიმილით ესალმები ცხენოსან კაც-დიაცებსა და უმოძრაობით დაბუქებულ ბალებს, ჭრელი ხურჯინის თვლებიდან რომ ამოუყვიათ თმაგანწილი თავები...

„სოფელში ექიმი არ გყავდა, მამა კი ყველა ბალახს იცნობდა...ტრადიციული მედიცინა ყველა ხეობაში მოქმედებდა და არა მარტო ჩვენსაში...“

ეს საფარმაცევტო პასაჟი ჩვენი მთიანეთისკენ მიგაქცევინებს თვალ-ყურს, გაგიცოცხლებს ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს, როცა საექთნო თუ საფერშლო პუნქტებიც იშვიათობას წარმოადგენდა და ბანიანი, ლასტის ღნიოში ღობით განწვალული სახლების წინკარისა თუ დერეფნის უმზეურ ბოძებზე გამოსაშრობად ეკიდა პიტინისა და ქონდრის, თავშავასა და ცხრაძარღვას, კვლისა და ვირისტერფას, ჟოლოსა და მოცვის, ძახველისა და გვირილის, ცირცლისა და მოცხარის, კრაზანისა და ჩაღანდრის მსხვილი, ბარაქიანი კონები...

„შინ მხოლოდ ადგილობრივი კილოკავით უნდა გველაპარაკა...“

ჩვენი კილოკავის დაკარგვა თვითგამოხატვის საშუალებისა და ტრადიციის დაკარგვაზე მეტია. ეს ეთიკის დაკარგვაა...

არათუ ერთმანეთთან, ოჯახურ და შინადასოფლურ გარემოში, „ქალაქელ“ სტუმართანაც თავთავიანთ დიალექტსა და კოლოკავზე ლაპარაკობდნენ ფშავსა და ხევსურეთში, ხევსა და თუშეთში, მთიულეთსა და გუდამაყარში...ძველთუძველესი ტრადიციების სიმტკიცეს, სიჯანსაღესა და გამძლეობას ადგილობრივი მეტყველების შემუშვრეველი ნაკადიც კვებავდა. შესაბამისად, შეურყენელი და შეურყეველი იყო ეთიკაც...

გლებები „დილასისხამზე დგებიან მთის ფერდობების გასაიბადა...“

ცისპირი იძვროდა თუ არა, მთელი სოფლის მამაკაცობა მზად იყო „მთაში“ („სახენცლებსა“ და საცხვრე იალალებს შორის მდებარე ბალახთან ფერდობებზე) ნასასვლელად. ცა ნითილად ინვოდა თუ ნემიდა, სულერთი იყო, შინ არეინ რჩებოდა. წინა ნუხრას გამზადებულ სასაგზლე გუდებს აიკიდებდნენ, გრდემლ-კვერს და სალეს ტყავის აბგაში ჩაალაგებდნენ, ცელს მხარზე გაიდებდნენ და ძალებების ყველა-ღავდავით ძილგამკრთალ სოფლის სანახებს ჩქარი ნაბიჯებით მოიტოვებდნენ უკან... და დაბინდებამდე ელავდნენ მთაში მჭრელი, წყლისფერი, მარჯვედ განყობილი ირანული ცელები...

„კენწოვან ხილს ვავროვებდით, დღეში ათ კილომდე ველურ ჟოლოსა და ნითელ მოცვს ვკრეფდით...“

ეს იყო ზაფხულის არდადეგების მიწურულის უტკბესი რიტუალი, რომელიც დღესაც გრძელდება და შემოდგომის ისედაც მწიფე, მზიან დღეებს გარეული ხილის განუმეორებელი სურნელითა და არომატით ავსებს... ფხისა და ტყისგვერდის დეკიან ფერდობებს შესეულ ყმანვილებს დიდ რამედ გვიჩნდა მოცვის წვენი მელნისფრად შეღებილი ტურები, ხელები და ერთმანეთს ალბიური ზონის უგემრიელესი ნაყოფით ქილების ავსებაში ვეჯებოდით. ქვიშიან ჭალებსა თუ ღარტაფებში მოკრეფილი ჟოლოთი გაცამცემულ სანყლე ვედროებს თავმოშონედ მივიქნევდით ხოლმე სოფლისკენ მიმავალ მტვირან შარავზაზე. შედეგადად შრომით კმაყოფილები ვერც დაღლას ვგრძობდით და ვერც შიმშილს... დიდრონ ქვაბებში შაქრანად წამოდულებული კენკრა მალე ზღაპრულ მურაბად იქცეოდა და საკუჭნაოში ინახებოდა ზამთრის თეთრი დღე-ღამეების გასაფერადებლად, გაციებისა და ათასგვარი ტკივილის საშველად და სამკურნალოდ.

„შუა მაისისთვის სოფელი ცარიელდებოდა. ყველა საძოვარზე ადიოდა თვე-ნახევრით ან ორი თვით...“



სათბობი

მთიან აჭარაში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, ფშავში, თუშეთსა და გუდამაყარში მომთაბარეობის წლიური ციკლი დღემდე არსებობს. მინიდან სიმწვანე რომ ამოიხედავს და ლეგა ხეობები სიცოცხლის ელფერს დაიდებენ, ძირითადი სამოსახლოებიდან მწვერვალების სიახლოვეს მდებარე იალალებზე მიდიან მეძროხე ქალები, მეცხვარეები და ნანველ-ნადღვეების ღალითა და ბარაქით გვიან შემოდგომაზე ბრუნდებიან ოჯახებში.

„ჩხირებითაც ქსოვნი ყოველ შესაძლებელ მომენტში: სიარულის დროს, ძროხების მოვლისას, საღამოსანს...“

მხედველობით მესხიერებაში მკვეთრი კონტრუბით იღვიძებს თენგიზ მირზაშვილის ერთი ადრინდელი ფერწერული ტილო: თუშეთი. ქარაგოზმოკიდებული ფიქლით გადახურული ჟანგისფერი სახლები. ციხის ნაშალი. სისხამ დილით ხაგირში თავმოყრილი ტანთხელი ქალები, რომელთაც ეს-ესა ნამნისლიან საძოვარზე გაუღენიათ მენველი ფურები. დრო უქმად რომ არ დაკარგონ, წინდების ქოვით დგანან მწვანე მინდორში და წინა დღეების ჭორ-მართლის მოყოლით ართობენ და ამხიარულებენ ერთმანეთს...

პირწმინდად ქართული ყოფის რეალიზებად რომ თვლიდი ნაცრისფერი ქვამარლის ნაყვას, საბძლის ჭერში დაკიდებულ ფიცარზე ყველის დალაგებას, ნაღვერ-დალში მთელ-მთელი კარტოფილის შეწვას, დამუშავებულ რძეს — „სიჭაბუკის ელექსირს“, ცხვრის ნეკების შესანახად ჩამოშრობას, თურმე მთლად ასეც არ ყოფილა! ყოველივე ამის და, რაც ზემოც-იტირებულ ფრაგმენტებშია ნათქვამი, იმის შესახებაც, ნიგნში „ღიმილის მტკერი“ მოგვითხრობს მარი მეტრაიე, ფრანგული შვეიცარიის ჰერენის ხეობაში(ყველაზე არქაული კილოკავის ცოცხალ საცავში) მცხოვრები გლეხის ქალი, ვინც „ქსოვის ხელობას კვლავ დაუბრუნა თავისი უტილიტარული მიზნები. მან ქსოვა ერთ-დროულად აქცია ხელოვნებად და პურის ფულის მომჭან საშუალებად...“

უხეში გლეხური ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით, ლეგენდებით, საშუაოდ დღის განწესით, ქალთა უფლებებო მდგომარეობით, დარგობრივი ღვათებებითა და სიკვდილით თურმე რა საოცრად ჰგვანებია ერთმანეთს საფრანგეთის მთიანეთი და ქართველ მთიელთა საარსებო სივრცე!..

„ღიმილის მტკერის“ დათო აკრიანისეული თარგმანი, შესრულებული, თუ არ ცვდები, უკანაფშავში, სახედობორ, მათურის მთებში, სადაც ის ზაფხულობით ადის და თევობით იქ რჩება, შხაპუნა წვიმასავით დაუკითხავად მოსული იმ მღელვარე განცდით გავსებს, რასაც სიყმანვილის წლებების წმინდა ნიაღში დაბრუნება ჰქვია...

P.S. თავფურცელს მარი მეტრაიეს წიგნის იმ ეგზემპლარისა, რომელიც მარამ ნიკლაურმა უსახსოვრა ეთერ თათარაიძეს, ანერია: „ეთერი. ეს ჩემი სამაგიდო წიგნია და არაღცით გულქანის მონათხრობს ჰგავს. მიხარია, რომ ამდენი საერთო აქვთ მაღლიან ადამიანებს დედამინაზე.“



ავტორის ფოტოები

სამაღლოკალი გამჩინს

ვილამ შექლოს დახევა, უკან, უფრო მეტი,
სამუდამო ვიდრემდის დამესხმება რეტი,
მნადს მოვასწრო რამდენი რაა განსაჭვრეტი.

მოსაქცევად შავ ჩიხში, დამიხშავდი რა კარს,
ქვესკნელშივე მიმცემდი — ძილს, ქვასავით მაგარს,
საგალობელს, საგლოვი შემიცვლიდა საგა.

ჯმუხი ფოთლებშრილა, მუხა ხარობს რკოთი,
ყლორტად არ დარჩენილა უკდავების ტოტი,
ითქმებოდა რა ოდა, რომ არ შემწეოდი.

ჩაიღვარა ნათელი, ვინ მომდებდა აღვირს,
ვერ-რა დააკავებდა ზრახვას იმ ჩასახვის —
რა შექლო მეხს, გამხევეს ან წამახულ მახვილს?!

რალას მივბრუნებოდი, გაცდენილი ჯებირს,
მზისგან გამონურული, არ გამწირე შხეფი,
ვცახცახებდი, ამელო — ციხე, ასალები.

რა ღვართქაფი წამშლიდა, სიცოცხლეზე შეშლილს,
ვიქნებოდი აღარსად, მაშინ რომ არ გეშვი,
შიშველს, თვალგაუხელებლს, შემაშველე პეშვი.

გამიმაგრდა გრანტიტან შესახლები მუხლი
და განეცა, მხარ-ბეჭით, შევძელ რკინის უღლის.

ღამეები ღმუოდნენ ჯოჯოხეთის ფარდი,
არ მეგონა თუ ამდენ ჯურღმულს გავიარდი.

ტარო ვიყავ სიმინდის, გული შენ ჩამიდგი,
უებროვ, შენს საქებრად, ოფლის დამდის ხვითქი.

მცირე თხოვნაც მექნება, მომისმინე ბარემ,
ღრუბლის მიხმობს ფრიალი, მე, უცნაურ ნარევს,
ყვავილთა და ნარ-ეკლის, შხამსაც დავლეე მწარეს,
ამარიდე, რამეფრად — საფლავს, ბნელ სამარეს.


ჯვარცმას მოგავს — შეცვალოს ალისფერი რუხმა,
ცალკე რჩება საუნჯე, გაბნეული უხვად,
თქმაც არ უნდა, დაყვინთავს, აღმართს ვინ დაუყვა.

აღსარება დაარქვი, გინდა, ანგარიში,
მიშვებულს ჩემს ნებაზე, რახან ერთხელ ვიშვი,
ფერფლად ქცევის, გაქრობის — აღარა მაქვს შიში.

მკერდის, შეუღენავის, მზის სხივებით დაწვანა...
ფერი არ უხუნდება, სახუნდარში, ნაძვნარს,
დაიქადნონ, აქედან, შენ ვერარამ დაგძრას.

დაშენებული სართულის ბინადარი

ბებერს, მარტოკას, დამჩერებია
ჭირგამოვლილი ასი წლის ჭერი,
გაუტოკები. ბოლქვებს, მდოგვისფერს,
ბზარები გარდი-გარდმო სერავენ,
მოხაზულობა მანცვიფრებს მათი;
იმადვე ჩათვლი, ისურვებ რადაც —
კაცის თავ-ფეხად, ხედ, ქვად, ცხოველად...
ეს გადაღბნილი ჟანგი, თავსხმების
გახლავთ ნიშანი. წვიმა უვლიდა,
გადახდილს, ქარისაგან, სახურავს,
დასცხო, ჩაზნიქა თქემბა ბათქაში...
ღვარცოფს, მოვარდნილს, რას გაუძლებდა
თაბაშირის და გაჯის ნაზავი.
შარშან ახალი, თეთრი თუნუქი
გადააჭედეს, ვერ ატანს წვეთიც,
ლაპლაპებს, მზეზე კრიალი გააქვს.
რად მიინდა მოგონება რისიმე,
რასაც ვუყურებ, გვერდები იმას...
ძლივს ვარჩევ, კუთხის წაშლილა ფრესკა,
მომარჯვებული, შევიცან შუბი,
მხედარი არ ჩანს, თუმცა ცხადია —
განგმირულია, წვიმაშივეა
წარღვნის ურჩხული, ჩამხრჩვავი შავად.
ქება არ მითქვამს, ეს დახვეული
მშრალი ლაქები, ადრინდელია,
ჩახრიალებულ, შეწყვეტილ წვიმის
დანატოვარი, ნახლართი... მართობს.
საკმარისია მცირედი ბიძგი,
ავენთო, ალი მომედოს ტანზე,
სხივის უმაღეს გავიტყორცნები,
გადამლახავი ცხრა ზღვის და ცხრა მთის,
ქვეყანას გადმოვხედავ ზემოდან,
ცხადია, რადაც ვიქცევი ბოლოს...
მძლე, უძლეველი. ძვლებს მამტვრევს ფინი —
ჯვარედინი და ლურსმნებდაკრული.
ტკეჩი რომ იჭერს გამხმარი ფიჭვის,
ასხივებული, გადისხნას სხევი,
იძრას ლაჟვარდი, უძიროდ ლურჯი...
უკანასკნელად ამზიდავს ფრთები,
წყვიდადში დაფლულს, მოწყვდები მიწას,
მღვიმედან მაღლა რომ ავექანო.
რა მომაცივნებს, ყელს, გასაყინავს,
ამოუყვება ყივილი გედის,



ემზარ კვიციანი

სისხლგარეული, ცის გამხეველი
(ასე ზამთარი თუ წელავს ღამეს),
ნისლივით სათნო და დასადნობი,
გულს მოიქავებს, იქ ავა, საცა
გაკლაკნილია „იმის ნახტომი“.

ნარმა თავი აიშვა,
ყვავილნარი გათიბეს,
გასწვდებოდა ათას ქალს
იმისი სინატიფე.

გაქრა, გული მოგვიკლა
სამუდამოდ, ორწილად —
ლირსმა დედოფლობისა,
სიკვდილთან იქორწინა.

მიეგება დიდუბე —
უქმროს, ოქროს ქამრიანს...
ცრემლის გუბე, ვარდები.
გასუდრული თამრია.

ფშავლავის სოფელი
თემურ ჩალაბაშვილი

ორად გაიპო ხევი,
გულიც სხვაგვარად ძგერდა,
ვიხილე ქარზე ჩქარი,
ჩქროლა იორის ჩქერთა.

ასწლოვან ვერხვთა ჩრდილში,
სამოთხის კალთად ვცანი —
ლოცავდა ვაჟას სახელს
სოფელი კოჭობანი.

რქებდაგრეხილი ვერძი,
მყივანს აფრთხოვდა ძერას;
სისხლს უდღულებდა დოდი —
ცეკვა-თამაშს და მღერას.

ჭირს არ გვაკარებს მდაგვარს,
გვიცავს ლაშარის ჯვარი;
არ დაგვლეოდეს, ღმერთო,
დღეები იმდაგვარი.

ქვავინილზე დაფრინილი

კალიავ, ფიცხოვს სიციხე, გარეთა,
მან ჩაგამუხლა და გაგარტა;
მთელ მოედანზე გადვიქროლებდი,
ნეტავ მე მომცა შენი კარტა.

ამაოდ, რამდენს შევები წკვარამს,
არ დამკლებია თავსხმა, გრიგალი...
დაბერებულმაც (წყევლაა, სხვა რა!) —
სურვილი, ფრენის, ვერ ჩავიკალი.

ბავშვის თაზვი
შვილიშვილს ვაკვირდები აივანზე

ცრემლებმომდგარი, მოშიებული,
შოშიასავით, პირს აფჩენს ბავშვი.
საშიშარია დაცემა მისი,
დაცემინებაც, ცხვირის, გაფეთებს —
ორპირზე ხომ არ გაცივდა, ქარზე...
თავის გარწმუნებს მოყვანილობა —
დედის საშოში მკვრივად იკვრება
ბორჯღალისებრი გვირგვინი თმისა,
კრავის თხემს ასე საყვარლად რომ გავს
ანდა ბოჩოლას ალოკილ ნიკორს...
აქვე სხვა ფიქრიც მოგეძალება —
ჩვილად მოოჭვილ ტვინის ნაოჭებს,
უეჭველია, იმ დროსვე ერგო
სვე საესავი, გაედგა ფესვი,
ყოვლის შემცნობი და გამჭვრეტელი,
გატოტვას, გაშლას ღამობს რომელიც...
ვინ გამოვა და როგორი კაცი,
ახლა შენს თვალწინ რომ დაბაჯბაჯებს
ერთი წლის ბიჭი, ხან — შეჭმუხნილი,
ხან — მოცინარი... შენი სისხლის და
სულის ნაწილი, ვისთვისაც დღესვე,
უჭოჭმანებლად, მზად ხარ, განირო —
დაჭმუჭნული და ბებერი თავი...
რაოდენ გულსაკლავიც არ იყოს,
რამდენიც უნდა იმარჩიელო,
ამის გაგება აღემატება
თვით სურვილს, დაუოკებელს, შენსას.

მშვენიერების მონატრება
ადრინდელ ხმაზე

მიზეზიანს, ამრეზილს,
ჯავრმა ხელი დამრია...
სიზმარივით განქარდა —
ერისთავი, თამრია.

მშვიდი, თაფლისთვალეა,
წარბებს ველარ ამშვილდავს;
ვერ გაივლის ამყად,
სიმდიდრე მაცაშვილთა.

აივანეზა განსული ვინანი
<i>მერაბ სიღამონიძეს</i>

შემასხენა შემოდგომა მტევნების შეშავებამ, წამიბიძგა — ფერხორციან ფერხულში მეც ჩავება.
<p>გიშრის მარცვლებს ბანგი ხეთქავს, წუხან — დასანნეხია, როფში მათი დამწურავი ქუსლი, იგივ ფეხია.</p>
<p>არ ყოფნა თუ მაჭარმა ღარში არ იჩქაფუნა, ქაფიანმა, დამშუშხავმა — ჩაითვლები ძაბუნად.</p>
<p>იძრა წამი, საშინელი, მიწის საშოს ეხები, ვერ იცნობენ ბებრის წვივებს, მენამულად შეღებილს.</p>

ცხადად მოჩანდა
<p>გამოვტყდები, მომეჩვენა, ფიქრმა გამიტყუა, დავინახე — მოვექეცი წყვილ, ორ ზაფხულს შუა.</p>

ბაგა-ბუგი გულის , უცხო ბგერა დასცდა ბაგეთ, მოინეეღნენ ზაფხულები, იქეთა და აქეთ.

გამიკვირდა (არც მიცდია, დამეხია უკან), ორი მხრიდან, ორი ფერდი რომ არ დამებუგა.

მიწის ბრუნვას მინდობილი, დაცეკროდი მინდორს, წამითაც რომ არ შენელდა, ალი ვინ შემინთო?

მოღანდებად ვერ ჩავთვალე და არც სიზმარს გავდა, ძნები, წითლად დაწნულები, ცეცხლის ყრიდნენ თავთავს.

რა ვიცოდი , სანატრელი მექნებოდა მღვიმე, დაღამება-გათენების დაეეხენი იმედს.

არ მეგონა თუ ოდესმე დამხედავდა დილა, თვითონვე თქვას, ამ ყოფაში ვინმე თუ ყოფილა?!

გარეუბნის სასაფლაოზე
გურამ კვინიკაძის მოსაგონარად
<p>აღარ ირხევა, დავმარხავთ ვისაც, მარადი ძილი უბურავს თვალებს, ჩაჭრა წერაქვმა ქანები ქვისა, ჩააქანებენ ორმოში მალე.</p>

გამშორდა , დამავინყდება ძნელად, გატარებული მასთან წუთები, უთქვამთ ადრევე. წყვდიაღმიც ელავს — სიკეთე უხვი, ზღვარდაუდები.

რა ღამეები , სიმწრის, ათია, გაქრობა მისი სხვა ნაღველს მასევს; ძნელად მომხდარა, იშვიათია, კაცს თავი დაამახსოვრო ასე.

მსხვერპლად დაგადეპული
ძველისძველი მისტერია

თავს რაღა გამოუფტანო სასჯელი, ამის მეტი, ცახცახებს თეთრი სხეული, დასაგლეჯ-დასაფლეთი.

გადასცენ ლახტით ნაცემი ჯალათს — გამოცდილს, სანდოს, აჩეხონ ჩემი ტან-ფეხი, ველ-მინდვრად მიმოფანტოს.

სიმღერა , ცას რომ წვდებოდა, დაკლულის გავდეს ხროტინს, მკერდ-კანჭებგადასისხლული, სად მომხდარა და როდის, კლანჭებღალესილ მენადეზს, ხელიდან გასხლტოდეს.

წამებას , გამოფატრულის, რა უგერგილოდ გყვები, ზეზეულადვე ჩამთვლიმა, ვინ ჩამთვლის ღირსად ქების, მხეცნი არ იტრუნებიან, არც ყურს მიგდებენ ქვები, არსად ჩანს ოხრად დაყრილის ამკრეფი, შემგროვები.

ღაბტკაჲნის ჟამი
ზაფხულის კართან

დრო ბეჭებზე რომ დაცემს, არ ჭირდება ბჭობა, წელიწადი, საცაა, შუა გაიპობა. ვერავინ შეაჩერებს, თავისი აქვს ჰობი, ჯერ კი ფეთქავს, რამდენის, გული, გასაპობი.

გზის თვით იცის გაგნება, არ ჭირდება რუკა, ჩვევად აქვს — გაოგნებულს, მოგიტოვებს უკან.

ტორღიალას , დატორილს, გეტირება დედა, სართულ-სართულ, წლებს გამდნარს, დაგისართებს ზედა, მადლობა თქვი. ხანდახან, თუკი მოგიხედა.

არაჴარს ვიბონავ
<p>გაფოფრილი ღრუბელი დაინენა ფთილებად, არ ყოფილა იოლი ოთხმოცს გადაცილება, სიარულ-საქციელშიც, აშკარაა ცვლილება.</p>

ვამბობ შეუნიღბავად, არ მჭირდება ეზოჲე, არასდროს დამიმაღავს, რაც გულს ეკლად ესობა, არ ჩანს მოსალოდნელი, რამე უკეთესობა.

ფურცლებს დაყრის, მოიწყენს ვარდი, ნამაისარი, რამ უნდა შეატოკოს, თუკი კაცი ქვის არი, ცაში გაიმართება, ატყორცნილი ისარი.

ჴვილიჴვილის გჲარდით
<p>თეთრი ტანი. ლისის ტბაზე შრიალებენ ვერხვები; ჩვილს ვეჩვევი, აჩაჩული, იმათ ჩურჩულს ვერ ვყვები.</p>

ნეტა ვის გულს დაესობა გასროლილი ისარი!.. სხვას ვერავის დავუმაღლებ, ეს წყალობა ცის არი.

დაექანა , მზემ გორმახებს სხივი გადამტვრია, საგორებელ ეტლში მიზის უფლისწული ანღრია.

სხვებსაც დაასეირნებენ ნიავის გაყოლებით; აგვივლიან, ჩაგვივლიან — მისი თანატოლები.

სად არ დაგვიღვრია სისხლი, გვეყო სადარღუბალო, საქართველო გაამრავლე, გევედრები, უფალო!..

ნუ ჩაჲრავით
<p>ღამესა და სიჩუმეს არ დატოვებს მარტოს; თვითონ იცის ბუნებამ, როდის და რა ჩართოს.</p>

ყანას მორწყავს წყაროზე გადებული ღარი, ვერ ვიჯერებ, არ მოხდეს — რამე გასახარი.

ზაფხულიდან გავიგებთ ჭრიჭინების ჭახჭახს; ბროწეულად გახჩება — ვარსკვლავების თახჩა.

მაჭრის ჩხრიალს , დამბანგველს, გაიგონებს ყური, ცაში, ფრთებმოკანკალე, იფრენს მოღალური.

დღეები კვლავ წარვლიან, ფარას ებმის არვე, აცივებას მუხლები იგრძნობს წინასწარვე.

მომიშორებს , მომაგდებს საზრუნავი ჩემი, ზამთრის ძილსაც, დაღლილი, მალე მივეცემი.

ნამეპით მოკლულთა გასხენება
<p>ღმერთო, ეს ტანჯვა ამაშორე, ნავლად ვიქცევი, მივიღევი, ნუმც გაიღვიძებს ის ჩავლილი, გამთავებელი ტკივილები, ტვინის ამხდელი ტკივილები.</p>

კლდეს დააცხავებს, ვინ აღრიცხოს — რა ცეცხლი იყო, რა იარა. ხომ წამსვე დაიბუგებოდა, ვის ტანშიც იმან გაიარა.

დაშვავებული სიმაგრენი... ჩემს მტერს — აშვება კაეშანთა, რამდენი თვალი დაითხარა, რამდენის ძუძუ დაიშანთა!..

ვინ დამაჯერებს — ამის ხიღვას გაუძლოს თვითონ ჯოჯოხეთმა; ასი ათასი ვულკანისა, ეს იქნებოდა ამოხეთქვა.

ძლივს მივლასლავებ, აღდაკრული, გაფიქრებაზე მსერავს ელდა; დედამიწის ზურგს დაგრიხავდა — ჟრჟოლა იმ წუთთა, საშინელთა.

ბროღსკის გაღასჴენება ჴენეციაში

იმ ღამით კუბოს დაედგა კუბო — გაგასრიალეს შავ გონდოლათი... უკურნებელი საღმობის ტყუპო, რეკავდა შენი ლექსის ფოლადი.

თანაბრად ფასობს მართალი, ჭორი — არც სინანული, არც სანადელი... მოუღალავი, მაღალი, შორი, წუხილს გაცრიდა მთვარის ნათელი.

მშვიდობით , ადრიატიკავ დილის! — ქარიც ვერ დაძრავს დაკეცილ ფარდას;

ადრე დაგეცა ნაძვების ჩრდილი, გეგებებოდა „კუნძული მკვდართა“.

თავითთ დამბრუნავს ტანჭრელი კელა, სიკედლის წყლებზე წევს „სან-მიკელე“, ქანცგანყვეტილი, ვწრიალებ, ვქელავ, ვიწრო კელია გადამიქელე.

წუხილის ნამსხჴრავი

არ მერცხვინება, არც არასდროს დამიმაღია — სათქმელი ბევრჯერ ჭრელ-ჭრულა ჭინჭებით ვმოსე, სხვა არავინაა დამნაშავე, ჩემი ბრალია, უშნო სურვილებს ვერ ამოვდე ლაგამი დროზე.

წონასწორობას იცავს ზოგი, ზოგიც შლეგია, შევეშვი ლაქლაქს, ყველაფერი შღამი, ლექია, დუმს, იტრუნება, რაც ნიაღვრით ნასალეკია, სახსოვრად ჩემდა, დარჩეს ლეგა ეს ელეგია.

რიჴარღ შტრაუსი — „ჴარღის კაჴალარი“
კომიკური ოპერა ვენის თეატრში

სადაცაა ქარიშხალი უნდა ამოვარდეს... გრგვინავს ხუთი იარუხი, დაბჯენილი ჰარტერს.

ბროლი , აბრიალებული, ბრუნავს თეთრი ჭალი; ხომალდია, ორეულთან მკერდით შენაჯახი.

ფანტავს ჩინჩხვარს, ამის მეტად რარიგ აელვარდეს... წვავს ნესტოებს სურნელება დაფურცლული ვარდის.

აკანკალდა , რას გაჴყვება — აღმართსა თუ დაღმართს... ანგელოზის კრიალა ხმა აიტაცა თაღმა.

ტრიალი და ამღერება გუნდთა, ნაირფერთა — გულის ძგერას, ამოძახილს, უძირო ცას შერთავს.

მისნობას ვერ დავიჩემებ, ძალამ შემძრა მისმა; რაც ვიხილე, მოვისმინე — გავს ახდენილ სიზმარს.

ღაკირება
ღამის ბალადა

ორთავ იდაყვზე წამოიწნა, მესამედ მითხრა: „წამო!“ არვის ეგონოს, გაღმიდან ღამე მიხმობდეს უღიმღამოდ.

მამცნო , ფეხდაფეხ დაგატარებო გლუვი გაღავნის ცხრა კარს, გზაზე თუ ვინმე გადაგელობა, შავად წამოვშლი ჯაგარს.

ყრუდ იშმუშნება, შიშინზეც ვატყობ, ძალა მოუძღვის ზენა, ადრეც რამდენჯერ შეგიფარეო, დაბნეულს, შემასხენა.

გულთმისანია , იწიშნა, მიხვდა — ბედს ვერ ვენიე დღისით; ვენწევი, სიზმრებს მაინც აჯობებს — შემოგარენი მისი.

ამოსდებს ლაგამს, ეგებ შებოჭოს ლეგიონები ჭირთა; უბრალო რამეს არაფრით არ გავს, რასაც რო ის დამჰირდა: „მომენდე, არ მოგაკლებ გართობას, სიამტკბილობის მღვეარს;

ზღაპრების ათასერთი ღამიდან, იცოდე, ერთი მე ვარ!..“ გადაფოფრილი დახრუკულ ხრიოკს, რა ნებიერად იწვის... ვერას გავანყობთ — მივიწყებისთვის განწირულები მიწყივ, ეგებ მოხვეტოს და გადარეცხოს — დრო ურცხვი, გასაკიციხი, თვალის შევლებას ვერ ვასწრებთ, ისე გაგვირბის თვე და რიცხვი.

სიტყვა ვერ დავძარ, თვალწინ ისეთი გადამიშალა თარგი, მივალ, სახილველს ვნახავ, თუნდაც რო ჩამოვებიო მარგილს, გავყვები — უბირს, გადაბერებულს, რაღა მაქვს დასაკარგი?!

უსასრულოგაში გაჭრა

მთავარი გამართლებაა, დიდ წრებრუნვაში შესვლა, მერე თვით იცის, როგორ და რა გზით იაროს თესღმა.

არ დაზარდება სიკეთეს, ბევრსაც დაიღებს ცოდოს, არ უღალატებს ბუნებას, გაიშალ-გაიტოტოს.

სასახლეს , ცისკენ აზიდულს, შემოვევლები ღარტყავ, რაღა წამაქცევს, ამ ჩემმა ნაგრამმა თუ იბარტყა.

დამქანცა , იქამც ყოფილა — თვალთმაქცობა და შური, სვე-ბედთან აღარაფერი მექნება დასამღური.

რამ შემომინთო სურვილი — ვარსკვლავებს ჩაუქროლო, შურდულსაც, ჩემგან გაქნეულს, არ მიწდა, ექნეს ბოლო.

1

არა, გაგიჟდები კაცი და ეგაა! ბალ-ნიშინიდან თავს წამოვყოფ თუ არა, ეგრევე ფარდას უნდა ვეცე — არც წყალი მინდა, არც მოფხმა და გაზმორება; წამოვხტები, ფარდას გადავწვევ და ისე აგიხდეს ყველაფერი კარგი: აი, ასე, ყოველ დილით, დაადებს თავს და გაუთავებლად წრეს ურტყამს სტადიონს. როგორი ამინდიც უნდა იყოს, სულ რომ წვიმა უშენდეს და ტალახიანი თოვლი არ წყდებოდეს, ერთსა და იმავე დროს, მისჯილივით, მოუბებრებლად — მიდილი!

თავიდან ვერთობოდი — იმასაც კი ვითვლიდი, რამდენ წრეს დაარტყამდა. ინტერესის ამბავია, თუნდაც ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით რამდენს გაქაჩავს შუახნის ასაკს გადაცილებული ქალი, თავის დღეში რომ სტადიონზე არ ყოფილა. საერთოდ საქმე იმსგავსებს ხოლმე ადამიანს: ჩვენი უბნის საპოჭნიკს, თუ კარგად დააკვირდები, თავისი პანანა ჯიხურის მაგიდაზე ჩამწკრივებულ ფეხსაცმლებს მიუგავს სიფათი, თითქოს გაცვეთილი ან გარღვეული ნივთები კი არა, თავისი ორულები ულაგაო; ის ქალიც, ფუფუნებასა და კულტურულ მიდომოდის ჩვეული, ვერასდროს წარმომედგინა, სტადიონისკენ თუ იზამდა პირს. არა, გასაგებია, ვარჯიშს და ფიზიკურ დატვირთვას ითხოვს ორგანიზმი — ტვინი რომ გადაიღლება, კუნთები უნდა აამუშავო, მაგრამ რაღა ამ სიბერეში მოუწინა თავის გამოჩენა?! ეს ჩვენი მეზობლის ქალები ლამის შურით გასკდნენ, სიბრაზისგან გული ამოუჯდებოდა და ერთმანეთში ანთხევენ მისთვის სათქმელ ოქროს სიტყვებს.

ჰო, ფერიდე ჰქვია. არავის ელაპარაკება და არც არავის იმჩნევს. კიდევ კარგი, მახსოვს, ის და მისი ქმარი, ოცდაათი თუ მეტი წლის წინათ აქ რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, თორემ უეჭველად დავიჯერებდი, რომ ეს ქალი ამქვეყნისა აღარაა და მოსაზღვრე ცივილიზაციიდან შემოგვტენეს.

ბინების განაწილება იყო მაშინ, პლატოზე ახალი კორპუსები ჩადგეს და დედანულიანად მიესია უბნად დარჩენილი ხალხი. მეც, მათ შორის. გაძრომ-გაძრომა თუ არ შეგეძლო, ერთთახიან ხრუშჩოვკაში ამოგძვრებოდა სული. ამიტომ სანამ საბჭოთა სოციალისტური სისტემა გიხმარდა ბოლომდე, შენ, ამ შუალედებში, დრო უნდა გეპოვნა და რაღაც ადამიანურს გამოჩენოდი.

გუგუნავები 84-ში გადმოვიდნენ მგონი. როგორც ყველამ, მაგათაც შავი კარკასიდან დაინყეს და ნოვოსელია რომ ჰქონდათ, სულ რამდენიმე კაცი დაგვპატიჟეს. დიდი ქეიფი არ ყოფილა: ორი შვილი ჰყავდათ და ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ფერიდემ გემრიელი ოსტრი გააკეთა, ღრმა თევზებით ჩამოარიგა, მწვანეწინაკამოყრილი კიტრი-პომიდვრის სალათიცი ჩააგა მაგიდის შუაში, ღვინოც ჩამოასხა და მერე — ბოდიში, მოსწავლეები მოვიდნენ და ცოტა ხნით დაგტოვეთო.

ფერიდე რეპეტიტორი იყო, ქართულში ამზადებდა ბავშვებს და ერთი-ორჯერ მეც ვთხოვე, ჩემი ახლობლებიც ჩაესვა ჯგუფში. ფული კი მიუფრებოდა წლის ბოლოს, მაგრამ ცოცხალი თავით არ გამომართვა, როგორ გეკადრებოდა. თითქოს არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ მაინც გამიკვირდა. ისეთი მეზობლები ჩვენ არ ვიყავით, უერთმანეთოთ რომ ვერ ძლებენ და მერე კიდევ ეს რეპეტიტორობაც რა ჯოჯოხეთი იყო, ზეპირად ვიცოდი. მოკლედ, არაო, მითხრა და ოცდახუთმანეთიანებით სავსე კონვერტი მომამჩენა უკან. ახლადჩასმული რკინის კართან ვიდექით.

2

კარი ხომ დავკეტე? კი, დავკეტავდი. კი თუ არა?! კი თუ არა?! ჯანდაბა! აბაზანის კარი რომ დავკეტე და შუქიც ჩავაქრე, მახსოვს. გაზიც გამოვრთე. ყავას რომ სამზარეულოში ვსვამდი, ბუდელნიკმა მაშინ დარეკა. კი, ეგრე იყო. ერთ წრეს ორნუთ-ახევარი უნდა. თავიდან გიჭირს, ცივი პაირო ფილტვებს ბასრი ყინულივით ხვდება, ძვლები ჯერ არ გამთბარა. გული გიცემს, სახეში ქარი გირტყამს. კორპუსები მრავლდება, მალე კორპუსების ქალაქი ვიქნებით და ამ მინი სტადიონსაც, თავისი თეთრად შეღებილი კარებითა და ახალდაგებული საფარით, დედას უტირებენ. კა-

ცივილი ხმას არ ამოიღებს, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ლაჩრები! სამაგიეროდ, ორი ტულატი ხომ გვაქვს და მანქანაც გვემსახურება! ცენტრალური გათბობა, გაუმჯობესებული პირობები. მესამე წრეზე ნაბიჯს უნდა ავუჩქარო, ოღონდ ფრთხილად. მეორე კორპუსს ორმოცი ფანჯარა აქვს. გუშინ დილით რომ დავითვალე, ორმოცდაორი ჰქონდა. ორი სად ნავიდა? ხომ არ ამოაშენეს ამ უნაშუსობმა?! ეგეც დიდი რამეა, ერთ ღამეში ამოავსებდნენ ბეტონით და შელესავდნენ. არა, რაზე უნდა ელაპარაკო, ვის უნდა ელაპარაკო. 84-ში, ჩვენ რომ გადმოვვიდით, კიდევ რაღაცას გავდა აქაურობა, ბავშვს ჩამოიყვანდი ეზოში, გაასეირნებდი, ხალხიც სხვა იყო, ადამიანები კორპუსებზე მეტი იყვნენ, ვერ იგრძნობდი, მარტო თუ იყავი. „ნიონია ბერიდე, ნიონია ბერიდე“ — კვირა არ გავიდოდა, ის ქურთის აუტანელი გოგო რომ არ მოსულიყო. ზაფხულში მაღინას

სვადებინო. როდის იყო, ვის ახსოვს. სვადებინი და კაიდრო. ბერდები და ტკბილი მოგონებებიც გრჩებაო. არაფერიც! ჩხუბი, წვალეა და ასკოლკები უფრო გრჩება. რიგში ვიდექით. სიცივე, შიმშილი, უძილობა, ბრაზი — ყველაფერი ერთად. ვიღაცას გამოელაპარაკები, ისიც იმიტომ, ქალის და ადამიანის სახე რომ შეგრჩეს. საღამოს ანია. დილაუთენია გამოსული ხალხი ცოტაც და იფეთქებს. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო. უცებ საშინელი ყეფა და ნკავნკავი ისმის. ღმერთო, ასე რატომ გაგიმეტე! რიგი ვინოვდება, შუაზე იხლიჩება და იმ საძაგელი ქალის საძაგელი ძაღლები მისდევენ ერთმანეთს ან-ყვეტილები. ერთი და ორი კი არა, ათი, მეტიც. ოუ, ოუ, არ გიკბენთ, ნუ გეშინიათო — და ჩვენც დავიჯერეთ. არა, მე არა, ბრიყვი კი არა ვარ, შვილები მყავს. როგორია, დილაუთენია ბავშვებს სკოლაში უშვებ, კარაქიან პურს ატან და სადარბა-



ყიდიდა, ოქტომბერში კარტოფილს და ფეხიხოსს, ზამთარში — კაბებს. ისე არ ნავილოდა, ნისია არ ნავილოვებინა, მერე მოსაბრუნებელი პირი რომ ჰქონოდა. ჩემს ქმარს ძლივს ვანყნარებდი, გოგოებსაც ყელში ყავდათ ამოსული. „ნიონია ბერიდე, ნიონია ბერიდე“ — მეორე დაძახებაზე კარს ვუღებდი, სამზარეულოში შემომყავდა, ამოალაგებდა თავისი საქონელს და მთელი ორი საათი, მთელი ორი საათი... „სამმანეთნახევარში მომეცი!“ „არა, კლიანუს, ნი მაგუ“. „მაშინ არ მინდა“. „კარგი, იყოს“. „ორ კაბას ავიღებ და თუმანი უნდა დამიკლო“. „არა, ნიონია ბერიდე, მაგ ფასში მაქვს აღებულო“. „უნდა დამიკლო“. „არა, არა! კლიანუს, მორჩა. ეს ის არა არ არის, ჯერ არა და მერე კი, ეს არის არა და არა“, — ბრაზდებოდა სონია და ოთახში ბოლთას სცემდა. ბავშვების მეცადინეობისგან გამოტყინებული ამ ქურთის გოგოსთან ვცოცხლდებოდი. ყავა თუ ჩაი? შოკოლადი მაქვს უგემრიელიესი. მამაჩემმა იცოდა ცხოვრებულმა, ჭამე, სანამ ეგეც სანატრული გაგხდომოდა. წუნიობას რომ დავიწყებდით ხოლმე, არც გაბრაზდებოდა, ხმასაც არ აუწევდა. ჭამე, სანამ ეგეც სანატრული გაგხდომოდა. არ გაგვიხდა თურა! შოკოლადი და ნაირ-ნაირი კი არა, პური რომ ამოგვეტანა, ხან მე, ხან ჩემი ქმარი — უფრო ჩემი ქმარი — კილომეტრიან რიგში ვდგებოდით. რიგების ქვეყანა. რიგების ქალაქი. რიგაში ვიყავით

ზოსთან დაყუცული ძაღლების ხროვა რომ ხვდებოდა. მშვიერი მანანალა ცხოველების. ლამის იყო, თმებით ვითრიე ეგ ჩვენი ჰუმანიზმის განსახიერება. მე-ზობლებმა გამაკავეს. ან ამათ აქედან ნაასხამ ან მილიციას გამოვიძახებ, ნათრევენ და გემრიელად ჩახოცავენ-მეთქი. გაფთრებული და გაკვირვებული იყო. რას გიშლით, ქალბატონო, უპატრონო საცოდავი ძაღლები არიანო. მეთქი, შენ ეტყობა ვერ ხვდები, საშიშებიც რომ არიან და ნებისმიერ დროს, ღმერთმა არ ქნას, ვინმეს კბილი გამოსდონ, აქ ცოლვის კითხვა დატრიალდება-მეთქი. ქალი მოკვდა და არ დარჩა, ხმა არ ამოუღია, დაძაბული მისმენდა. ხვალიდან, არა, ხვალიდან არა, ორშაბათიდან ერთიც რომ ვნახო ამ სადარბაზოსთან, ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. ეგრე, ეგრეო — სხვებიც კვერს მიკრავდნენ და მაქეზებდნენ, ზოგი გაჩუმებულიყო, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, მე კიდევ, ამით ნაქეზებული — კეთილსინებე და ორშაბათამდე ამ მანანალებს მოაშორებ აქედან. ორშაბათამდე დროა. სამ დღეს მოვითმენთ როგორმე, სამი დღე წყალში ჩაღებოდა კაცი. აგერ მთელი დღე რიგში ვდგავართ ორი ვიკილა პურისთვის, მაგას ვითმენთ, ამ დაცინვას ვიტანთ, შენც როგორმე გაგიჭირვებ-მეთქი. ეგრე, ეგრეო, ჩესნად უთხარი, ნაღდი ხარ, ფერიდეო — გულს მიმაგრებდნენ ქალები — კაცი ვერ ეტყოდა ამას, ამის გაკეთებას

შენნაირი ყვერებიანი ქალი უნდაო. ასე კი მითხრეს, მაგრამ გულში მაინც ჩამრჩა იმ საწყალი ძაღლების ცოდვა. ვინ იცის, სად წაათრის, რომელ ორმოში და ჯანდაბაში უკრეს თავი. ჩემს სოფელში, ძაღლი ლეკვებს რომ დაყრიდა, ერთ ან ორ ხვადს დაიტოვებდნენ, დანარჩენებს ტომარაში ჩაყრიდნენ და პლანტაციამ ტოვებდნენ უპატრონოდ. ბავშვი ვიყავი, მეცოდებოდა ეს ლეკვები, მათი ბედი მეფიქრებოდა და ბებოს ვენუნუნებოდი, ვეხვენებოდი, ჩვენ რომ ლეკვები გვეყოლება, ტომარაში ხომ არ ჩაყრით-მეთქი. შემპირდი-მეთქი. არა, არაო, ბებო გენაცვალოსო. ბერდები და ტკბილი მოგონებები გრჩებაო. ეგეც შენი ტკბილი მოგონება. შრომა, წვალეა და ნანყენი ხალხი გრჩება. ხომ ვითომ მაქეზებდნენ, ნახევარი კორპუსი მლანძღავდა თურმე ზურგსუკან. ეგ ბოროტი და უმონყალო ქალი, მაგან ბავშვებს რა უნდა ასწავლოს, სამი-ოთხი ძაღლი ვერ აუტანიაო. ხალხი ეძახე შენ. ორპირი და უპრინციპო ადამიანების ჯოგი. თავის სიტყვაზე ვერ დამდგარან, საპონივით კვირაში ერთხელ იცვლიან აზრს. ფხებსაც ვერ მომჭამენ! — ვთქვი და გადავწყვიტე. ამისთანების არც გამარჯობა მინდა, არც გალიმება, არც მეგობრობა და მეზობლობა. სულ მარტო რომ დავრჩე, ხმის გამცემი რომ არ მყავდეს, არა, არ მინდა. ამისთანების გამოა, კორპუსების ქალაქად რომ ვიქცეით. მალე, ძალიან მალე, მაგასაც მოვესწრები, ამ სტადიონსაც ახვეტავენ... ამ ფანჯრებსაც რა ჭირი ეტაკა ამისთანა: გუშინ დილით ორმოცდაორი იყო რომ დავითვალე, ახლა ორმოცია. ამოაშენებდნენ, ერთ ღამეში ამოლესავდნენ, ამათი ამბავი რომ ვიცი.

3

მორჩა, როგორც იქნა. ზოგჯერ ისე შეყვება, ბოლო აღარ იცის, ტრიალებს და ტრიალებს წრეზე. ხანდახან ნაბიჯს აუჩქარებს, გამოლებული ფანჯრიდან მესმის მისი სანვიმარი შარვლის შარიშური.

რაც მარტო დარჩა და გათხოვილი გოგოებიც არ იკლავენ თავს დედის გულითვის, მგონია, რომ უფრო ჩაიკეტა. გუგუნავები დიდი მისვლა-მოსვლის ხალხი არც ყოფილან არასდროს, მაგრამ ამ ფერიდემ, ერთხელ, ძაღლებზე რომ დაცხეს მეზობლებმა და ღირა შავიშვილთან მოუწინა დატაკება, იმ დღიდან პირში წყალი ჩაიგუბა და ეზოში ჩამომჯდარს ვერ ნახავ კაცი. ავი ენები ამბობენ, მოსწავლეებიც აღარ ჰყავს და სულ რამდენიმე საათი რომ ჰქონდა უნივერსიტეტში, იმაზეც უარი უთქვამს შარშანწინ, დავბერდი, დავიქანცე, თავს ხომ არ შევაკლავო. ერთი ეგ საქმე შერჩა სხვების დასანახი — დილაობით, შვიდს რომ წუთები აკლია, სტადიონზე გადის (მეც მაგ დროს მეღვიძება), დაადებს თავს და გაუთავებლად ურტყამს წრეებს.

აი, ახლაც ხმაურით მიხურა სტადიონის რკინის ჭიშკარი, საკეტი ორ-სამჯერ ჩააბრუნ-ამოაბრუნა და აუჩქარებლად გადმოვიდა გზისკენ.

ჩვენს სადარბაზოსთან უნდა ამოიაროს, ზედ ჩემს ფანჯარასთან; შემომჩნევია, რამდენიმე წამით შეყოვნდება, ღრმად ამოისუნთქავს და ჩაისუნთქავს. ერთთავად წინ იყურება, გვერდზე არასოდეს გაქცევა მზერა.

ახლაც ასე, თითქოს წამზომზე მომართულაო, გამოერკვევა წამიერი გარინდებიდან, ორ ნაბიჯს გადადგამს და... ელდან-აცემივით გაიყინება ერთ ადგილზე.

ბოხუების აივანზე ჩიხუახუას ლეკვი გადმოდგარა, ნკავნკავებს და რკინის მოაჯირს ეხლება, გასაძრომი რომ იპოვოს. ხან ორ ფეხზე აიტოტება, ხანაც თავს გაყოფს რგოლში და უცნობ ქალს უღრენს, უყეფს, ეტანება. ფერიდე ჯერ შემკრთალი დგას, დაბნეული, შემდეგ დაძაბული სახე გაეხსნება, მოუღებება და ილიმის.

ბოხუების ჩიხუახუა მოაჯირს აწყდება, ნამიან კაფელზე ფეხი უცურავს, რიკულებს ეხლება, ნკავნკავებს და ქალისკენ იწევის. ფერიდე გაქეზებული დგას, აივანს ამოჰყურებს და ღიმილი ჯერაც არ წაშლია სახიდან.

4

— ალო, ქალბატონო ღირა, ფერიდე ვარ... დიახ, მესამე კორპუსიდან. თქვენთან დალაპარაკება მინდა...

ზამთრის სიკვრივე და დიდებული დრო, სევდა ყვავილივით გაახარო, ფოთოლ-ფოთოლ აატარე-ჩამოატარე წვიმასა და ქარში და ჩუმად, ამაყად და განუმეორებლად იზიარებო მარტოობა. ამ ყველაფრისთვის კი წიგნები გამხსნევენ, უკვე მერამდენედ რომ წაიკითხე, იქნებ საგანგებოდაც, ასე ვთქვათ — სეზონური სევედის გამოსახმობად — კიდევ ერთხელ გადაშალე და შეხვედი. ეს ჩვეულებრივი შესვლა კი არაა — ნატკენ ადგილებზე მუჭის დაჭერაა, ზხარების დამატებაა სულის კლდოვანებში; სიმწარეა, რომელსაც, ენაზე გაჩერებულს გარეთ თუ გამოიჭან და რომელიმე პირველივე სიტყვას დააბჯენ, ჭეშმარიტ სიყვარულად გადაიქცევა. ასეთი წიგნები გამხსნევენ, ასე იფიქრო, ასე იცხოვრო და არ შეგეშინდეს სიკვდილამდე დარჩენილი ყოფიერების. მით უფრო, თუ ზამთრისპირაა და სანერ მაგიდაზე, უკვე მერამდენე თვეა, მწარე წამალივით დევს ლეილა ბეროშვილის წიგნი — „გამოზამთრება“.

დიდი წიგნი, დიდი ქალის დაწერილი ცხოვრება.

„გამოზამთრება“ ჩანაწერების კრებულისა, რომელიც ავტორის პიროვნული და შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმძაფრეს დეტალებს მოიცავს; ის იწერებოდა მრავალი წლის განმავლობაში (რამდენიმე ფრაგმენტი მწერლის სიცოცხლეში „ლიტერატურულმა გაზეთმა“ გამოაქვეყნა) და მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ შეკრა „ინტელექტმა“ ერთ წიგნად. საგაზეთო პუბლიკაციებს მაშინვე მოჰყვა მკითხველების აღტაცება (რადგან ეს არ იყო მხოლოდ „ჩანაწერების“ ტიპის ტექსტები, ეს უფრო მეტი იყო) და მოლოდინიც, რომ ამ ჩანაწერებს აუცილებლად მოჰყვებოდა კიდევ ბევრი და ბევრი ახალი თუ ძველი ტექსტი ამ ავტორისგან (ამ მწერლის ღონიერებას არათუ ერთი გვერდი ან აბზაცი, ხშირად ერთი ფრაზაც გამოხატავდა).

საერთოდ, ასე მგონია, რომ ეს რაღაც-ნაირი ბედისწერა იყო ლეილა ბეროშვილის ცხოვრებაში — მას სულ ელოდნენ, მუდმივად (ხანდახან იმ ელდითაც, ნიჭის გამოსხივებას თვალს რომ ვერ უსწორებ ხოლმე), სულ ელოდნენ და ის კი სულ იმალებოდა. სულ მალავდა თავის ნაწერებს, თავის თავს, თავის ცხოვრებას. ასე წარმოიდგენია, ასე მკითხებენ თავს მისი აბზაცები, მისი „ნაკუნები“, როგორც თავად ეძახის.

თვითონ რას ელოდა? ან ვის ელოდა? ვინ იყო მისი ღრმა და გულისხმიერი შინაგანი დიალოგის ადრესატი? ღმერთი? სამშობლო? შევილი? შეყვარებული?

ერთი ჩანაწერი აქვს, სადაც შემოქმედებით პროცესთან საკუთარ დამოკიდებულებას შემზარავი გულწრფელობით ამხელს: „როგორც თვითმკვლელის ყოველი მოძრაობა იძენს და კარგავს მნიშვნელობას, ისე უახლოვდება ან არ უახლოვდება სანერ მაგიდას“. ყველაფერი ცხადია — მისთვის ეს მდგომარეობა (რიტუალი, პროცესი) სიკვდილის განცდასავითაა, ჰარაკირის ელვარე შეგრძნებასავით, ესვე აჩენს უკიდევანო პასუხისმგებლობას დაწერილის (ან დასაწერის) მიმართ, და ბუნებრივია, როცა მუდმივად ასეთ მდგომარეობაში იმყოფები (ან იგდებ თავს), შეუძლებელი ხდება „ბევრის წერა“. ეს ალბათ ფიზიკურ სიკვდილსაც იგულისხმებდა. წერ მხოლოდ იმას, რაც შენი ადამიანური მდგომარეობიდან სიკვდილის წამამდე გამოდის. ამიტომაცაა ყოველი სიტყვა, ყველა ფრაზა ტყვიასავით მდულარე და გამოსხივებანი.

ის დიდი ქალი იყო და ყველაფერი სიჩუმედ დაიწყო. „აზრი, რომელიც ქალაქადმდე ქრება, იქნებ აზრზე მეტია“ — დანერა ერთხელ. და მერე — „ქალაქადმდე რისი გადატანაც შეუძლებელია, სწორედ ის ხდის ცხოვრებას იდუმალს და საინტერესოს“. ამ ღვთაებრივ უთქმელობაში, გაყურებაში დაიბადა მარტოობა და ეს მხოლოდ მდგომარეობა კი არა, უპირველესად — საზრისია, ეგზისტენციური გზა, რომელიც, ცხადია, სიხარულზე მეტად ტკივილებთანაა დაკავშირებული. ვაჟა-ფშაველას ცნობილი სენტენცია: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შენუხებული“ — სწორედ ამგვარ მარტოობას გულისხმობს, ამგვარ მწირობაში განიცდება, აქედან იკრებს ძალას მთის მწვერვალიდან დაშვებული


თოვლის ფიფქივით, რომ სამყაროს უფსკრულს ზვავის სიმძლავრით მოფინოს და მოიცვას მინისპირი ყუჩი სითეთრით, გნებავთ — სინმინდით და სინათლით.

ლეილა ბეროშვილის მარტოობაც, ერთი მოწყენილი ქალის მარტოობა კი არა („ვეფიქრობ, ეს სახუმარო არ არის — იყო განმარტოვებული მოწყენილი ქალი“), მთელი სამყაროს, კაცობრიობის, ბუნების სევდიანი სიმღერაა სწორედ იმ თვალშეუდგამ აზრზე, რომელიც სიჩუმედან სიტყვაში მშობიარეს ტკივილებით უნდა განხორციელდეს. მას მთელი თავისი ლოკალური გარემოში იმოდენა შემოქმედებითი ხედვის ასპარეზად უქცევია, რომ მამამდემრთივ ინატრებს, ასეთ ირგვლივთში თავისი დიდი თვალთ გადამოიხედოს.

„გახალისებული მიუყვები ბილიკს ბოსტნისკენ, გამოგაქვს მკვანე პომიდორი, ორ მოზრდილ ქილაში აწყობ და მზეს უმარჯვებ. ეს არის შენი პასუხი მაღალმხედველთა და ფილოსოფოსებისადმი“.

წინო სადღობელაშვილი

რუხების პასტორალი



მაგრამ ყველაზე დიდი მაინც, რაც ამ მარტოობას კაცობრიულ აზრს სძენს, აი, ეს გახლავთ — „გიყვარდეს მტერი შენი — ერთადერთი გარანტია სამყაროს გადარჩენისა — სიმარტოვის გარეშე შეუძლებელია“. ჩემი ფიქრით, ეს ფრაზა ყველაზე მთავარია ამ წიგნში, და არა მხოლოდ ამ წიგნში, ალბათ, გააზრების წუთიდან, ეს გაცოცხლებული ფრაზა ყველა მკითხველის მთავარ აზრდაც იქცევა, ან დაემთხვევა მის შინაგან პოზიციას და ამ სიტყვებით გაახმოვანებს.

მტრის სიყვარულზეა ეს წიგნი, და ვინც და რაც გნებავთ, მტერში ის იგულისხმეთ, განა ცოტა ჰყავს ადამიანს და სამყაროს მტერი — საკუთარი თავიდან დაწყებული, სიკვდილით დამთავრებული?

ეს რაღაც განწირული სიყვარულია, სალოურთი, თავისებური — ამ წიგნში რა სიყვარულზეც წერია. მიფიქრია ასეთ სიყვარულზე. ფიქრიც კი შეიდ ნაწილად გხლეს და შეიდ სხვადასხვა სინამდვილედ განაწევრებს, როგორც მსხვერპლს, ზვარაკს, ვილაცის ან რაღაცის წინაშე ნებაყოფლობითი ძალისხმევით შეწირულს. ამ სიყვარულის სათავე სირცხვილია, ისევე, როგორც მარტოობისა და სიტყვის — სიჩუმე. და აქაც ფარული დრამატურგიით ვითარდება ლეილა ბეროშვილის „ჩანაწერების“ კარდოგრაფია: სიჩუმე-მარტოობა-სირცხვილი-სიყვარული. „მარადიული მხოლოდ სირცხვილია — უკვდავების უტყუარი ნიშანი“. ამ სირცხვილში მწიფს ყველა აზრი თუ მდგომარეობა, სიტყვებიც და სიჩუმეც, რაც ეხება მწერლის სულს და ცხოვრებას.

მას ეს სირცხვილიც მტრის შესაყვარებლად სჭირდება, ჯერ თვითონ უნდა შერცხვოს, ამ ცეცხლში უნდა ჩადგეს, რომ მერე გაშალოს სიყვარულის მკლავი, მტრისთვის გადასახვევად. აბა, რომელი ცოტა მარტოობა გასწვდება ამას? რომელი ყოფა შეუფერებს თავის საზღვრებს, ქედს ან მუხლს თუ არ მოადრეკინებს? ამიტომაცაა ეს წიგნიც და მისი ავ-

ტორიც თავის თავზე მეტი, ერთ ცხოვრებაზე მეტი. ზოგადად — აიღეთ ნებისმიერი პასაჟი ამ ჩანაწერებიდან და, თითოეული შესაძლოა თითო მოთხრობის ან რომანის ფაბულადაც გამოდგეს. ეგეთი ენერგია აქვს, ეგრე ჰყვება ყველაზე უმნიშვნელო ამბავსაც. ჰოდა, აქვე ვიტყვი, რომ ამ დიდი ფიქრების ავტორს დღემდე უფრო გახმაურებული კომედიის „სიყვარული ყველას უნდა“-ს სცენარის ავტორად იცნობდნენ და ბევრს ალბათ ვერც კი წარმოედგინა, იმ მხიარული და ლამის ხალხურ იუმორად ქცეული ფრაზების და რეპლიკების, პერსონაჟების და ამბების ავტორი ასეთი განსხვავებული თუ იყო, ამდენ დარდს და სევდას ატარებდა და სულაც არ ხუმრობდა, როცა ცხოვრებას სიზმარით უყვებოდა თავის რუხებს, თავისი სოფლის წყლიან არშიებს გზისპირებზე... ლეილა ბეროშვილი კინოსცენარისტიც იყო და წიგნში არის ბევრი საგულისხმო მოგონება მისი ცხოვრების ამ ეპიზოდებზე.

თუმცა, ამ მეტაფიზიკური ნიაღვრეების, სამყაროს და მოვლენების მხატვრულ-

უჭირს უმნიშვარი ბავშვის (ან ბავშვს რას ვერჩი) მდგომარეობიდან გამოსვლა და სერიოზული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება. „გამოზამთრებაში“ არის კითხვები და პასუხები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადაგახედებთ უახლეს წარსულში, დაგაფიქრებთ, დაგასევდიანებთ; ეს მდგომარეობა კი, სირცხვილის განცდასავით საჭირო ყოფილა ადამიანისთვის, რათა აღარასოდეს დაუშვას მსგავსი უსამართლობები, ღმერთი არ გაუწყნრეს და ქვეყანა ისევ სამოქალაქო ომის კარამდე არ მიიყვანოს — ზოგმა უკიდევანო აქტიურობით, ზოგმა კი აუხსნელი პასიურობით, ნიჰილიზმით. ამას ყველა უნდა იაზრებდეს, რადგან, „ადამიანი შეიძლება არ იყოს აკადემიკოსი, მეცნიერი, მწერალი, მაგრამ ვალდებულია, იყოს ადამიანი, მოქალაქე“.

უკომპრომიზობა, სიმკაცრე (უპირველესად, საკუთარი თავის და ცხოვრების მიმართ) ეხმარება ლეილა ბეროშვილს, გათავისუფლდეს ყოველივესგან, რაც სამყაროს მხატვრულ-ჰარმონიულ ალქამაში ხელს შეუშლის, რაც მის ადამიანურ პოზიციას შეარყევს, რაც სიმართლეს — როგორც ჰიპოთეტასს, ჩრდილს მიაყენებს.

ეს ყველაფერს ეხება — მოქალაქეობასაც, შემოქმედებასაც, სიყვარულსაც, ბოლოს და ბოლოს, სიკვდილსაც და სიცოცხლესაც. მხატვრულად კი, ეს ყოველივე ასე ითქმება: „შეშას ჭიანჭველები გააყრენინა, მერე შეიტანა და ისე შეუკეთა ღუმელს: ამათ კი არ უნდა სიცოცხლე?..“ ერთი ჭიანჭველაც კი მნიშვნელოვანია სამყაროსათვის, ჰოდა, როგორღა უნდა შეხედოს ადამიანმა საკუთარ თავს სარკეში, ეს თუ არაფრად ჩაავლო?

და, იქარგება წარმავალი დღეების და ღამეების საგა, იქსოვება ყოფიერება თავისი სირთულეებით თუ სიმსუბუქით, ეს ზმნებიც — „იქსოვება“ და „იქარგება“, მეტაფორები კი არა, ზუსტი კონსტატაციაა იმგვარი მოქმედებისა, როგორცაა ლეილა ბეროშვილმა ეს ჩანაწერები შექმნა. გახსოვთ, როგორ ქსოვდნენ დიდი ბებიები ჩხირებით და ყაისნალით, აბრეშუმის ძაფით, შედეგებს? როგორ ქარგავდნენ ნაყმებს, არშიებს და ქობებს — დინჯად, განუმეორებლად მშვიდი რიტმით, გეგონება, მთელი წესრიგი და ჰარმონია, რაც სამყაროშია, იმათ ხელს მოუხელთებიათ და აბრეშუმზე გადააქვეთ, რომ უფრო ცხადი და ხილული გახადონ სხვების წინაშე — ვისაც ამ წესრიგის სჯერა ან ვინც ამ ჰარმონიას თავისი შინაგნობით აჯანყებია..

ზუსტად ამ რიტმითაა ეს წიგნი ნაწერი, ამ სიმშვიდით დაუნჯებული, ნაქსოვის გამჭვირვალობა და ჭედურობის სიმტკიცე თანაბრად ახლავს, ისეთი მწყობრია თხრობაც, რეფლექსიაც, ისეთი ჰაეროვანი და ამავდროულად მძიმე (ამ სიმძიმის გარეშე დედამინა სამყაროში თავს ვერ შეიმავრებდა). კითხვისას გამუდმებით გესმის რუხების ხმა, ძალიან ბევრგან ახსენებს მათ ავტორი — ეს მისი სოფლის რუხები; არა მდინარე, ან ზღვა, ან ოკეანე, არამედ რუ — ერთი შეხედვით უმცირესი და უწყინარი ეს სველი ხაზები დედამინის ზურგზე, რომელიც თავის სიმკრეპში მთელი სამყაროს საიდუმლოს იტყვევს. „უწინდელივით რუის პირ-პირ მივდივარ. ჩხრი-ალით მომყვებიან რუები. აი, თურმე როგორ დავდივარ, როგორ ვიღიმი, როგორი ხმა მქვს...“ ეს რუები მაცოცხლებელია, გზამკვლევა, დამხმარეა ყოფით ეპიზოდებშიც: „ისე დათვრა, ზევით არის წასასვლელი, მაგრამ ზევით და ქვევით ვეღარ გაურჩევია. ბედად წყლის ხმა შემოესმა — ჩვენთან ხომ გზის ორივე მხარეს რუ ჩამოდის. რუში ჩაყო ხელი და... ზევით წავიდა...“

ხანდახან ცხოვრებაც ხომ მათობებლად, ხან დარდით და ხან სიხარულით, გაბრუნებს და გზას ვეღარ იგნებ, და თუ გაგვიმართლა და შენ გარშემო აჩქარიანდნენ რუები — სამყაროს ციციქნა საკრავები!..

ლეილა ბეროშვილის „გამოზამთრება“ ამ ხმებს, ამ საიდუმლოს მალავს — ჩაყოფ ხელს და, აღმა ნახვალ, უფრო სწორად, იმ მხარეს, საითაც შენი, მხოლოდ შენი გზაა სავალი.

ხან რიგიანი, ხან ურიგო ვარ,
როგორც: იყო და არა იყო რა!
ყოფა კი ისეც მიდის, მიგორავს,
რად უნდა რაში, ნიშა-ნიკორა,
ან ალაზანი, ანდა კოდორი...
მამულის ზვრების ერთი ჭიგო ვარ
და ერთიც — დარდით სავესე გოდორი!

ბეთანიიდან ნამოსულს

ბეთანიიდან ნამოსულს
წყნეთთან მიმისწრო თენებამ;
გამინაპირეს, გამბანრეს
მზით განუშულმა ფერებმა...
რა ჯადოცაა გვირილა,
თავადაც მოგეხსენებათ —
ლამისა, გული გალია
იმისმა ყელის ლერებამ!
აგე, ია და კესანე,
ყაყაჩოც — ყანის მშვენება;
ახლა იმათთან კასკასი,
ახლა იმათი ფერება!..
დაბლა ქალაქი ნეტარებს,
უცხოვს არც დაეჯერება —
იქა მყავს ყველა იმედი,
იმათკენ მიმემღერება...
რომელი ვაჭარი მეტყვის:
რა ღირს ეს ბედნიერება?!

ღრუბლის კედელში გავეჭერ ფანჯარა,
მივდე ნერაქვიც, ცელიც, ხანჯალიც;
ვეშვი წყლისა და მინის ხავერდებს
და ოდენ ფერად სიტყვებს დავენდე —
ვერ გავიმეტე თავი ყოფისთვის...
მეცხრე ცაზე ვარ — უფლის ოფისში!

გზად შატილისაკენ

გზა სულ თვლებზე დაიკიდა,
რა მაგარ ყოფილა „ნივა“!
ბარისახო უნდა ნახო —
ციდან რო ცვარ-ნამი ცვივა!
ხევგადაღმა ბზინავს ახო —
ხევსურთ დაუზინავთ თივა...
გულ ნუ გადაგიქანდება —
არაგვ თავის ალაგს მივა!
ქალაქს ხვატი მარეტებდა,
აქ, ცოტა არ იყოს, ცივა...
აქაურ ლუდ-არაყ მწყურის,
აქაურ ხავინი მშვივა!

მოტორს სიქას გავაცელი და
ამალამ შენთან გავჩნდები,
ჩემო ცხრა მთას იქითელო ანგელოზო —
ცოლთან ხელი მაქვს მოწერილი,
ჯვარი კი არ დამინერია!

წერილებს გწერ და ბუხარში ვყრი —
გაცეცხლებულ საფოსტო ყუთში;
არ-კი ინვის ცრემლით ნაწერი!..
და პასუხების მოლოდინში —
მე თავად ვიწვი!

ფუქისაჰიქაჯალი

გზაში არ მანვეს იმედს არავინ —
წინ კი ჯერ ბევრი ბენვის ხიდა!..
და რაკი სარფშიც ჩავდგი კარავი,
ჩანს, შენით თრობის შანსი კიდეა!..
ისე, მაგარი როგორ არა ვარ —
ქალდეეთიდან მოვდექ ქარავანს
და გულზე ვირის ტვირთი მკიდა!

შემომაცვდა ოცნება —
კოშკებს ველარ ვიშენებ...
რა ვქნა? — შენმა კოცნებამაც
ვერაფერი მიშველეს!
აღარ მოგეხატრები,
ნავალ, სხვა ბედს ვენევი...
ვიცი მომენატრები,
მეტიც — შეგეხვეწები!

შუქი გათიშეს.
ჩავრთე ფიქრი —
ალტერნატივა...
კარგა დაცდილი
გზაა შევბის,
თანაც — მარტივი.



ცოტაც გაჯანჯლდი

ხომ უნდა ღირდე ამ ქვეყნად რამედ,
რომ თუნდაც ერთხელ გაჟივდე ნამით!..
და ჰა, ნამედო მზის ჯადო ნამი,
თავის თაკარა დღითა და ღამით!..
ცოტაც გაჯანჯლდი, არყოფნის ჩქამო —
ღვინო მწყურია მანავის — ჯამით!

ნაარმაზალზე

მ. მუსხერიძეს

ვით პირველ დიაცს, დროს აქ ისე უნდა მიუწვე
და დაეხარბო სულის წრთობას და გაცხოვლებას,
რომ დანანებით გაადვენო თვალი ცხოვრებას,
რომელიც ხსოვნის უღრანისკენ მგელივით იწევს.
ფარნავაზიდან ჩემს გულამდე რომ გადის — შარამ,
ვინლა არ აატ-ჩაატარა მომხვეჭ-ამკლები;
ვაზის ხნისა ვარ, არცა მეტი, არცა ნაკლები,
„ჩაკრულოს“ ვმღერი, გასაკვირად ესეცა კმარა!
მეშილიარდე დამლა მადევს იბერიელის,
კიდეც ვიცნობი გამორჩეულ ლაზათ-იერით,
სულით ხორცამდე და ძვლებამდე მთლად მიწიერი
აქ ვინყები და დამთავრება არ მიწერია.
დე დამაოსე, სიცოცხლეო, ფერთა მრავლობით,
გადაეფაფრე ამ ჩემს ყისმათს — წვნიკა ონავარს...
ენეტარებ წმინდა აზიური ჩამომავლობით
და არმაზელი წარმართივით ვწრუპავ მომავალს!

მაისის ღილა ჩამს ეჯოში

მაგრა დაატყო მაისმა ბოსტანს —
უთენიიდან აჩალებს ხატვას
და სულს, ესოდენ ცხოველს და ნეტარს,
ალარც სწადია რისამე ნატვრა!..
უფლის კვართია — გახედეთ ატამს!
ამბრი სხეულის უჯრებში ატანს...
და ვით ჭეშმარიტს შეშვენის ოსტატს —
კნუტებსა გეშავს ბელელთან კატა!

სიყვარულიც ავიკიდა

სადაც ვიყავ — ტკივილს ვმკიდი,
ჯოჯოხეთის მოველე კიდე;
მყის დამემდურ-გამერიდა,
ვისაც კრძალვით თვალი ვკიდე...
თხა ვიყიდე, თხა გავყიდე,
ლარი ჯიბეში ვერ ვიდე!..
ეს მინდოდა ახლა კიდე? —
სიყვარული ავიკიდე.

ბაგული

განა-რო მზერით,
ან სხეულით —
სულით გეხები...
მე ვარ მყნობელიც,
მსხველევიც შენი;
შენ ხარ ვენახი!

ესპანური კაპრიჩიო

ებროს ნაპირას, წნორებქვეშ, მოლზე,
სარაგოსელი ჯეილები მასხარაობენ —

მომავალი მატადორები.
იქვე ხბორები არხენინად ბალახსა ძოვენ.

ზაფხულის ღამის სიცხადე

ბადრი მთვარე თაბორზე
მოჟდა, როგორც იოგა;
ლოჯია მაქვს მისთანა —
შეშურდება დიოგენს!..
დიდებული ღამეა,
მზერას ველარ ვიოკებ,
ელიაზე — სამება,
წყნეთზე — თეთრი გიორგი!

**აქა ამბავი ტალეფონზე
ნამიერი საუბრის შემდგომ**

რად მწყავ ასე, წამის ხნით,
სმენად ხმისა შენისა —
მთის ბინულო რაკრაკავ,
სიოვ მინდორ-ველისა!
ცას არც მთვარე-ვარსკვლავი
და აღარც მზე შევენისა;
სახლი გაცარიელდა,
გულსაც იგივე ელისა...
ვითარ ვპოვო ნუგეში
და ზაფრულმა თმენითა? —
ნივთილა ვარ ურგები,
დაჟანგულის ფერთა.
ჩიტი ვიყო — მოგვერიდი
ჩემს გულისთქმას ფრენითა...
მეტს ვერ გეტყვი ამბავსა,
გამოუთქმელს ენითა!

ვეჭვობ,
ვორჭოფობ,
ვმარჩიელობ,
თავს აცად ვაქნევ;
სით არ ვინიე,
ვერ ვენიე
სანადელ საქმნელს...
და ვიდრე ვარკვევ
სანუთროსთან
საკრალურ საქმეს,
არ ვეკარები:
ღვინოს, დუდუკს,
ქალებს და სარკეს!

ლონდრა მჰკია

*„სომეხი ვარ, ტანტრე მქვია...“
ხალხური*

ბედს კვალდაკვალ სადა ვდიო —
ჩემზე ბევრად მარდია;
მიჯობს ბუხრის პირას ვიდი,
ბოლს ვაყოლო დარდია...
ჯერ თუ არც-რა მიპოვია —
არც-რა დამიკარგია!
ქართველი ვარ, ლონდრე მქვია,
რაც კარგია — კარგია!

იმ გაზაფხულის, იმ ათას ფერთა აღარ დამცალდა გულით ტარება — მოდგა ქარი და ზღვა ნეტარება ნაილო დაღლილ ტალღებთან ერთად!.. და ვიდრე ჟამი ბოლომდე მომსრავს — ორთავ თვალს მალვით ვაპარებ მალდა... მერეც იქნება აპრილი, მაგრამ იქნება შენი მეორედ მოსვლა?

გაბეზრებული ორჭოფობით, სულ ხვალის შიშით — კვლავ შენსკენ ვილტვი, უხსოვარო ოცნებებ ჩემო! თვალგაუწვდენი, უნაპირო ბურია ირგვლივ და ძლივას ვარჩევ დღეს ღამისგან, კვალს — უვალისგან... მაინც არ ვდგები, ჟამის ნადირს არ ვეპუები; ის-კი არადა, სიკვდილებზე გამოვიარე. ზღვა იარებით გულთან მომდგარს კარს ხომ გამიღებ, ხომ დამხედავ ცნობისნადილით? ჩემი დარჩენა, რომ იცოდე, შენზე კიდეა!

დილა კელასოვი

მზე რომ მთაზე გადმოდგება და გადმოშლის ოქროს თმასა — ფეთი ემართება გულსა, ამოხლეჩვა უნდა ხმასა!.. დაღმით ველი ისე დღეღავს, გეგონება ჯიბრობს ზღვასა... არ გეშინის, ქარაშოტმა უკანიდან ხელი გკრასა?!

შენ რომ არა, ნეტავ ამდენ ტკივილს როგორ ავიტანდი?! მტკვრიდან იალბუზის მთამდე ხმალს ვიქნევდი, კიდეც ვხნავდი; ეკლის გვირგვინი ხომ მდგამია, ყოფილა: დაფნისას ვწნავდი!.. მეტი რაღა უნდა მწამდეს — ქრისტე უფლის ოფლი გამდის.

სატრფოო

„არ უკიჟინო სატრფოო...“ ნიკოლოზ ბარათაშვილი

სატრფოო, სიტყვა მწყურია — გრძნობით შემოჰკარ დაირას, შართი, ამ გულში ნანური, გამახარჯვინე შაირად. საცა კი იმედს გამინთებ, იქ ვაფრიალებ ბაირალს.. არ მიკიჟინო, დამინდე — მიყვარხარ რაგინდნაირად!

მაცნობეს კრძალვით და ქუდის მოხდით, რომ მოსაკლავთა ნუსხაში მოვხვდი... მთელის არსებით უფალს მივეცი — განა-თუ შევცბუნ-შევენადღიანდი! არადა, მართლა ღირსი კი ვიყავ — ვერ თავმოყვარე შუა და კიდე!.. რას ვხარბდებოდი ამდენ სიყვარულს, ამდენი მტრობა რას ავიკიდე!.. შავი გმირი და რა არ მიწოდეს და ზოგ-ზოგები კიდეც მბაძავენ! არ შემარცხვინო, გულო, იცოდე, როცა ტომარას ჩამომაცვამენ!

გაზაფხულმა ვერხვებით მთელი შუკა მოჩითა; შენი სახლის სახურავს ვხედავ ჩემი ლოჯიდან... გულს ავკიდე ახალი ტკივილების ტომარა... ხო შენცდაგინახავდი — ეს ვერხვები რომ არა!

ყველა ასაკს ეტანება

მაშინაც წაგეტანება, უკვე რომ არ ელი — ადამდეელი ნეტარების წამ-წუთების მგვრელი... აგე, ახლაც, როგორ ყვავის, როგორ დამკრა დენი! არ ყოფილა სიყვარული საყმანვილო სენი!

უსტარი ბალაქტიონს

გალაკტიონ, გათავაზობ, გადავიდეთ ელადას, სადაც ოლიმპიური იცის ციბე-ცხელება; მე — უბელო ქარებით, შენ კი — ლურჯა ცხენებით, გავეჯიბროთ: ვინაა პოეზიის ბელადი... ვხუმრობ, რაღა თქმა უნდა და არ მითხრა აუცი — შენ თუ არა, ხამ პოეტს სხვამ ვინ უნდა გაუგოს!

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავქრე — საუფლოდ კი არ მოვსულვარ აქ მე!.. რაც რამ მეებადა, ავკიდე აქლემს, დარდილა შემრჩა, მაგრამ რას ვაქნევ — შინ დავბრანცალე, აჰანდე, საქმე, ვბილნსიტყვაობ და თან ლექსებს ვაფრქვევ!

პილოტი


ვხედავ ჩემი სარკმლიდან (სისხამია კვირადლის) — მოძრაობის წესები დაარღვია პილოტმა! თბილისს წყნეთის ზემოდან კი არ გამოუფრინა, აქეთ, ნაფეტვრებისკენ ნამოიწყო ირაო... გუშინ ქალთა დღე იყო, ბიჭმა ნაღდად ილოთა და ჰგონია ღრუბლები ქარავანი სპილოთა, სხვა რა უნდა ვიფიქრო?!

ოდენ სახთმწერლის კი არა, სახიობობის ნიჭიც მაქვს — ვდგავარ აღსავლის ჭიშკართან, ჯვარცმულის პოზა მიჭირავს... ნაზარეველის ამფსონი — ანაგურელი ბიჭი ვარ!

ეგრა კი ნუ მიყურებთ

რა? ხვნა არ მეხერხება, ანდა სხვა რამ ხელობა?... ჩემი დროშა და ხმალი — სანმისი და ვაზია! მე, ადამდე ქრისტიანს, თანაც — წინააზიელს, ბოლო ევროპელობა მაგრა არ მეცავება!

განა კი ერთი ფასი აქვთ ღვინოს და ღვინის ხელადას, ღვარძლისად თქმულა საფქვევად, წინოლა კიდეც — ბელადად?! ეგეთი უნდა ასული — სუმბული როა ველადა; ვაჟი — ლაშქარში გასული, სახელის საშოვნელადა!



ვითომ ასე ელაგოთ ოც-ოცი რომანი

ერთი დისკუსიის გამოძახილად

„ლიტერატურულმა გაზეთმა“ დისკუსიის მასალები გამოაქვეყნა: „მოკლე ჩართვის ეფექტი“ (2016, 11 ნომერი).

ნამყვანი და სამი მოწვეული სტუმარი განსჯის თანადროული ქართული პროზის პრობლემებს — რა იქმნება მნიშვნელოვანი, რითი შეიძლება წარდგეთ დასავლეთის წინაშე.

ვის აღარ ახსენებენ: ნამდვილ, თავმოსაწონებელ სახელებსაც. ცრუსახელებსაც, რატომღაც სახელები რომ ჰგონიათ, ისეთი მონინებით წარმოთქვამენ. და სახელებს, თანაგრძნობის გამო უფრო რომ უნდა მოიხსენიო, თორემ სალიტერატურო პროცესზე ზეგავლენას ვერც ვერასოდეს ახდენდენ.

შეხვედრის წამყვანს — თამარ იაშვილს — დასაწყის-შივე დასცდებოდა ოთარ ჩხეიძის სახელიც, თუმცა დანარჩენები, გია არგანაშვილი იქნებოდა, ივანე ამირხანაშვილი თუ ზვიად კვარაცხელია, საჭიროდ არ ცნობდენ მასზე რაიმეს თქმას მსჯელობის ემსში შესულები და გალაღებულები.

ეტყობა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალ-სადარდებელი აქვთ, უფრო შორს იხედებიან და... უფრო დიდ ღირებულებებსაც წონიან. თქვენი მონა-მორჩილის არსებობა კი... საერთოდ არც გახსენებიათ.

ოცი რომანი — ახლა უკვე: ოცდაერთიც — ვითომ ანგარიში ჩასაგდები არ ყოფილიყოს.

ვითომ ჰაიპარად ინერებოდეს და ჩვენში ყოველ ფენის ნაბიჯზე გვხვდებოდეს.

ვითომ დასავლეთშიც ასე ელაგოთ ოც-ოცი რომანი. არ მითხრან ახლა: ბიოგრაფიულიაო.

რომანი ზოგი ბიოგრაფიულია, ზოგი ისტორიული, ზოგი რაინდული, ზოგი ეპისტოლური, ზოგი საყოფაცხოვრებო, ზოგი ალზრდის, ზოგი ინტელექტუალური... წინ განსაზღვრებად ხან რა დაერთვის და ხანაც — რა.

ამის გამო ამა თუ იმ რომანის არსებობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

თუმცა... ეტყობა, ჩემი წიგნები არ მიაჩნიათ სალიტერატურო პროცესის მონაწილედ. ოოო, ასეთ დროს, ცხადია, რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მეც უნდა შევეგუო ჩემს ხედვას, თორემ ლიტერატორებად თავგამოდებულ ადამიანებს ნამდვილი ღირებულება როგორ გამოჩნებოდათ!..

ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ: ცრუსახელების წინაშე გადამეტებულ მოკრძალებას მაინც მოერიდონ, თორემ უხერხულია წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოებაში...

და სამადლოდ დაგდებულ მოზრდილ ბი-
ჩოკს ასევე სამადლოდ ნათხოვნი ასანთით
მოვუკიდე და ღრმად ჩაფუნაფაზე. ფილ-
ტრზე მოვარდისფრო პომადის კვალი
შეგნიშნე და თვალბინაბუნა ვცადე,
სრულად შემეგრძნო ჩემთვის უცნობის
ტუჩების გემო. ცუდი კოცნა გცოდნიათ,
მადამ! ვეცადე, რაც შეიძლება მალე
გამედეგე უცნობი ჩემი ფილტვებიდან.
ჯერ ნახშირორჟანგად ვაქციე, შემდეგ კი
ნიავეს მივაბარე. უძრავად ვიდექი და
თვალს ვადევნებდი, როგორ მიიზღაზნე-
ბოდა, როგორ ათასნაირად იცვლიდა
ფორმას კვამლი და ვცდილობდი, ამ აბ-
სტრაქციანში რაიმე რეალური დამენახა.
ბიჩოკს დავეხედე. „Kent“. ირონიულად ჩამ-
ეცინა. ვითომც არაფერი და, ვილაცამ
თითქოს კიდევ ერთხელ შემახსენა სიმარ-
ტოვე. რა ბანალურია...

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექი ასე.
ერთი ის მახსოვს, ცნობისმოყვარე ბავშვი
რომ დამიდგა წინ და ინტერესით მაკვირდ-
ებოდა. არაფერი უთქვამს, იდგა და
მიყურებდა... მასაც ზღვისფერი თვალები
ჰქონდა. ზღვისფერი თვალები და უღამა-
ზო, გრძელი თითები...

მანქანით ვიყავი. გეზი იმ ადგილის-
კენ ავიღე, სადაც სიყვარული საათებით
იზომება და 30-დან 50 ლარამდე მერყე-
ობს. აქ შენ არავის ადარებ. არც მე
მადარებდა ვინმე. აქ ყველაფერი მუქი
და ბნელია, ყველა სურვილი და ყველა
ფიქრი. ფერადი მხოლოდ კუპიურებია
და გადაღბნილი სახეები, რომლებიც
თავისკენ გეპატიჟებიან. მძულს ეს ხე-
ლოვნური, შერყენილი ადგილი; მძულს
ყველა მისი მასპინძელიც, ყველა სტუ-
მარიც. საკუთარი თავიც მძულს. და მა-
ინც, ახლა მე აქ ვარ მხოლოდ იმისთვის,
რომ... არ ვიცი, რისთვის. ან იქნებ იმი-
სთვის, საკუთარი თავის სიძულვილი გა-
ვამართლო.

როცა შენიშნეს, რომ სვლა შევანეღე და
მზერა მათკენ მივმართე, გულისამრევი
ზღაზენა გამართეს. დაყენებული მანერე-
ბით მომიახლოვდნენ და ყალბი სექსუ-
ალურობით დამინყეს დაკერვა. „იაფფასი-
ანი“ — რატომღაც პირველად ამ სიტყვამ
გამიელვა თავში. ისეთი შეგრძნება მქონ-
და, თითქოს სულმა დიდი ხანია დატოვა
სხეული და დარჩენილი სიცარიელე დამპ-
ალი საჭმელივით ყარდა. ერთი კი დავა-
პირე წასვლა, თუმცა არსად წავსულვარ.
არც იმისთვის მიმიქცევია ყურადღება, ვინ
რას ამბობდა, არც იმისთვის, როგორი გა-
მეტებით ცდილობდნენ ჩემს მოხიბვლას
და როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— დაჯექი...
დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, კაბა
მალა აინია და შიშველი მუხლები დამ-
ანახა.

მობილურში თავჩარგული თითქოს
არც კი მამჩნევდა.

მანქანა მკვეთრად დავამუხრუჭე და
მისკენ მივბრუნდი.

გახდა დაინყო...
— უცნაური ადგილი შეარჩიე, მაგარი
ხარ! — გაიცინა და სიგარეტისგან
გაყვითლებული კბილები თამამად გამო-
აჩინა.

— ჩაიცვი!
გაოგნდა. თავის მოშვებულ სხეულს
დახედა, უკმაყოფილო დაინყო ჩაცმა და
იმ თავის ყვითელ კბილებში გამოცრა:

— ბატონო?
— უბრალოდ მომისმინე! გთხოვ...
გაფართოებული თვალებით მომაჩერ-
და, თუმცა ამ თვალებში მხოლოდ ერთი
რამ ჩანდა — გულგრილობა. შემდეგ კაბა
მუხლებზე ჩამოინია, უშინაარსო მზერა
მომპაყრო და დამცინავად, ოდნავ ჩახლე-
ჩილი ხმით მითხრა:

— გისმენ.
ახლავა შევნიშნე, რომ ღრმა დე-
კოლტედან ჯვარი მოუჩანდა. ერთხანს ასე
ვაკვირდებოდი. ჩემი დაუჩინებელი მზერ-
ით ნახალისებულმა კაბაზე ორი ღილი
შეიხსნა და თვალებში მოლოდინი თუ იმე-
დი ჩაუდგა.

— მიმატოვეს.
არაფერი უთქვამს. მგონი, ვერც გაი-
გო.

— მე დღეს მიმატოვეს! — ჩემივე ალი-
არებით გაქეზებულმა, ახლა უფრო ომახ-
იანად ვთქვი სათქმელი.

ისევ არაფერი უთქვამს. თუმცა გაგე-
ბით ამჯერად ნამდვილად გაიგო. თვალებში
რადაც ტკივილის მსგავსი გაუქრთა.

რალაც ამბავი. ჩემთვის უცნობი... მაგრამ
კარგად ნაცნობი.

უცრად მთელი სხეულით შევიგრძენი
უმწეობა. მინდოდა, შევბრალებოდი; მინ-
დოდა, ყველას გაეგო ჩემი სისუსტე.
თითქოს ერთიანად გავუუცხოვდი საკუ-
თარ თავს. მერე მაჯაზე დავიხედე. ცოტაც
და გავიდოდა ის ერთი საათი, რაშიც 50
ლარი უნდა გადამეხადა. მე მიტოვებაში
ვიხდიდი ღარებს, ის ასევე გახდილ ვნებას
იხდიდა ასმეერთედ. ახლა დრო იყო, მთე-
ლი ჩემი დამდაბლებული თავმოყვარეობა
ერთიანად ამემალეებინა და სამყარო მი-
მეტოვებინა იმის ფიქრით, თითქოს უჩემო-
ბით რაიმე დავაკლდეოდა. მაგრამ მანამ-
დე ეს ქალი დაუყოვნებლივ უნდა მომე-
შორებინა თავიდან. მისი სიმსუბუქე სულს
მიმიძიმებდა. იმ სულს, რომლის სანუგემოდ
სულ ცოტა ხნის წინ თავად წამოვიყვანე.
ჩემი სიტყვების შემრცხვა. შემრცხვა იმი-
სი, რის თქმასაც ვაპირებდი და რისთვისაც
ჩავისვი მანქანაში. რატომ მტკიოდა ასე
ძალიან, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ჩემს
ტკივილში გასამრჯელო არ მომიტხოვია —
დანყლულებულ იმედგაცრუებებზე,
დაუანგებულ უიმედობაზე, დაჩირქებულ
სიამაყეზე დასაფხვად. ყველაფერი შენით
ინყება, ან დიდი მოლოდინით, ანდა გასა-
ლერტებული ტკივილებით... მოითმინე,
შენც გაგისულერთდება ტკივილები...



...დღესაც მახსოვს ის დღე, სიკვდილის
ბუნაგში რომ შევიპარე და სიკვდილის
სტენას ვუსმენდი, მოხუცის ფილტვე-
ბიდან ამოსულს... თუმცა არაფერი შემეძ-
ლო. მე მას აღარ მივატოვე, შენ კი, აგერ
უკვე წელზე მეტია, არც კი გინახავსო —
მომაძახა გაბუტული ბავშვის ხმით
სიკვდილმა და წარმოვიდგინე, როგორ
ამოხედა ნიშნის მოგებით. თითქოს ისიც
დავინახე, როგორ გადმოუბრუნდა ქვედა
ტუჩი და მერე ისევ ჩაიმაღა მოხუცის სა-
სულეში. სუნზე ვიცანი. ასეთი სუნი ადრეც
ვიგრძენი, პირველად არ ვესწრებოდი აღ-
სასრულს. დადის თურმე მხარზე მარად-
ისობაგადაკიდებული, თეთრი ცარცით და
ცხვირებზე ნიშნავს მომაკვდავებს, რომ არ
დაავინყდეს მათი წაყვანა. ადრე მითხრეს
— ცხვირის წვერი რომ გაუთეთრდება
სნეულს, დიდი-დიდი ორ ღამეს თუ გაატან-
სო. ზუსტად ორ საათში წაიყვანა მოხუცი...
მაშინ მარტო არ ვყოფილვარ და მაინც,
მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი თეთრ-
ცარცისფერი ზენრის ქვეშ იმალებოდა, არ
გამიცია, არავისთან დამიბეზლებია. არც
ჩემს თანმხლებთან და არც თეთრხალა-
თიანებთან, რომლებსაც ადრე თუ გვიან
თეთრი ცარცით ასევე დაუთხუნიდა ცხვი-
რებს. აი, თვითონ კი ყოველთვის ხმაურით
იჯახუნებს კარს. და მაინც, არ მეგულეა
არაფერი მასზე ერთგული! ის არ მიგა-
ტოვებს, სულ მასთან იქნები და გულსაც
აღარ გატკენს. ან კი, როგორღა გეტკინე-
ბა, ის რაც უკვე ამოგაგლიჯა და მინას მი-
უგდო საჯიჯგნად.

— ის არასდროს მიმატოვებს, — აღ-
მომხდა ჩემდაუნებურად და ისეთი გრძნო-
ბა დამეუფლა, თითქოს ფაქტზე მიეუსწარო
სამყაროს, თითქოს შანსი აღარ დავუ-

ტოვე. ახლა ვედარავინ შემამინებდა ამ
უნყინარი აღსასრულით, რომელიც ჩვენს
წარმოდგენაში შავი მანტიითა და ცელით,
უდიდეს ბოროტმოქმედად გვევლინება, —
ის არასდროს მიმატოვებს... — კიდევ
ერთხელ აღმომხდა და ჩემი აღმოჩენით
გაქეზებულმა ერთიც შევეუქურთხე სი-
ცოცხლე:

— ველარ გამაცურებ, შე ახვარო!!!
ღრმად მწამდა — სიცოცხლე სატუსა-
ლოა, რომელიც გვიძულეებს, მის ბოროტ
ზრახვებს ვემსახურით. გვიძულეებს, რომ
გვძულდეს, გვიყვარდეს, ვეჯიბრებოდეთ,
გვშურდეს, ვეხმარებოდეთ, ვენებდეთ,
ვტკენდეთ... და ისიც არ ვიცოდე, ამ ყვე-
ლაფერს რისთვის ჩავდივართ. თვითონ კი,
თავისსავე შეთითხნილ უამრავ მიზეზს
გვადებს ბორკილებად, რათა გაამართლოს
ჩვენი არსებობა. სიცოცხლე ის სატუსა-
ლოა, რომლის ყველა სარკმელი ამოუ-
ქოლავთ უამრავი დებულებითა თუ მო-
საზრებით, იმის შესახებ, რომ სიცოცხლე
ყველაზე დიდი საჩუქარია, რომ ის მხო-
ლოდ ერთხელ გვეძლევა, რომ მას თვალის
ჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ... სრუ-
ლი მარაზი! მაინც რისთვის? ბოლო ამო-
სუნთქვის შიშის გასამართლებლად ამ
კითხვას მილიონობით პასუხი მოუძებნეს
ლაჩრებმა და მხდალმა უგუნურებმა. მე
აღარ მეშინოდა. ახლა უკვე ვიცოდი, სა-

დაც ვიყავი. ისიც ვიცოდი, რომ ამ დახუ-
რული სივრცის მიღმა, უსასრულობა მე-
ოლდებოდა. ვიცოდი რომ, თავისუფლე-
ბაც, მარადისობაც და უსასრულობაც არ-
სებობდა, ოღონდ აქ არა... არამედ იქ... იქ,
სადღაც ამ სატუსალოს კედლების მიღმა.
უცბად საოცრად დიდი სიბრალოე ვი-
გრძენი უგუნური ადამიანების მიმართ,
რომლებიც მთელ დროს ჭიანჭველებივით
ფუსფუსში, არსებობის გახანგრძლივება-
ში ხარჯავენ და აღარ ცდილობენ მიაკვ-
ლიონ ჭეშმარიტებას.

ტკივილი ჯერ გონებას გვიბინდავს,
ძალას გვართმევს, შემდეგ კი იმას დაგ-
ვანახებს, რაც აქამდე ეფემერული იყო.

ერთადერთი, რასაც ახლა ვგრძნობდი,
იყო სიამაყე. სიამაყე და მოუთმენლობა.
მინდოდა, ჩემი აღმოჩენისთვის ხორცი შე-
მესხა და რაც შეიძლება მალე გავცლოდი
სატუსალოს. ღრმად ვიყავი დარწმუნებუ-
ლი — ცხოვრების მთავარი ამოცანა
სიკვდილის პოვნაა. სწორი სიკვდილის
პოვნა. შიშის დაცლევაც! გამარჯვებულიც
ის იქნება, ვინც უფრო მალე მიაკვლევს მას,
ვინც უფრო მალე ამოხსნის მის რაობას.
ახლა მას შავი მანტია მოეხსნა. იდგა და
მიღიმოდა. წვერი გაეპარსა. ჯინსი და
თეთრი პერანგი ეცვა.

— გიხდება, ძმაო... რომ იცოდე, რაებს
ამბობენ შენზე... მაგარ ზმანზე ხარ! —
თვალს ჩაუქარა.

— გმადლობ, შენც არა გიშავს...
ოღონდ, თუ ძმა ხარ, გამაგებინე, იმ ქალს
რას ერჩოდი! თავქუდმოვლევითი გარ-
ბოდა. გიჟი ეგონე, — მითხრა და გაიცინა.

ახლავა გამახსენდა იმ ქალის არსებო-
ბა. ვერც კი შევამჩნიე, როგორ წავიდა.
მეც ვაცივინე.

— მონევ? — სიგარას ბოლო მოაკენი-
ტა, გამომინოდა და თავდაც გააბოლა.

ინსტინქტურად გამოვართვი. დღეს
უკვე მეორედ ჩემს სიცოცხლეში, ვენეო-
დი... ჩემს სიცოცხლეში... ვიდექით უხმოდ
და უდარდელად ერთმანეთის გვერ-
დიგვერდ, ცალი ფეხით კედელს მიბჯე-
ნილები. არასდროს ვყოფილვარ ასეთი
მშვიდი.

— ისევ გტკივა?
— მგონი, აღარ.

— ასე მალე დაივიწყე?
— მე კი. აი, თვითონ კი, ვნახოთ,
როგორ აპატიებს საკუთარ თავს, ამ ამბავს
რომ გაიგებს, — ჩამეცინა, — დამანახე,
თუ ძმა ხარ, რა რეაქცია ექნება.

პასუხი არ გაუცია... ღრმად ამო-
ისუნთქა ფილტვებში ჩაგუბებული თამ-
ბაქოს კვამლი, სიგარის ნამწვი ძირს დააგ-
დო, ფეხით გასრისა და სვლა განაგრძო.
უხმოდ გავყვი. მხრებში გამართული
მივეყვებოდი. დიდი, ამაყი ნაბიჯებით.

— ისე მაგარი ვინმეა ეგ შენი ზღვის-
ფერთვალეა, თუ როგორ ეძახი? მკერდიც
კარგი აქვს, ფეხებიც... მარტო არ დარჩე-
ბა... გინდა გაყურებინო ხოლმე? ჰაჰაჰა...
აქ მეტი საქმე არც გექნება, იჯექი და
უყურე, თან ნერწყვები ყლაპე. რა იყო,
ბიჭო, რა სახე შეგეცვალა! — სიბრა-
ლულნარევი ირონიით მიყურებდა და რაც
მეტად მეტყობოდა სახეზე გაბრაზება, მით
უფრო ხმამაღლა იცინოდა.

— ნკაპ. ესეც ასე!
ვეცადე, რაც შეიძლებოდა მალე მომე-
შორებინა ცხვირიდან ცარცი... ვერ
მოვასწარი.

— ჰაჰაჰაჰაჰა! გინდა, ვითხრა ახლა რა
მოხდება? ანდა, არა... შენ თვითონ ნახავ!
ტუნაა, ნამდვილი ტუნაა ეგ შენი თითებდაგრ-
ეხილი და იქამდე იქნება ამ პოზაში, სანამ, აი,
ასე არ ვუზამ — ნკაპ! — ხელის ერთი მოძრაო-
ბით ისევ გამითეთრა ცხვირი.

— შე ახვარო! — ვცადე მუშტი მო-
მექნია და ველარ ვგრძნობდი ხელებს. მინ-
დოდა, დამეხრჩო; მინდოდა, გამოვფხი-
ზლებულიყავი; მინდოდა, მეზრძოლა იმი-
სთვის, რაც სულ რამდენიმე წუთის წინ სა-
ტუსალოდ მიმანჩდა.

— ჰაჰაჰაჰაჰაჰა! გაისმოდა ისტერიუ-
ლი სიცილი. ესეც ასე!
აგონია... მე ვეკუთნოდი მინას, რომელზეც
დავმთავრდი... მე ვეკუთნოდი მარადისობას,
რომელიც კარგს არაფერს მპირდებოდა... მე
ვეკუთნოდი მინას და არც ისე დიდი ხნის შემ-
დეგ მე თავდაც გავმინდებოდი... მე ვეკუთ-
ნოდი მოგონებებს, რომლებიც ერთ ქარიშხ-
ალად გადაივლიდა და ძალიან მალე დამთავ-
რდებოდა... მე ვეკუთნოდი ჟამთასვლას,
რომელიც უჩემოდ გააგრძელებდა დედამი-
ნის ტრიალს... მე ვეკუთნოდი სიკვდილს,
რომელიც თვითონ „დავიმეგობრე“. მე მათ
ვეკუთნოდი. და აღარ ვეკუთნოდი საკუთარ
თავს.

— ღმერთოოო, ღმერთოოოო, ღმერ-
თოოოო!.. — ვყვიროდი გამეტებით და
თითოეულ ბგერას არსებობის ჯერ კიდევ
შერჩენილ ნაფლეთებს ვატანდი.

აღარავის ესმოდა ჩემი. სიცოცხლეს
ცხვირწინ მიუჯახუნე კარი და თვითმკე-
ლელობის საკეტი ჩავრაზე.

— ღმერთოოოოო...
იყო ღუმილი და აღარ ვიყავი მე.
— ხხხხხხხ, ხხხხხხხ, ხხხხხხხ...

როცა ვიგრძენი, რომ გულის სარ-
ქველები სინქრონულად შეიკუმშა და აღარ
ტოკავდა, ერთხელ კი დამიარა ტანში, ან
იქნებ სულშიც და... სხეულით ველარაფერს
ვგრძნობდი...

— ხრრრრრრრ... — ესეც ბოლო ამო-
სუნთქვა, აღარ მეშინოდა მისი.

— ტიხარი მოიტანეთ!
ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი. ტიხ-
არი სწორედ ამ დროს მოაქვთ ხოლმე, რომ
ახალი მიცვალებულით სხვა პაციენტები
არ დაიზაფრონ!

თეთრხალათიანმა ფეხებსა და ყბაზე
დოლბანდი შემომახვია. ახლა თვალები
უნდა დაეხუჭა ჩემთვის. ნამიერი სიბრა-
ლულით დამაცქერდა. მასაც ზღვისფერი
თვალები ჰქონდა... შემდეგ ვიგრძენი,
როგორ შეეხო ჩემს ჯვრაც სითბოშერჩე-
ნილ ქუთუთოებს უსწორმასწორო, გრძე-
ლი თითები. ახლა მხოლოდ ვგრძნობდი,
ველარ ვხედავდი. თბილი ხელები ჩემს ცივ
სხეულს ველარ ათბობდა.

თითებდაგრეხილი... ზღვისფერთვალე-
ბა...

ლიტერატორი

ზაზა ფირალიშვილი

როცა ზაზა ფირალიშვილის ფილოსოფიურ ნააზრევს კითხულობ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, თითქოს მივიწყებული გახსენდება. გრძნობ, რომ ეს შენი შინაგანი გამოცდილებაა, გეხსენება „აქ და ახლა“ ცხოვრების ხედი და ყოველდღიურობაში გამოკეტილიც კი, საოცარ თავისუფლებას გრძნობ. ფილოსოფოსის ნაწერი, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ტექსტი არ არის, არც იოლი საკითხავია, ნელ-ნელა მიუყვები სტრუქტურებს და გასააზრებლად დრო გჭირდება, მაგრამ უცებ ხვდები, რომ იპოვე „გზა შინისაკენ“, ზედაპირიდან სიღრმეში ჩაყვინთო და სულ სხვაანაირად დაინახე შენი არსებობა. მთავარია, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნო ის მდგომარეობა, შობის სიხარულის ტოლფასი განცდა რომ მოაქვს. წლევედელი „საბას“ ლაურეატი დღეს ჩვენი სტუმარია.

— ნომინაცია „საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“ 5 ფინალისტი ჰყავდა. წლის საუკეთესო ესეისტიკა ტექსტად „ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა“ დასახელდა. თქვენი შეფასებით, რამდენად მაღალი იყო კონკურენცია? ვგულისხმობ იმ 4 ავტორის ნამუშევრებს, განცანით თუ არა მათ და რა აზრის ხართ ნაწერებზე?

— მართალი გითხრათ, უმეტესობის ტექსტები მხოლოდ ფრაგმენტულად ვიცი. შედარებით უკეთ ვიცნობ ოთარ ჯირველიშვილისა და თამაზ ვასაძის ტექსტებს, რომლებიც სხვა ნომინაციების ფინალში მოხვდნენ. ოთარის ნაწერებში მისი განათლება და, რაც მთავარია, სიღრმისკენ სვლის ვნებანი სურვილი მხიბლავს. თამაზთან ოთხი ათეული წელი მაკავშირებს და ერთი იმათგანია, ვისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მიხარია, რომ ორივემ მოიპოვა ჯილდო. რამდენიმე ადამიანს შორის ერთის შერჩევა ურთულესი საქმეა. ამიტომაც არასოდეს ჩავერევი ჟიურის კომპეტენციაში. ამ ადამიანებს ისედაც რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი. მთავარია, ჟიურიმ ისეთი უსამართლობა არ ჩაიდინოს, რომ ადამიანებს სამართლიანობის გრძნობა დაეკარგოთ.

ძალიან გამიხარდა, რომ ერთ-ერთმა პირველმა, ბატონმა გაგა ნახუცრიშვილმა მომილოცა. ისიც ფინალისტებს შორის იყო ამავე ნომინაციაში. ალბათ, ისე არ ფასობს გამარჯვებულის კეთილშობილება, როგორც იმისი, ვინც ვერ მიაღწია წარმატებას. პასუხად მივწერე, ვნატრობ, დმერთმა შანსი მომცეს, რომ ამითვე დაგიბრუნოთ-მეთქი. ბანალურია, მაგრამ ასეა: მთავარი ყოველთვის სადღაც სხვაგანაა — ყოველგვარი კონკურსებისა და ცხოვრებისეული აზარტის მიღმა.

— თქვენი აზრით, რამდენად ახდენს გავლენას „საბა“ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე?

— მიუხედავად იმისა, რომ უამრავ უხერხულობას მიქმნის მსგავს კონკურსებში მონაწილეობა, ძნელია, „საბას“ ღირსება ვერ დავინახო. ჯერ ერთი, „საბას“ წყალობით ქართული ლიტერატურა, როგორც ერთიანი ფენომენი, თავისი ავითა და კარგით, ყურადღების ცენტრში ექცევა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მწერლების უდიდესი ნაწილისათვის თანხა, რომელსაც იღებენ, სასიცოცხლოდ აუცილებელია. მაშინ, როდესაც ჩვენი ბაზარი შეზღუდულია და ძნელი წარმოსადგენია, მწერალმა თავისი წიგნების გამოცემით იცხოვროს, ასეთი დახმარება აუცილებელია. მილიონობით ლარის უსაზროსო კონცერტებში დახარჯვის ნაცვლად, ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისათვის, მხატვრებისათვის ცხოვრების სახსარი რომ მიეცათ, უკეთესი იქნებოდა. დაუშვებელია, როდესაც ახალგაზრდა ადამიანს ცხოვრებაში შემოიჭვივოს თანხა უჩინებდა გრძნობა, რომ ის არავის არაფერში სჭირდება. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მუშაობს კონკრეტული ადამიანის შემოქმედებითი უნარების გახსნის მექანიზმები. ლაპარაკი არ არის მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაზე. ყველა სფეროში ასეა. ეს მხოლოდ სკოლას არ ეხება. თავად საზოგადოებასაც გულგრილი დამოკიდებულება აქვს უნარიანი ადამიანების მიმართ, არადა, ჩვენი ბედი, ის, თუ როგორი იქნება ჩვენი სამყარო ხვალ, სწორედ ამ უნარიან ადამიანებზე დამოკიდებული და არა ვიღაც სასწაულთმოქმედზე. ამიტომაც იღებს ნეპოტიზმი ასეთ ვულგარულ სახეს. „საბა“ არაჩვეულებრივი მაგალითია იმისა, რომ ამქვეყნად, თურმე, ვიღაცას მაინც აინტერესებს ის, რასაც აკეთებ და რისი კეთებაც შეგიძლია.

ამ ვითარებაში ჩვენი ბიზნესის როლი სრულიად განსაკუთრებულია და ის,

რასაც „თიბისი“ აკეთებს, ძნელია, გადაჭარბებით შეფასდეს.

თანაც ამას ისიც დაუმატეთ, თუ რამდენად აუცილებელია ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანისათვის აღიარება. ასეთმა აღიარებამ შეიძლება დიდ ნიჭიერებასაც გაუხსნას გზა, თუმცა იმის საფრთხეც არის, რომ აუღიარებლობის შემთხვევაში ამ ნიჭიერებას ჩვენ ყველანი ვკარგავთ, ამიტომაც არის ასეთი ძნელი ჟიურის საქმე.

— „ფარჯიანს“ რომ ვკითხულობდი, გამახსენდა ჩემი პირველი „შეხვედრა“ მხატვართან წლების წინ, „კავკასიური



სახლის“ საგამოფენო დარბაზში. მიამბოთ მასზე, ჯერ, როგორც თქვენ ამბობთ, „კომუნისტური პირველი დონეზე“, და შემდეგ მთავარ — „მეორე დონეზე“, რაც ალბათ ისეთი შთაბეჭდილება, თანხმობა თუ „თანაყოფნა“ იყო, რომ ეს წიგნი დავანერინათ.

— ირაკლის ადრეული ასაკიდან ვიცნობდი. სულ ოთხი-ხუთი წლისა ვიყავი, როდესაც მამასთან მოიყვანეს. მამა მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე იყო. ახლაც მახსოვს, როგორ ვცდილობდი, უფროსი ბიჭისათვის ჩემი ახალი ველოსიპედით თავი მომეწონებინა. წლების შემდეგ თავდადვით მიხარა, ის ბიჭი მე ვიყავი. ისე მოხდა, რომ დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ისევე გადავეყარეთ ერთმანეთს. მთავარი შეხვედრა მისი გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ერთ-ერთ გამოფენაზე მისმა ერთმა „ხარებამ“ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ დიდხანს ვერ მოვშორდი. დაცვაშიც კი მიაქცია ყურადღება, სხვადასხვა მხრიდან როგორ ვუტრიალებდი.

დანარჩენი თავისთავად მოხდა. უკვე თითქმის ორმოცი წელია, ყოველდღიურად ჩანაწერებს ვაკეთებ. ეს ჩემთვის ყოველდღიური რიტუალია. ეს არ ვახსენებ დღიურები. ახლადგადვიდებულ მძილიდან რაღაც განწყობა რომ გამოიყვება ხოლმე, ვცდილობ, სიტყვიერ ქსოვილში მოვაქციო. თუ ვერ მოვახერხებ, მთელი დღე გაღიზიანებული დავდივარ.

ირაკლის ნახატებიდან მიღებული შთაბეჭდილება სულ უფრო ხშირად მიღვიძრებად გარკვეულ ფანსეუბებს. თუ გნებავთ, ესაა ერთგვარი მედიტაციის მდგომარეობა, როდესაც წამიერად გაჩენილი აზრისა და განცდის უცნაური ნაერთის გაშლას ვცდილობ. იმ ერთი წამის განმავლობაში თითქოს რაღაც შეგეხო და ის ვიბრაციები აღძრა, შემდგომ სიტყვიერი სხეული რომ უნდა შეიძინოს. ესაა ვიღაცასთან თუ რაღაცასთან წამიერი და იდუმალი დიალოგი, ერთგვარი თანაყოფნა. ალბათ, მსგავსი რამ გამოვიცდიათ. ეს უხედავად თითქოს ერთგვარი ფარული მუსიკალური ფონის მსგავსს აჩვენს. აზრსაც ხომ თავისი მუსიკალობა აქვს და აზრის ამ „მუსიკალურ ლოგიკას“ არანაკლებ ექვემდებარება, ვი-

დრე ფორმალურს?! სიტყვასაც თავისი იდუმალი მუსიკალობა აქვს, რომლითაც ის იმ სხეულს გამოთქვამს, რომელსაც აღნიშნავს და სხეულიც თითქოს სიტყვასთან ერთად იბადება. ყველაზე კარგად ეს პოეზიაში ჩანს, განსაკუთრებით — ხალხურში.

ზოგჯერ ისეთი გრძნობაც გიჩნდება, რომ ტექსტი უკვე არსებობს და მხოლოდ ფრაგმენტულად გამოგაქვს თავისი დაფარულობიდან. რაღაც მომენტიდან ის ჭირვეულად გატარებს თავის ჭკუაზე, თავისი ნებელობა გააჩნია. ამ თემაზე ერთი ესე მაქვს დაწერილი. სახელად „ტექსტის დაბადება“ ჰქვია. თუ გასამყდრებელი ტექსტის ამ ნებელობას არ გრძნობ, ტყუილად ცდილობ რამეს. ლექსი თვითონ მწერსო, ამბობდა ტიციანი. შენ თავადაც ტექსტის ამ ნებელობასთან მიმართებაში დგინდები, როგორც სულიერი არსება.

ასე იყო თუ ისე, ჩანაწერები დაგროვდა და თანდათან მცირე წიგნის კონტურები შეიძინა. იგი მოზაიკისავით აიკინძა. ტექსტს ხშირად ასეთი „მოზაიკური ტექნოლოგიით“ ვკინძავ. მასში შეიძლება ისეთი ჩანაწერიც აღმოჩნდეს, რომელიც სხვა დროს სრულიად სხვა ვითარების გამო

თანაყოფნის ნაივ დაღვა

დავწერე, მაგრამ აქ და ახლა გამახსენა თავი.

ტექსტი გავაცანი ირაკლის ქვრივს, ასმათს. მან და გურამ ნიბახაშვილმა დიდი დახმარება გამიწიეს, რომ გამომცემლობა „არტანუჯი“ დაინტერესებულიყო. ცალკე თემა ჩემი მადლიერება გამომცემლობის მიმართ. ბატონმა კახბეგ კუდავამ ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე მიიღო წიგნი, არადა, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ის კომერციული თვალსაზრისით ვერ იქნებოდა მომგებიანი. დიდი სამუშაო შეასრულა წიგნის რედაქტორმა თაკო ლონდარიძემ, რომელსაც ტექსტის მიმართ არაჩვეულებრივი მგრძობელობა აღმოაჩნდა. მოკლედ, კარგი და წიგნის მოყვარული ადამიანები გავიცანი. კარგად გეცოდინებათ, ესაა სრულიად განსაკუთრებული კასტა ადამიანებისა, რომელთა რაოდენობაც, რაც დრო გადის, მცირდება. განდობილთა წრეს მაგონებს.

— თქვენ ალბათ განვიცდიათ მსგავსი შეხვედრები სხვა მხატვრების ტილოებთან-სიტყვებთან, მაგრამ წიგნი მიუძღვნით იერონიმუს ბოსხს, მის მხატვრობას. რატომ სწორედ ის?

— როგორც ჩანს, ჩვენი პიროვნული ბედი ის ინსტრუმენტია, რომლითაც სამყარო გვხატავს — ცალ-ცალკეც და ერთადაც. ბოსხთანაც ახალგაზრდობის შთაბეჭდილება მაკავშირებს. პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც მამამ მოიტანა მისი მცირე ალბომი. ასეთი ალბომები მაშინ დიდი იშვიათობა გახლდათ და ბოსხსაც თუ ვიცნობდი, უმაღლეს, შავ-თეთრი რეპროდუქციებიდან. პირველი შთაბეჭდილება, ცხადია, ზერეღე და, ალბათ, სნობურიც იყო. მერე აღმოვაჩინე, რომ ამ ალბომის გადათვალისწინება ყოველდღიურ რიტუალად მექცა. მერე მხატვართან თანაყოფნის წამიც დადგა. გამოცდილი გექნებთ, ამ დროს ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს დაკვირვების ობიექტი შენი მეშვეობით ცდილობს რაღაცის გამოთქმას. ასე გაჩნდა მცირე წიგნი ბოსხის შესახებ. მეგონა, წიგნის გამოცემის შემდეგ ეს თემა ჩემთვის ამოიწურებოდა, მაგრამ დღემდე ვუბრუნდები მას. წმინდა ანტონის თქმავ მომთხოვს ინტერპრეტაციამ კვლავ მომთხოვა მასთან მიბრუნება და, ალბათ, მივე-

ბრუნდები კიდევ. ეს იმას ჰგავს, დიდ მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი რომელიმე თემა ხანგამოშვებით რომ წამოწყოფს ხოლმე თავს.

სხვა მხატვრებზეც მაქვს მცირე ტექსტები, პერიოდულად ვაკეთებ ხოლმე ჩანახატებს. ზოგჯერ ეს ხელის გასაფარჯიმებლად კეთდება, უფრო იშვიათად ეს შედეგია იმ თანაყოფნისა, რომელიც თქვენც ახსენეთ.

— მხატვრობა, მწერლობა, მუსიკა — ეს ერთნაირი სივრცეებია ქმნილების განსაფენად? სამივე სივრცე ერთნაირად „აკითხვამთ“ და აღიქვამთ?

— ალბათ, თავდაჯერებული ვარ და არ მინდა, საკუთარ თავს საზღვრები დავუწესო, რაიმე სფერო ჩემთვის უცხოოდ მივიჩნიო. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი მუსიკალური განათლება არ მაქვს, ამ სფეროსაც მეგობრებთან და მუსიკალური ტერმინებიც მომიშველიებია. შემდეგ, ცხადია, ვაზუსტებ, რამდენად სწორად გამოვიყენე ტექსტის დაბადებისას ნებისმიერ რამეს იშველიებ ადამიანი. როგორც ვთქვი, შეიძლება უკვე ადრე დაწერილი ტექსტიც გავიმეო და მისი ფრაგმენტები ახალში გადმოვიტანო. აზრი მუსიკალურ თემსავეთ ვითარდება. სწორედ ეს მინდოდა მეთქვა ფარჯიანისადმი მიძღვნილი წიგნის ერთ-ერთ თავში „ფიქრის თავგადასავალი“. ამ აზრით, ჩვენი ცხოვრება თითქოს ფუგირებული და გაჯერებულია სხვადასხვა თემით, რომლებიც ხან ერთმანეთისგან უცხოვდებიან, ხან კიდევ ფარავს ერთმანეთს. მხატვრობა, მწერლობა თუ მუსიკა ამ დროს მხოლოდ ინსტრუმენტებია საიმისოდ, რომ ამ ფუგირებას გზა მისცე და შედეგად რაღაც დაიბადოს.

თქვენს კითხვას სხვაგვარად დავსვამდი: საკითხი ფერის, სიტყვის, ბგერისა თუ ფორმის ნებელობაში მოქცევას შეეხება. თუ ამ ნებელობაში ხარ, მაშინ ახალი ტექსტის დაბადების შანსიც ჩნდება.

სხვაგვარად ვიტყვი: ნებისმიერ შემთხვევაში, ვერბალური, მუსიკალური თუ სხვა ტიპის ტექსტი ერთგვარ შესავალს წარმოადგენს. იგი არასოდეს არის „შიგნით“. მას მხოლოდ მინიშნება თუ შეუძლია „შიგნით“ მიმავალ გზებზე. ისევე და ისევე იმ საერთო ადამიანურ გამოცდილებას ვგულისხმობ. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მთავარი მისი დაღვრების შემდეგ იწყება, მაშინ, როდესაც მის მიერ გაცოცხლებული მეტაფორები დამოუკიდებლად იწყებს შენში „მუშაობას“ და სულის ახალ პერსპექტივებს ათავისუფლებს. ესაა სწორედ გზა „შინისაკენ“, რომელიც შეიძლება სრულიად არ აღმოჩნდეს ისეთი, როგორც ვგეგმონა და როგორსაც ველოდით. ყოველდღიურობაში ჩვენ, თუ შეიძლება ითქვას, წარსულის სუბსტანციით ნაგებ სამყაროში ვცხოვრობთ. იგი კალეიდოსკოპს ჰგავს. თითქოს სულ ახალი და ახალი ფიგურები იხატება, მაგრამ პერსპექტივაში იგი მუდამ თავის თავს უბრუნდება. თუ ტექსტი წამიერად მაინც ხსნის ჩვენში „აქ და ახლას“ ხედს, მაშინ ის ღირებულია.

— თქვენი ტექსტები თემატურად განსხვავებული ერთმანეთისგან, წერო მხატვრებზე, მწერლებზე, ფილოსოფოსებზე, პიროვნებებზე, მოვლენებზე, შინაგან გამოცდილებებზე, მაგრამ ისინი ძალიან ჰგავს ერთმანეთს იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულს შეუძლია დაეხმაროს კეთიხველს, აპოკალიფს შინაგანი საყრდენი და აგრძობინოს „აქ და ახლა“-ს აუცილებლობა. ერთ-ერთ ესეში, „ბატონი ნიკო და ბატონი მერაბი“, წერთ: „ერთი ნუთით გავიხსენოთ, თუ რას ნიშნავდა პიროვნების არსებობა იმ სამყაროში, რომლიდანაც მოვიდვართ... ეს იყო იმედი იმისა, რომ გარემოში რომელსაც პატარაობიდანვე განვიცდიდით ტოტალურ ციხედ, სადღაც, ვიღაცის წყალობით, ცოცხალ სულიერებას ვხვდებოდით... როგორ დგას ფილოსოფოსი, მწერალი, მხატვარი საზოგადოების წინაშე, რა ძალა აქვს მას, როგორია მისი მნიშვნელობა სამყაროში?“

— ყოველი ადამიანი, ვისაც ცხოვრების განმავლობაში გადავეყრებით, რაღაც განსაკუთრებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობის მატარებელია. უფლის წყალობით, ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით ხოლმე, ვინც ჩვენს სულის ღრმად დაფარულ წერტილებს აღვიძებს და მთლიანად ცვლის ჩვენი სულის რელიეფს. ასეთი შეიძლება იყოს

ძალზე ცნობილი ადამიანიც და სრულიად უცნობი. მთავარი ის როლია, რომლის შესრულებაც მას ძალუძს საიმისოდ, რომ რაღაც სხვა პერსპექტივაში ვიარსებოთ და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჰორიზონტში არ ჩავრჩეთ. საბედნიეროდ, ქართველებსაც გვყავს ასეთი ადამიანები. ზოგს ვაფასებთ, ზოგს ვწყევლით, მაგრამ მათ თავისი როლი შეასრულეს. გვსურს თუ არა, იმ სამყაროში გვიწვევს არსებობა, რომელსაც მათ კვალი დაამჩნიეს.

მათი ამოცანა ძალიან ჰგავს პედაგოგის ამოცანას: ის გამოცდილება უნდა გაგახსენონ, რომელსაც, თურმე, ვატარებდით. ამას ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა. ხომ გამოგვიცდიათ, როდესაც რაღაც მნიშვნელოვანს აღიქვამთ, როგორ გიჩნდებათ უცნაური გახსენების გრძობა და სიხარული იმ გახსენების გამო? ბედნიერებაა, თუ შენი ტექსტი ზოგჯერ მაინც იწვევს ამას.

ჩვენ ყველანი ხომ ერთად ერთ დიდ, ფარულ ადამიანურ გამოცდილებაში ვცხოვრობთ. თუ არა ეს საერთო ადამიანური გამოცდილება და ცოდნა, მარტოოდენ სოციალური ატომები ვიქნებოდით. მისი წყალობით კი ვბრუნდებით იქ, სადაც ვართ კიდევ, ოღონდ არ გვახსოვს: „აქ და ახლა“. ჩვენ იშვიათად ვართ „აქ და ახლა“. ჩვენი სულის მთელი ჰორიზონტი გადავსებულია წარსულით. წარსულის გამოცდილებებია, რომლებითაც ვფიქრობთ და ვაფასებთ. ნახსენები გამოცდილებების წყალობით კი ჩვენ „აქ და ახლა“ ვბრუნდებით. ასე გვაბრუნებენ „აქ და ახლა“ ბაბი და მოცარტი, ფელინი, მამარდაშვილი და ფარჯიანი — იმ ჰორიზონტში, რომლის წყალობითაც ადამიანები გვქვია.

ვიმეორებ, საბედნიეროდ იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც ასეთ განსაკუთრებულ როლს თამაშობენ და არა მხოლოდ ჩემთვის: ბატონი ნიკო ჭავჭავაძე, ბატონი მერაბ მამარდაშვილი, ქალბატონი ნაირა გელაშვილი, ბატონი გურამ ლებანიძე, ბატონი გიორგი, იგივე, ჟორეს ცინცაძე, თაზო ბუაჩიძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ თევზაძე და უამრავი სხვა. მათი კვალი მთელი ცხოვრების განმავლობაში მომყვება. ასეთი შეხვედრები დიდი მადლია.

— ძალიან იმოქმედა თქვენმა ესემ „ილია — ისტორიული კონტექსტი და პიროვნება“. იქ არის ძალიან ღრმა პარალელები თანამედროვე ეპოქასთან, თანამედროვე საქართველოსთან. თითქოს ეს-ესაა დანერგული ისტორიის განვითარების შეჩერების, ვერგამოდნების, თავის ვერდაღწევის მიზეზზე.

— ეს ტექსტი ათიოდე წლის წინ დავერე. ქალბატონი ირმა რატინის წყალობით ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთ პროექტში ვიყავი ჩართული. საერთოდ, რამდენიმე ესე მაქვს დანერგილი ქართველ მწერლებზე. ქალბატონი მანანა კვაჭანტირაძეც „მაიძულეს“, რომ „კრიტიკისათვის“ ყოველწლიურად თითო ესე მივიწოდო.

ჩვენს ლიტერატურაში თითქმის ზედაპირზე დევს ჩვენი სულიერების ბედი. თუ ის არ გავიზიარებთ და გავიაზრებთ, დღევანდელობას ვერ გავუძლებთ. ჩვენ მთლიანად უნდა გავიაზროთ ჩვენი სულიერების მიერ განცდილი ტრაგედიის მასშტაბები XV-XIX საუკუნეებში და შემდეგაც — ბოლშევიკური სოციალური ინჟინერიის დროსაც. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს, თუ შეიძლება ითქვას, განსაზღვრული — მივაგნოთ იმას, რის გამოც სამყაროს ჯერ

კიდევ ვჭირდებით. ჰო, კიდევ ისიც უნდა დავიფიქროთ, რომ აქ, სადაც ჩვენ ვართ, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი შეიძლება მოხდეს. ამის გარეშე კვლავ იმ ზერეულ არსებებად დავრჩებით, ვისაც ვერ გაუგია, სად მოხვდა და, როგორც იტყვიან, „იქ არ არიან, სადაც არიან“. კვლავ ფსევდომისტიკურ ნაციონალიზმსა და სნობურ ლიბერალიზმს შორის ვიმოძრავეთ.

— და მარადიული აუცილებლობა თუ გამოსავალი, თავის გადარჩენის უტყუარი შანსი, რაზეც მერაბ მამარდაშვილი ერთგან წერდა — „მართლად და პატიოსნად აზროვნების უნარი“.

— გავისხენოთ, თუ როგორ ხშირად ვცდილობთ გადარჩენას სიცრუეში ჩარჩენით და „დასაშვები“ და „აუცილებელი“ სიცრუის მომარჯვებით. ჰოდა, სამყაროც უღმობლად იძიებს ხოლმე ჩვენზე შურს. სამყარო თითქოს ჩასაფრებულა, ჩვენს ყველა დაუმთავრებელ ფიქრს თუ აშკარა სიცრუეს აშიშვლებს და უკან გვიბრუნებს. არადა, ძალიან გვაშინებს სიცრუის კომფორტის დათმობა. „მართლად და პატიოსნად“ აზროვნება პროცესია და არა ფაქტი. ასე მგონია, რომ თუ ამ პროცესს ალფერავთ ჩვენს თავში, თუ ექსტრემალური სიცხადეებისა და „მოპოვებული“ ქეშმარიტებების კომფორტზე უარს ვიტყვით და ვაღიარებთ, რომ, როგორც ამას პრუსტი ამბობდა, ცხოვრება დროში გაჭიმული ძალისხმევაა, ცხოვრებაც შეიცვლება. არ ალფერავთ და არ უნდა გაგვიკვირდეს იმ კოლექტიური ავსულების არსებობაც, რომლებითაც სავსეა ჩვენი გარემო.

— მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება თანამედროვე ქართული მწერლობის, თანამედროვე მხატვრობის მიმართ.

— ბევრი არაფრის თქმა შემიძლია. ქართული ხელოვნება ამოვარდა იმ კონტექსტიდან, რომელიც 70 წლის განმავლობაში იმყოფებოდა და ახალი კონტექსტის ძიებაშია. ამ პროცესში გვხვდება როგორც ელიტური სნობიზმი და ზერელობა, ისე საინტერესო ცდებიც. მე მაინც მიჭირს, ყოველ ახალ მოვლენას თვალი ვადევნო და ჩემი აზრი ვერ იქნება ავტორიტეტული.

ერთ რამეს მაინც ვიტყვი: ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამქვეყნად ხდება, ხდება იქ, სადაც ვართ. ძნელად წარმომიდგენია მწერლისათვის ისეთი მრავლისმომცემი გარემო, როგორც 90-იან წლების საქართველო იყო. არადა, თუ ორიოდ განმარტავთ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს ეპოქა შეუმჩნეველი დარჩა. ყველანი მას ვუცქერდით, როგორც რაღაც დროებითს, რომელიც ჩამთავრდება და ერთბაშად ყველა სიკეთეს მივიღებთ. არადა, არ ჩამთავრდება მანამ, სანამ ჩვენივე ძალისხმევით არ ვამხელთ იმ კოლექტიურ დემონებს, მაშინ თავის ჭკუაზე რომ გვატარებდნენ. წარსულს უცნაური სიცოცხლე აქვს. ის არასოდეს არ ქრება. სწორედ მაშინ, როდესაც გვგონია, რომ დავაღწიეთ თავი, ახალი კოლექტიური ავსულის სახით გვევლინება. ცხადია, იოლია, ამ კოლექტიურ ავსულს კონკრეტული ადამიანის სახელი დაარქვა, ამით გაუცხოვრებ მისგან და თავი დაიშვილო, მაგრამ ვერსად გაექცევი. ის სახეს იცვლის და აუცილებლად მოგიბრუნდება, სანამ არ აღიარებ, რომ მართლად და პატიოსნად აზროვნება ჩვენი ვალია, როგორც ადამიანებისა.

მწერლობას ამ საქმეში უდევს როლის შესრულება შეუძლია. კონკრეტული გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ. რამდენიმე ძალზე ნიჭიერი ადამიანია, რომლებიც, როგორც მეჩვენება, უმეტესად აბსტრაქტული თემებით არიან გატაცებული. არადა, ნებისმიერ თემას მხოლოდ მაშინ ეძლევა საზრისი, თუ ისინი ყველა ჩვენგანს ეხება, ჩვენი ყოველდღიურობის ქსოვილშია ჩართული. ჩვენი კონკრეტული გარემოა ის, რამაც შეიძლება მწერლობა მიიყვანოს აბსტრაქტულ თემებამდე, იმ ჰორიზონტამდე, სადაც მთელი კაცობრიობა ცხოვრობს. ამის გარეშე ახალი კონტექსტი ხელოვნური იქნება. მაგრამ ისიც ცხადია, საკმარისია, გამოჩნდეს ერთი ინდივიდი, რომ მთელი ჩემი მსჯელობა დაინგრევა. ჰოდა, სწორედ ეს ინდივიდი აღმოჩნდება ერთიანი კაცობრიული კონტექსტის სრულფასოვანი მონაწილე.

ესაუბრა თამარ ჭურული

ქეთო დავითური ჭჭჭრრრ

მაშინ, როცა ცაზე ჭინკები დათარეშობდნენ, მიწას ეძინა. ლამეულ ზმანებებს გაფურბოდი. გაფურბოდი თავბრუსხვევად ქცეულ აბსტრაქციებში. უშფოთველობა მამფოთებდა. მხოლოდ მე ვიყავი სიკეთის მოჩვენებით სავსე ვინრო დერეფანში. ოხ, რა ბებრები იყვნენ, რა ფერმკრთალები ეს უკბილოდ მომღიმარი, ბოგანობად ქცეული ლანდები და მაინც ბედნიერები. ცეკვავენ, ცეკვავენ თავდავიწყებით. თავს არ ზოგავდა ვიოლინო. აკორდს აწყდებოდა აკორდი, ბგერას — ბგერა, მიწას აწყდებოდა წვიმა. წვეთს — წვეთი. ო, როგორ წვიმდა! მზერა უნებურად ჭერისკენ მივმართე. თვალისმომჭრელად ლამაზი იყო სიბერის ბზარებიდან დანახული მტირალი მთვარე. იქნებ არც ტიროდა, იქნებ დასცინოდა სიკეთის ლანდებს?! ვგონებ, დასცინოდა. ღამე ვერ დაიტევს ამდენს. ვერც მთვარე დაიტევს ამდენს. ვერც მიწა იტევს. მე როგორღა დავიტიო?! უარაფრობით შეპყრობილი ჩემდაუნებურად ვივსებოდი. ღამე იღვრებოდა ჩემდები ფიქრის საღერლელს მიმღიდნენ. უარაფრობისთვის ბევრი იყო. ბევრი იყო ჩემთვის. გაქცევა ვცაადე. ვცაადე არა იმიტომ, რომ არ მომწონდა, უბრალოდ თავს დატაკად ვთვლიდი მათთან. გავიქეცი! მიწადა ამომეღუსთქა — ჰაერის უსასრულობისთვის მიმებარებინა ღამის ზმანება. იქმას ვერაფერს შეამჩნევდა. იქ, იმ უნონობაში უთუოდ დაიკარგებოდა, ჩემთვის კი მძიმე იყო, ზემდებლად მძიმე. სხვენში ავედი, აქ მხოლოდ მე ვიყავი რეალური. მე და თამბაქოსფერი გულგრილობა. არ შევუმჩნევია, რაღაცას ითვლიდა გამალებით. დამტკერილ სკამს სული შევუბერე და დავჯექი. მოულოდნელად ოდნავ ჩახლეჩილი ხმით მკითხა:

- იცეკვებ მათთან?
- არა...
- გეშინია?
- ცოტა.
- რისი?
- საკუთარი თავის.
- უგუნური, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

- შეგიძლია, დამეხმარო?
- რაში?
- გაქცევა მიწადა.
- დახმარება რომ შემეძლოს, საკუთარ თავს დავეხმარებოდი.
- გულწრფელობის წინაშე ყოველთვის ამაყია გულგრილობა.
- გულწრფელობამ დამლუპა.
- ისეულელება!
- გულწრფელობამ დამლუპა-მეთქი!
- ტყუი!
- დამლუპა-მეთქი! დამლუპა! დამლუპა! — ხმას აუნია, ქვითინი შეერია ხმაში.
- შენც ყალბი ყოფილხარ, გულგრილობა! ხომ ხედავ, ცირო.

ველარ ვერკევიდი, სად ვიყავი. სკამზე ჩამოვჯექი. ვირწნოდი. ო, რა საშინელ ხმას გამოცემდა... ჭჭჭრრრ... ჭჭჭრრრრ... ჭჭჭრრრრრ... არ მიწადა, რამეზე მეფიქრა. ის ისევე ქვითინებდა. თამბაქოს კვამლში გახვეული, კიდევ უფრო ცივი და სასტიკი ჩანდა. ვხედავდი, თანდათან როგორ პატარავდებოდა, როგორი უმწეო ხდებოდა ეს „სისასტიკე“.

- შეგიძლია? — მოულოდნელად მკითხა.
- რა? — ისე ვუპასუხე, არც კი გამიხედავს მისკენ. სკამზე ვიჯექი და ვირწნოდი... ჭჭჭრრრრრრრრ, ჭჭჭრრრრრრრ, ჭჭჭრრრრრრრ... და ამ ჭრიალის ხმას ვუნწყობდი საკუთარ ფიქრებს.
- ნამიყვანე მათთან.
- შევჩერდი. ნელა მაშოვდექი. თითქოს ნახალისებულმა, თითქოს არარაობად ქცეულმა ცინიკურად გადავხედე. საკუთარი ხარხარის ქეთო მაშინებდა...

- რაო, გულგრილობა, ხომ არ დნები?! აბა, კარგად შემომხედე! შემომხედე-მეთქი! ჰაჰაჰაჰაჰაჰა! ჰაჰაჰაჰა! ჰაჰაჰაჰაჰა!
- გაჩერდი! — შემევედრა უმწეო ხმით.
- დნები! დნები! ჰაჰაჰა! ჰაჰაჰა!
- რაო რაო?! რას მიყურებ! ვის არ უცდია, შენსავით მხდალს, გულგრილობისთვის შეფარებინა თავი? გატკინეს, არა? სულში ჩაგაფურთხეს, არა? გაგყინეს, ხო? და შენც, უმწეომ, ამგვარი გზით სცადე თავის დაღწევა, ხო? მხდალო! მძულხარ! გესმის?! მძულხარ!!!
- ნამიყვანე...



— და შენ რას ეტყვი მათ? რით იმართლებ თავს? არავის აინტერესებს მიზეზი! არავინ აიტყვის თავს იმაზე ფიქრით, თუ რატომ ხარ ასეთი და მით უმეტეს არავინ ეცდება, საკუთარ თავში ეძებოს დამნაშავე! თუ დაინახეს, იცი რას იზამენ? შუბლით შეასკდებიან ყოფიერებას და შენზე ფიქრებს იმ განყვეტილი ნამუსის ძარღვის ადგილას შეინახავენ.

— და თუ ასეა, რატომ მბაძავ, რატომ მომაკითხე?! — აქომინებული მეკითხებოდა გულგრილობა და ძალას იკრებდა.

თითქოს ცივი წყალი შემეხსეს სახეში. თითქოს სარკეში ჩამახედეს და მაიძულებენ ის დამანახონ, რასაც გაფურბოვარ. არ ველოდი. არ ველოდი. იქნებ იმასაც კი ვფიქრობდი, რომ არაფერზე ვფიქრობდი... მე მხოლოდ ტკივილი მანუხებდა. გაქცევა მსურდა და ამის მეტი არაფერი იყო ჩემს გონებაში. მე ხომ სიკეთესაც ვაქეცი?! ვაქეცი იმას, რასაც ამდენი ხანი ვეძებდი. ნეტა რისთვის ვიმეტებდი თავს, რას ვართმევდი და რისი მიცემა მსურდა?

— დავილაღე... დავილაღე... დავილაღე... — ვიმეორებდი დაუსრულებლად... ქვემოდან მუსიკა ისმოდა, საამო მუსიკა. ცეკვავენ.

- მაცეკვე.
- ძალა არ მყოფნის.
- მაცეკვე! აი, ასე! კარგია! კარგია...

მთელი ღამე ვცეკვავდით მე და გულგრილობა. ვეფურბოდი სახეში და ვხვდებოდი, რად შეიძლებოდა ვქცეულიყავი. მიყურებდა ის და ცდილობდა, მე დამმსგავსებოდა. ერთი ნაბიჯი გვაშორებდა ერთმანეთისაგან, ორივეს ერთად კი — ადამიანობისაგან.

— ერთი, ორი! ერთი, ორი! — უაზროდ ვიციხოდით. ვცეკვავდით თავდავიწყებით. ვცეკვავდით რიტმარულნი, თავბრუდახვეულნი და გვიხაროდა გადარჩენა.


— მოდიან. მოდიან! დავიმალოთ! მოდიან!..

მუსიკაც შეწყდა. დაბნეული შევცქეროდი ხან თამბაქოსფერ გულგრილობას, ხანაც — ლანდებს. სიცივე მეპარებოდა, სინათლე მჭრიდა თვლებს.

— თენდება... დაიმალო! აქ ნუ დგახარ! უძრავად ვიდექი და ველოდებოდი, როდის შემოაღწევდა სინათლე ჩემში. პირობითი სინათლე. განაცრისფრებულ დილაში და უფრო ნაცრისფერ სულში. არ ვიცი, რა ხდება დამიღამით. არც ის ვიცი, მეძინა, თუ მეღვიძა. ერთი კი დანამდვილებით ვიცი — ქალის შემოიპარა ჩემში. ასე ხდება, როდესაც საკუთარ თავს უღრმავდები. ვერ უძლებ! სიმშვიდის ძიებას იწყებ საგნებში და ვერაფერს გველის. თავს იტყუებ. რალა დაგიმალოთ და, იმ ღამის მერე აღარ ვცდილობ საკუთარ თავთან მართო დარჩენას. სარკეში ბევრად ლამაზი ვჩანვარ, ვიდრე იქ, სადაც ჩემში, სინამდვილეში.

ვითომც არაფერი, ავდექი და ფინჯანი ყავით გავუმასპინძლი დილას. შემდეგ ქუსლებზე შევყავნი ჩემი თავდაჯერებულობა და სადარბაზოს კიბე სწრაფად ჩავიბრინე. მგონი, მეზობელი მომესალმა. პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი — მეჩქარებოდა. სამსახურში ყველას ვუღიმიოდი. შესვენებაზე ქუჩის კუთხეში პატარა კაფეში შევედი, მენიუ ავიღე... წინ გოგო მეჯდა უმფოთველი სახით, სიგარეტით ხელში. გამალებით ითვლიდა რალაცას. არ შევუმჩნევია.

თამბაქოსფერი გულგრილობა — გავიფიქრე და სასმელი შევუკვეთე მიმტანს... თამბაქოსფერს, რატომღაც, ღვინისფერი ვამჯობინე.



არისტოქრატული როგორც წერს, ისტორია მხოლოდ იმას აღწერს, რაც მოხდა, ხოლო ლიტერატურა იმას, რა შეიძლება მომხდარიყო. მსოფლიო ლიტერატურას კი აქვს არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც ლიტერატურული გამოძიება უფრო ახლოს მიდის სიმართლესთან, ის რეალობას აღემატება და მომხდარი წარმოსახულ განზომილებაში ახალი ლოგიკური ახსნა და მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც მკითხველი მწერალს უფრო უჯერებს, ვიდრე ისტორიკოსს. ცნობილი ამბავია, როცა თომას მანმა თავის მდივანს დასრულებული რომანი „იოსებო და ძმანი მისნი“ გადააბეჭდინა, ქალმა მადლიერების გრძობით, გაოცებულმა და აღტაცებულმა უთხრა, ძლივს არ გავიგე, სინამდვილეში რა მოხდაო. ქართულ სინამდვილეში ისტორიის „ცარიელი“ ფურცლების „შევსების“ წარმატებული მაგალითია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელმაც მკითხველი დააჯერა გამოგონილი ამბის რეალურობაში.

„სროლა კარგად რომ მესწავლა, ბიზონებს ვხოცავდი“, უთხრა მეგობარმა ცნობილ ავაზაკს ბილ ჰარიგანს, რომელმაც მშვიდად უპასუხა: „მე ამ საქმისთვის ადამიანებს ვესვრი“ — ვკითხვობთ ბორხესის მოთხრობაში „გულგრილი მკვლელები ბილ ჰარიგანი“ წიგნიდან „მსოფლიო მზაკვრობის ისტორია“. ასეთი ისტორია ქართველი გულგრილი და მშვიდი მკვლელების ამბებზეა შექმნილი „გამდიდრებული“ მათ შორისაა დღემდე გაუხსნელი საქმე საქართველოს კათალიკოსის, კირიონ მეორისა (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილისა), რომელიც 1918 წლის 26 ივლისს მოკლეს მარტყოფში. თუმცა, მაშინდელმა გამოძიებამ თვითმკვლელობის ვერსია აღიარა, საზოგადოებამ არ დაიჯერა. თავზარდამცემ ამბავს პატრიარქის არანაირი სულიერი აშლილობა თუ რამ მსგავსი მიზეზი არ უძღოდა, რაც ერის სულიერ მოძღვარს ამ ნაბიჯისკენ უბიძგებდა ან გახდებოდა საბაბი ამგვარი სულისწარმწყმედი მოქმედებისა. გათავისუფლებულ საქართველოში ის თავის დიდ საქმეებს აღასრულებდა. მას მძიმე და ძნელი გზა გამოეწოდა პატრიარქობამდე, გადაელახა უამრავი დაბრკოლება, ხიფათი, გაეძლო გადასახლებისა და დევნიდისთვის და ახლა, როცა მთელმა ერმა უდევდეს ნდობა და სიყვარული გამოუცხადა, სრულიად წარმოუდგენელი იყო, სიცოცხლე ამ გზით მოესწრაფა და ღვთის ნებას შეინააღმდეგებოდა.

ამ შემთხვევაშიც, თუმცა, ფაქტობრივმა გამოძიებამ თვითმკვლელობა დაადგინა, არსებული საეჭვო გარემოებები მონობდნენ, რომ პატრიარქი თავს ვერ მოიკლავდა. და როცა რეალობა უძღურია ტრაგიკული გამოცანების ამოსახსნელად, მაშინ მშველელად ჩნდება რომელიმე შერლოკ ჰოლმისი, ყველგანშემღმევი მზერიო, გამჭრიახი გონებით, უცნაური ლოგიკითა და მაგიური ანალოგიით, რომელიც მკვლელობის საქმის გახსნამდე მივყავართ. ამგვარ დედექტივად გვევლინება თანამედროვე მწერალი ლაშა იმედაშვილი, გამორჩეული ხელწერისა და მხატვრული აზროვნების ავტორი, რომლის შემოქმედებაც მკითხველის ყურადღებას იქცევს ამბავთა მრავალფეროვნებითა და თხრობის ოსტატობით. მისი რომანის, „პატრიარქის შემოდგომის“, მთავარი ამბავიც ესაა — გამოძიება და დადგენა, ვინ, რატომ, რისთვის, რა მოტივით ჩაიდინა მკვლელობა. მწერალი ამ რომანში ქმნის ახალ მხატვრულ განზომილებას, რომელშიც „პეპლის ეფექტი“, პრინციპით, რა შეიძლება მომხდარიყო, დრო რომ უკან გადაგვეხვიო, არკვევს მოვლენათა თანამიმდევრობის ლოგიკას. მას ამ საქმის დიდი გამოცდილება აქვს, ამაზე მეტყველებს მის მიერ „გამოძიებული“ იმგვარი ცნობილი, რეზონანსული საქმეები, როგორებიცაა: მაცხოვრის ჯვარცმა, ილია ჭავჭავაძის, ვანო მარაბლის და სხვა მსგავსი გაუგონარი მკვლელობების ლიტერატურული გამოძიება.

ამგვარ შეჭრას რეალურ ისტორიაში მწერალი პოსტმოდერნისტული სტრატეგიებით ახორციელებს; მისი ამოცანაა დროის პალიმფსესტის იმ შრემდე მიღწევა, რომელსაც მკვლელობაში მონაწილე პიროვნებათა კვალი ამკარად ატყვია. ცნობილ დეტექტიურ რომანთაგან განსხვავებით, როცა უკვე ჩადენილ დანაშაულს

მაია ჯალიაშვილი

ლიტერატურა VS ისტორია

ლაშა იმედაშვილის „პატრიარქის ზაფხული“

იკვლევს რომელიმე გონებამახვილი ადამიანი, ამ ნაწარმოებში თვითონ მოვლენები და ამბები იხატება, რომლებიც მკითხველს მკვლელობის თანადამსწრედ და მყურებლად აქცევენ.

მწერალი ხატავს ეპოქას — ახალი, როგორც რობაქიძე იტყობდა, „დემონოკრატიული“ (და არა დემოკრატიული) ბოლშევიკური, ტოტალიტარული იდეოლოგიის დამკვიდრებას საქართველოში. მართალია, ჯერ 1918 წელია, მაგრამ უკვე მზადდება 1921 წელი, როცა წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყანას სამწლიანი თავისუფლება ხანმოკლე სიზმრად უქცია. მარქსისტულ-ლენინური ანტირელიგიური პროპაგანდა ამქვეყნიური სამოთხის ყალბი დაპირებით მრევლს იმრავლებდა. დგებოდა კომუნისტური ცრურწმენების ეპოქა, რომელსაც ადამიანური ყოფა აბსურდამდე მიჰყავდა. ღვთისუარყოფა დასავლურ სამყაროში თავისთავად იკავებდა გზას, იქ მცენიერულ-ტექნიკური პროგრესი და ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობანი ედო საფუძვლად. ნიჭშეს ზარატუსტრას ნაქადაგევი ღვთის სიკვდილის ამბავი მთელ მსოფლიოს მოსდებოდა და ადამიანური გონებისთვის ახალი დამაბნეველი გამოცანა მიეცა.

რომანის სათაური, რა თქმა უნდა, ასოციაციურ გადაძახილს იწვევს გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომისთან“, თუმცა ეს გადაძახილი მხოლოდ სათაურების სიბრტყეზე რჩება და არანაირი სხვაგვარი განზომილება და სიღრმე არ გააჩნია. მარკესი ძალაუფლების ფსიქოლოგიურ ასპექტებს წარმოაჩენს მარადიული პრეზიდენტის, იგივე პატრიარქის სახით, რომელიც ყოველმხრივ ებღაუჭება დესპოტიზმის საჭეს, რათა გახდეს არა მხოლოდ საკუთარი ხალხის, არამედ კოსმიური ძალების მბრძანებელი. მისთვის სამშობლო „მხოლოდ კარგი გამოგონებაა“, რათა ხალხი ვიპატრონიტის მის ყაბილ სულისკვეთებით დააბრმავოს, დაიმოწოს და მართოს. ის თავის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ცდილობს ბუნების ყოველი სასიცოცხლო ენერჯია, ცრურწმენები, ტრადიციად შეჩვენებული დამახინჯებული დღესასწაულები (ისეთივე შენიღბული, როგორც დედამისის ფერადად შეღებილი ჩიტები, რათა ბაზარში მყიდველი ჭრელაჭრულა უბეზულს მიეზიდა და გაესალღებინა) და ზუზულესი ტექნოლოგიები საკუთარი უკვდავებისთვის გამოიყენოს, თუმცა ერთადერთი, რასაც საბოლოოდ მაინც ვერ იმორჩილებს, დროა, რომელიც მასაც ისევე აქცევს მტვრად და ნაცრად, როგორც ადამიანური მოდგმის ყველა სხვა ნაშვირს. ის გამოგონილი, კრებითი სახეა სულიერად დამახინჯებული, მარტოსული და განწირული ყველა დეტექტივისა. მისი შემოდგომა ლპობისა და სიკვდილის მაუწყებელია.

ლაშა იმედაშვილის პატრიარქი კი ისტორიული პიროვნება, ერის ნამდვილი სულიერი წინამძღოლია. მისი ზაფხული კი ივლისში მის მკვლელობას გულისხმობს. საგულისხმოა ისიც, რომ სათაურით გამოწვეული მკითხველის მოლოდინი არ მართლდება იმ მხრივ, რომ პატრიარქი ამ რომანის მთავარი გმირი არ არის. თუმცა ყველა გზა მისკენ მიიმართება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომანი მკითხველს აუცილებლად უბიძგებს გაეცნოს ამ შესანიშნავი პატრიარქის ნაწერებს, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ისტორიულ დოკუმენტებს.

არსებობს ფსიქოლოგიური კანონი, რომლის მიხედვითაც, დიდსა და აბსურდულ ტყუილებს ადამიანების თვალში მეტი დამაჯერებლობა ენიჭება. ამგვარ ტყუილად იქცა ქრისტიანული სამართლიანობის ელფერი თენილი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომელიც ადამიანური თანასწორობის, სამართლიანობის იდეით ბანგავდა და აბრუებდა ნეოფიტებს, რომელთაც კომუნისტების დეალებს რელიგიურის სანაცვლოდ სთავაზობდა. ეს მით უფრო ითქმის ისტორიის იმ გზაჯვარედინებისთვის,


რომლებიც განაპირობებდნენ არა მხოლოდ კერძო ადამიანების, არამედ ქვეყნების არჩევანს. რაც მეტია არჩევანი, მით მეტია დაბნეულობაც. სწორედ ამგვარი პოლიტიკურ-სოციალური თუ კულტურული წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი, კლასიკოსებთან (ილია, ვაჟა, აკაკი) გამოშვიდობებისა და ახალი ესთეტიკის დამკვიდრების ქართველებით (სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი) და იზმების არნახული სპექტრი (თავისუფალი არჩევნის უფლებები) ხანა.

ლიტერატურასა და ისტორიაში ცნობილია ისეთი დანაშაულები, როდესაც მკვლელობის შთამაგონებელი დაუსჯელნი რჩებიან. მამისმკვლელობასაც მითოლოგიური ძირები აქვს. ერთი თუ კერძო კაცი კლავს მამას, რათა მისი ადგილი დაიკავოს. ილია მოკლეს და საქართველოს „ასახორებლად მარქსიზმს გზა გაუხსნეს“ (სპირიდონ კეცია). კირიონიც ერის მამა იყო, მისი მკვლელობით ერს თითქოს სულიერი განვითარების გზა გადაუკეტეს. ეს მკვლელობა რეალურად წინ უძღოდა საქართველოს მკვლელობასაც, ამგვარი მეტაფორით შეიძლება გავიაზროთ 1921 წელს საქართველოს ძალადობრივი ანექსია. შეიძლება ითქვას, რომ ასრულდა ვაჟა-ფშაველას წინასწარმეტყველება, ილიას მკვლელობის გამო ნათქვამი: „ილიას მკვლელებს, რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“. ვაჟა ვერ მოესწრო თავისი წინასწარმეტყველების ასრულებას, ილიას მკვლელებმა კი საქართველო მოკლეს და 70 წლის მკვდარი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, სამყაროს სამართლიანობის უნივერსალური კანონის ძალით, კვლავ აღორძინდა ლაზარესავით.

ხშირად ჰკონიათ, რომ დიდ ადამიანთა მკვლელობას რაიმე დიადი მიზანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისტორიის არაერთი მაგალითი ამტკიცებს, რომ ეს ასე არ არის. რომანი პატრიარქის მკვლელობის მოტივაციის გამოვლენა ფარდის ხდის ახალი ძალის, სოციალ-დემოკრატიის სულიერ სილატაკესა და გონებრივ უმნიშვნელობას. თავის დროზე ნოე ჟორდანიამ ილიას მკვლელობა ამგვარი ანდაზით გაამართლა: „ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა“. მან ილიას სიცოცხლეს ნაფოტის ღირებულება მიანიჭა და ამგვარად გასცა თავისი ნამდვილი სახე. დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობებს კირიონისაც დავამატა, როგორც დასტური ამქვეყნაზე ბნელი, სატანური ძალის დამადასტურებელი უძლეველობისა.

რომანის კითხვისას მკითხველს კაფკასეული აბსურდის განცდა გაუჩნდება, თითქოს ავტორი მას ადამიანის დაბინდული ცნობიერების ლაბირინთებში ამოგზავნის, სადაც სინათლის რაიმე ნასახი, აზროვნების სახით, არსად ჩანს, არც ლაბირინთის ბოლოს. თხრობა ირონიულ-პაროდულია, პოსტმოდერნისტული ხრიკების თანხლებით, რაც ფარულსა და ზედაპირულ ირონიას, ძველი ტექსტების გადათამაშებას და ამ გზით მიღწეულ არტიტულობას გულისხმობს. ლაშა იმედაშვილის მხატვრული ენა მდიდარი და გამომსახველია. ის დასაძაბსოვრებელ ტიპაჟებს ქმნის და, რაც უნდა აბსურდული იყოს მის მიერ დახატული ამბავი, მკითხველზე ზემოქმედების ძალას ბზარები არ უჩნდება. მას კარგად ეხერხება უმცირესი დეტალების ხატვა, იმგვარებისა, რომლებიც ადამიანის ხასიათის ამა თუ იმ თვისებას სიღრმისეულად გამოკვეთენ. ხანდახან ერთი გონებამახვილური ფრაზითაც ისე შთამბეჭდავად გამოკვეთს პერსონაჟის ბუნებას, სხვას მთელი გვერდები რომ დასჭირდებოდა აღსაწერად და ამგვარი ეფექტისთვის მაინც ვერ მიეღწია.

რომანის პირველსვე ფრაზას შევყავართ უცნაური ლოგიკისა და აზროვნების ატმოსფეროში: „თუკი ცენზურა არ არსებობს, გამოდის, რომ ყველა სიტყვა უცენზურო ყოფილა, საკუთარ თავს გამოუტყვავს პირველი უბნის პროკურორის თანაშემწე, ლეო კიკაბიძე, და მატარებლის ფანჯრიდან თბილისის შემოგარენის



იმ მოსაწყენ სერებს ვახედა, რომელიც მანა ცენზურა არაერთგზის ჰქონდა ნანახი, როდესაც რუსული ცენზურა დაუნდობლად მძვინვარებდა“. ეს საუკეთესო ხერხია იმისთვის, რომ ავტორმა მკითხველი თავიდანვე აიყოლიოს და ბოლომდე არ მოუდუნოს ცნობისმოყვარეობა, რათა ტექსტი სულმოუთქმელად ჩააკითხოს, კომიკურისა და ტრაგიკულის მიჯნაზე, ბენვის ხიდზე ატაროს, ჯერ ფიქრის ორმოებში ჩააგდოს და იქიდან მზერაგახსნილი ამოიყვანოს იმისთვის, რომ ყოფითა და უმნიშვნელო დეტალებს მიღმა სამყაროს ზოგადი და უნივერსალური კანონზომიერებები დაინახოს, „გონება“ ავარჯიშოს, „სულს საზრდო“ მისცეს, „აზრის“ ალბ-მიცემობით“ (ილია) გამდიდრდეს.

მართალია, რუსული ცენზურა აღარ არსებობს, რევოლუციების ქარიშხალმა რუსეთის იმპერია შეარყია და მის ერთ პროვინციულ გუბერნიასაც, საქართველოს სახით, ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ უმეტესობის ცენზურას ხომ დროისა და სივრცის საზღვრები არა აქვს. სწორედ ამგვარი ცენზურის ტყვეობაში აღმოჩნდა ეს ჩვენი პატრიარქის გამოძიებული ლეო კიკაბიძე, რომელსაც იმდენი გამჭრიახობა კი ჰქონდა, ერთი პატარა საქმე როგორღაც გამოეძიებინა. სწორედ ამ საქმემ დაახლოვა ის მწერალ არსენ საგანელიძის ოჯახთან (მწერლის კონდიტერი ვაჟი იხსნა ყალბი ბრალდებისა და შესაბამისი სასჯელისგან). არსენ საგანელიძე კი მალე მის სულიერ მამად იქცა, მან მონათლა თავისი მჭევრმეტყველების ემბაზში და პატრიარქის მკვლელობა შთააგონა. მაგრამ ეს თანდათან მოხდა. ამ თანდათანობაში კი მწერალმა არაჩვეულებრივად დახატა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ყოფა. არსენ საგანელიძისა და ლეო კიკაბიძის დამეგობრების ამბავს, როგორც თხრობის მთავარ მაგისტრალსა თუ საყრდენს, უერთდებიან წვრილ-წვრილი ამბების ნაკადულები, რომლებსაც მოაქვთ ცოცხალ პერსონაჟებთან შეხვედრის ელდა და ის გატაცება, რომელიც მკითხველის წარმოსახვის გაშლას და მოუთხრობელი ამბების თავისი ფანტაზიით შევსება მოსდევს. მწერალი თითქოს მკითხველს გასაღებების აცმულას აძლევს და პერსონაჟთა დაკეტილი გულბისკენ გზას უკვალავს. მხოლოდ ამგვარი მონაწილეობით, იმის განცდით, რომ შენ თვითონ, დამოუკიდებლად ალბ გამოუცნობის კარს, მიიღწევა მხატვრულ ტექსტთან დიალოგის, რეალური ურთიერთობის განცდა.

რომანში კარგად იხატება როგორც არსენ საგანელიძის, მკვლელობის იდეოლოგიის, სახე, ასევე ლეო კიკაბიძის, ერთი პროვინციული გულუბრყვილო, გაუნათლებელი ადამიანისა, რომლის დაუმუშავებელი გონება ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა საგანელიძის შხამიანი მარცვლების აღმოსაცენებლად და გასახარებლად. აბსურდულ-კომიკურია ვაიმედიროსის, უნიჭო, მაგრამ მიზანდასახული, საკუთარ თავში დარწმუნებული არსენისა და უმარტივეს ქეშმარიტებში გაუთვინცობიერი ლეოს დიალოგი სუფრასთან, ერთგვარ საიდუმლო სერობასთან, რომელმაც მთავარი საიდუმლო ბეჭდები დაანახვა მომავალ ადამიან-იარაღს. საგანელიძე

მიხვდა, რომ იოლად შეძლებდა ლეოს ზომბირებასა და მართვას. მართალია, დიდი ჭკუით არც თვითონ გამოირჩეოდა, მაგრამ იმდენი კი შეეძლო, რომ სხვისთვის საკუთარი ზნელი აზრები მოეხვია და ყალბი რელიგიური წარმოდგენების ქსელში გაეხვია.

საგანელიძე, ქამელეონით მოძრავი და ცვალებადი, კლასიკური მედროვის სახეა, ყველა მთავრობას რომ ერგება და მშვიდად განაგრძობს ცხოვრებას. მის მიერ სხვადასხვა ფსევდონიმის არჩევაც მონობდა, რომ ფიქრი იმისკენ ჰქონდა მიმართული, როგორმე მოეტყუებინა რედაქტორები, რათა მისი გონების უბადრუკობას, სიტყვიერ ქსოვილში შეფუთულს, ლექსს, მოთხრობასა თუ პიესას, როგორმე დღის სინათლე ღირსებოდა, მაგრამ ცერბერი რედაქტორები მაინც ცნობდნენ, ამხელდნენ, დასცინოდნენ და ამგვარ შეფასებებსაც არ იშურებდნენ: „ორპირელს: „დედინაცვალი ერთ დღეს გამიწყრა, თავში მირტყამდა“... ამის შემდეგ ხომ არ დაგჩემდათ წერა?“ „აქილესს: უცნაურს ბრძანებთ: „გონიერი ზღვის ტალღებში მძიმე საგანავით იძირება და უმეცარი მწატიეცავით ტივიტივებო, აბა, სცადეთ!“ გულნატკენ საგანელიძეს სჯეროდა და თავის მიერვე გამოთქმული ამგვარი სიბრძნისა: „თანაგრძნობა მუქი გახლავთ, შურს კი დამსახურება უნდა“, ამიტომ ბევრს ეცადა თუ ცოტას, რაღაცების დაბეჭდვა მაინც მოახერხა, მაგრამ, ცხოვრების მართლმსაჯულებას მაინც ვერსად დამალა და „კრიტიკოსმა მოკლა“, რომელმაც ერთ კერძო საუბარში „ერთი-ორი თბილი სიტყვით მოიხსენია და პირდაპირ ასე თქვა: ეს ჩვენი არსენი დიდი შემოქმედებითი იმპოტენციის მქონე მწერალიაო“, „ბატონმა არსენმა ამ ამბიდან ორიოდე კვირაში წერა შეწყვიტა“. მას თავში ვაშლი ან რაიმე მსგავსი რამ არ დასცემია, მაგრამ სათავისო ჭეშმარიტება მაინც აღმოაჩინა, რეგულაციურად განწყობილ მწერალთა რელსებზე გადავიდა.

მწერალს რომანში გამოგონილ პერსონაჟებთან ერთად რეალურნიც შემოჰყავს. მათი სახელების ხსენებით აღწერილ ამბავთა და მოვლენათა დამაჯერებლობის ილუზიას უქმნის მკითხველს.

ლეო კიკაბიძის, პროვინციიდან თბილისში ჩამოსული, სახელისა და საზოგადოებაში ადგილის მოსაპოვებლად მაძიებელი ადამიანის დასახასიათებლად მწერალი შესანიშნავ ეპიზოდებს ხატავს. მაგალითად, კომიკურ-აბსურდულია სიტუაცია, როდესაც სასტუმრო „ენგელტერის“ ევროპულად გამართულ საპირფარეოში განმარტოებული ლეო, იქაური სიწყნარით, სისუფთავითა და სუნამოს სუნით გაბრუებული, ოცნების ხასიათზე დაყენებული, სასტუმროში შეკრებილ რეგულაციონერ, პროლეტარ მწერალთა ხმაშიაღალ სჯა-ბასსა და დისკუსიებს აყურადებს. ისინი მსჯელობდნენ ქართველ მწერალთა წარმატებებსა თუ ბევრ სხვა იდუმალ საქმეებზე, ამიტომ ლეოს მწერალთა ახლო გაცნობის, მათს სამყაროში უფრო ახლოს შეხედვის წყურვილი ჰქონდა. ადამიანებზე, ასე თუ ისე, დაგეშილმა საგანელიძემ კი მაშინვე იყნოსა ლეოს სიბრძნე და გამოცდილი მეძებარივით მიჰყვა საგარეულო მსხვერპლის კვალს.

მთავარი აბსურდი კი მკვლელობის მოტივია — ერთი შეხედვით, დაუჯერებელი და გამაოგნებელი, მაგრამ მხატვრულად დამაჯერებელი და ეპოქის სულისკვეთების, რაობისა და არსის საუკეთესოდ გამომხატველი. ყველაფერი კი იქიდან შეიზადდა, რომ საგანელიძემ ლეოს სუფრეზე დაუჯერებელი საიდუმლო გაუმხილა, თურმე საქართველოს ეკლესია, მისი მღვდელ-მსახურნი, დიდნი და მცირენი, ხალხს არ უმხელენ სიმართლეს, რომ ადგილი აღარც სამოთხეში და აღარც ჯოჯოხეთში აღარ არის. გაკვირვებისგან პირდაღებულ ლეოს საგანელიძე ამ და მსგავს სისულელეს უხვად სჩრის სულსა, გულსა და გონებაში. ისიც ღრუბელივით ყველა სიტყვას შეიწოვს და გამხმარი ყამირივით იჟღინთება მისი არსება ანტირელიგიური სულისკვეთებით. მაინც რა არგუმენტები აქვს საგანელიძეს? მისი აზრით, მართალია, მთავრობა გამოიცვალა, ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეკლესიამ — ავტოკეფალია, უბრალო ხალხისთვის მაინც არავინ არის — მას ტყუილში აცხოვრებენ და მთავარი დამნაშავე ეკლესია და მისი საჭეთმყრობელია (ამ დროს პატრიარქი კირიონ მეორეა, რომელიც აღსაყდრდა 1917 წლის 17 სექტემბერს). კირიონ მეორე დიდი ქველმოქმედი და ეროვნული მოღვაწე იყო, ამიტომაც ეკლესიის შიგნით თუ გარეთ მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. საგანელიძე ასე აბრუებს ლეოს: „სული რომ სამოთხეს მიაკითხავს და ადგილს ველარ იპოვის, რაღა უნდა ქნას?! ჯოჯოხეთს მიუკაკუნებს, მაგრამ ადგილი აღარც იქ დაუხვდება. ისღა დარჩება, უკან დაბრუნდეს და ადგილის ძებნა ბუნებაში დაიწყოს. ბინად ყველაფერი გამოდგება: ხე, ცხოველი, წყალი, სხვა რამ ნივთი. ჩვენი ეკლესია კი ამას უარობს, ჰგონია, რომ საიდუმლოს გულმოდგინედ ინახავს, დაბრმავებულ ხალხს გონებას ურევს და მონობაში ამყოფებს“. ლეოსთვის საგანელიძის ეს ლოგიკა რკინისაა, და შესაბამისად, დაურღვეველი. საგანელიძის მიზანი არა მხოლოდ ლეოს, არამედ მისთანების, ესე იგი, ხალხის ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებაა. ლეოს კითხვაზე: „რომ არ გამოგყენენ, — რომელსაც, ამ შემთხვევაში, საკუთარი ბედ-იღბალი მეტად აღელვებდა, ვიდრე ხალხისა“, საგანელიძემ ქედმოუხრელად უპასუხა: „სხვა რა გზა ექნებათ, ყველა გაითელება, ვინც ახალ ცხოვრებას წინ გადაუდგება!“

ამის შემდეგ ძალიან ცოტა დრო გავა და მოირღვევა ეკლესიათა საუკუნეებს გადარჩენილი გუმბათები, ჩამოიხსნება ჯვრები, გაითელება ხატები და საკურთხევლების ადგილას აბანოები, სპორტდარბაზები, პირუტყვთა თავშესაფრები მოეწყობა ხალხის ბედნიერების სახელით.

ახლა კი ჯერ ისევ ლეოსა და საგანელიძის საუბარს ვუსმენთ, ლეო რა, მხოლოდ მსმენელია, საგანელიძე დავარდნილი ქადაგად. მან არაერთი მაგალითი მოუყვანა ლეოს იმის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, თუ როგორ იტანჯებოდა სამოთხე-ჯოჯოხეთს გარეთ დარჩენილი სულელები, როგორ დაბორილობენ, დახეტილობენ და ხან ვის, თუ ან რას შეესახლებიან. ხოლო „ვოლოდარსკის ნიგნი“, რომელშიც ეს ამბები მოთხრობილი, ეკლესიამ აკრძალა და დაარბია და თუ სადმე მის წამკითხველსაც მიაგნო, თავბედს აწყველინებს. და ამ გაურკვეველ ვითარებაში, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, საგანელიძემ ლეოს, როგორც „რელიგიის პროკურორის“, დანიშნულება და მისია გამოკვეთა. ვითარებას მეტი აბსურდის ელფერი ედება, როდესაც საგანელიძე ლეოს ამ საქმეში ჩახედულ, „ექსპერტ“, ლოთ, წითელი დროშის პირველ ამფრი-ალბელს, ლეონტი არსენიძეს გააცნობს, რომელიც კიდევ უფრო ღრმად ჩაახედებს მას სამოთხისა და ჯოჯოხეთის „გადავსებულობის“ საქმეში. თუ საგანელიძე რელიგიურ-მისტიკური მაგალითების მოხმობას დასჯერდა, ამან ლეოს თავბრუ დაახვია ისტორიისა და მეცნიერების „უეჭველი საბუთებით“.

რომანის სამოქმედო ასპარეზზე კიდევ ერთი პერსონაჟი ჩნდება, ტერორისტ-ექსპოპორიატორი, ამჟამად კი სულით ავადმყოფთა თავშესაფრის ზედამხედველი, იროდიონ ვანიბერიძე, მეტსახელად ახო, რომელთან საუბარში მკვლელობის მთავარი გეგმა და მიმართულება გამოიკვეთება. საგანელიძეს სჯეროდა, რომ ლეო ისე უნდა დაემუშავებინათ, რომ მას მკვლელობა დავალებით კი არა, თავისი ღრმა რწმენით ჩაედინა. პარალელურად, თხრობაში შემოიჭრება ისტორიულ-დოკუმენტური კადრები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. შთამბეჭდავია სოციალ-დემოკრატ კარლო ჩხეიძის საჯარო ლექცია (მან „მარქსისა თუ მარქსიზმის სიყვარულის გამო ნათლობის სახელი ალესანდრე მიივიწყა და ტყვიასავით მოკლე „კარლო“ დაირქვა“).

რომანში ყველაფერი ისეა, როგორც კარგ დეტექტივში. მალე ლეოს მკვდარს იპოვიან. საგანელიძე და მისი მეგობრები ისე მოაწყობენ საქმეს, რომ ეს მკვლელობა სიყვარულის ნიადაგზე თვითმკვლელობად გაასაღონ. თუმცა რომანის ბოლოს მკითხველს კიდევ ერთი შეცბუნება ელის, როდესაც ლეო, მკვდრით აღმდგარი, ანაფორაში გამოწყობილი, მარტყოფის მონასტერში ბერ იობის სახით გამოეცხადება. გამოძიებულთან საუბარში ის ამაყად განაცხადებს, რომ ქვეყანას წურბელა მოაშორა (რა თქმა უნდა, ყველას გაახსენდება ბერბიჭაშვილის ამგვარივე სიამაყე ილიას მკვლელობისათვის). იმასაც გაამხელს, რომ მოკლეული ნამდვილი მამა იობი იყო, მისდა საბედისწეროდ, გარეგნობით ლეოს მსგავსი (მზაკვრობის არსიც ეს იყო, თავიდანვე, პატრიარქთან დაახლოებული, ბერ იობის მსგავსი კაცი მოძებნეს და ეს ლეო აღმოჩნდა), მისნაირად შენიღბული, რათა კვალი თუ თავგზა აერიათ ყველასთვის. ლეომ კი, რეგულაციური იდეით და ხალხისა და კაცობრიობის გაბედნიერების წყურვილით გულანთებულად, ბერ იობის სამოსით, „გულგრილად“ გამოასალმა სიცოცხლეს მწყემსი სრულიად ქართველთა დაბნეულთა ცხვართა. გამოძიებულსა და ლეოს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: „ის მაინც თუ გახსოვთ, როგორ მოკლეთ პატრიარქი? იობი: ოთახში შევიპარე, მძინარეს დავედექი თავს. ზურგზე იწვა, ერთხანს ვაკვირდებოდი, დრო მინდოდა შემერჩია, მერე პირზე ხელი დავაფარე, მარჯვენა ვერდზე ჩავაბრუნე, სროლის ხმა რომ ნაკლები ყოფილიყო და მიჯრით ვესროლე. მიქელაძე: საგანელიძე დაგპირდათ რამეს? იობი: გვარიან გასამრჯელოს და მთავარი პროკურორის ადგილს ნამდვილად განახლებულ საქართველოში. მიქელაძე: თუ ეგრე ნანობდით, მაშინვე რატომ არ განაცხადებთ? იობი: ვინ თქვა, რომ ვნანობ? მნარე მომატყუეს და ის მანუხებს. მიმაგდეს, ხელი არ გამიმართეს, აღარც გასამრჯელო მაღირსეს. თანაც, მე რომ სამოთხე-ჯოჯოხეთის ადგილები შევსებული მეგონა, ეგ ადგილები საერთოდ არ ყოფილა და არც ღმერთი არსებულა ამქვეყნად“. იობ-კიკაბიძე სულიერ ავადმყოფად მიიჩნის და საგიჟეთში მოათავსეს. მართალია, მან საგანელიძე და ამ საქმის სხვა მონაწილენი დაასახელა, მაგრამ ვერავის ვერაფერი დაუმტკიცეს. ბედისა თუ მართლმსაჯულების უკუღმართობით კი, საგანელიძის რეპუტაცია არ შელახულა. როგორი პატივისცემითაც სარგებლობდა სიცოცხლეში, ასევე პატივით დაკრძალეს დიდებულში. ირონიით წერს მწერალი: „ბოლშევიკებმა ლეოს სამსახური არ დაუფასეს, საგიჟეთიდან არ დაიხსნეს, თუმცა კი იოლად შეეძლოთ. ალბათ, იმიტომ, რომ საკუთარი გიჟებიც ბლომად ჰყავდათ და მეტის დამატება აღარ უნდოდათ“. ლეო საავადმყოფოშივე გარდაიცვალა. ავტორი მის აღსასრულს ასეთი მახვილგონივრული შეფასებით აღწერს: „იცხოვრა ისე, თითქოს არც არასდროს მოკვდებოდა, მოკვდა ისე, თითქოს არც არასდროს ეცხოვრა“.

„გემინოდეთ ცხვრის ტყავში გახვეული მგლებისა“. ამ სახარებისეულ შეგონებას, მარადის აქტუალურს, მიუხედავად მარტივი და იოლად შესამეცნებელი სიბრძნისა, გასაოცარია, მაგრამ ადამიანური გონების ყრუ კედლებში მაინც ვერ გაუბზარავს და ტვინის სააზროვნო სივრცეში ვერ შეუღწევია. ამიტომაცაა, რომ ასე თავისუფლად დათარეშებენ ადამიანი-მგლები და საკაცობრიო სიკეთის სახელით უამრავ ბოროტებას ჩადიან. მწერალი, მართალია, მორალისტი არ არის, მაგრამ მის სიტყვას მაინც ნებისმიერი მაღალი ამბიონიდან მქადაგებლის სიტყვაზე მეტი ძალა აქვს. და ერთადერთი, რასაც ვერანაირი მზაკვრული გეგმა ვერ კლავს, ეს მხატვრულ სიტყვაში განხორციელებული სიმართლეა.

იკა ქადაგიძე



ქურანი


ბედნავსი ვარსკვლავები ქურანს დანისლვია, გახედნავს ჟამი, ასე დაყვავებით, შუბლზე დანინკლული სივრცე, როგორც ტყვია, აპობს გალაქტიკებს უძილოდ მზურავს. მე ჩრდილს ბლონდებში ოდესღაც გავები, მზე ვით გაგანბილო, სხივებს ვინ შემოკრებს? და რა ნაუშომღვარო ბედ-იღბლის საურავს? მხრჩოლავ გულს — სვირინგად ჩაფერფილ ურანს... ვინ ჩამოგვირიგა იფქლის ფიქრ-წვიმები, შენ, ზურგის ქარო, ვინ გაგინილიკა? ხორცო, სულთან ახლოს როდის დაზვინდები? რა პირით ვეჩვენო სამყაროს შემოქმედს?! შემოფლეთს სიტყვები საწუთროს ლიობებს იობის ჭრილობა დაუყვავებს ქურანს ეპოქის ჩრდილებთან უდრეკად ვიომებ, ჟამის სისხლს ლექსებით შემოვიბურავ!

პაპოპოტური ოლა

ფერწერის არა, არც მოქანდაკის, პოეტისაა ეს ხისტი მაჯა, მზერა მზვობრად ცივი, ლატაკი, ლექსს ტიტულად რომ შემოიხარჯავს. გულჯავრიანი კაცის მზაობა, დროს ხარჭადაც რომ ვერ დაენევი, სახელის ხვეჭის ჟინმა დასცადა, არ სჯერა უფლის ჩუმი შენევის. საკუთარ ჩრდილის ჭიპში მომწყვდეულს ორეულების დარდი აღურსმავს, ბიბლიად სახავს ის თავის რვეულს, ემპაქს ადრიან, უღვიოდ გალურსულს სწადაა გმირის მჭახე მანტია, შეულახავი გვირგვინი დაფნის, ბრბომ მას დუმლი თუ აპატია, სიტყვას უფალსაც სხარტად აწანის! ფერმწერის არა, არც მოქანდაკის, პოეტისაა ეს ხისტი მაჯა, მზერა ჯალამის, უნდო, ზვადაგი, ლექსს ტიტულად რომ შემოიხარჯავს!

ქვიშის სიმღერა

ქვიშას ვრწყავ შენს ძარღვებში დაუვიწყარ ბინდბუნდით, დაო, ვინ ხარ? გიმწყაზარებს წუთისოფლის მუნდირი. წყავთან ჩამუხლული ღიმილით სადაო, მტერი უფრო ვახსოვარ, და... მუზას ვუნდივარ. მუზა მეფერვლება ქვიშას პროფილებად, მომანიჭე შეძლება თავს არ მოვუფრთხილდე! მზე აგიფრთხილო, გულში ქვიშა ვზარდო, დრო-წუთისოფლის მუნდირი ვფერთხო. დაუმარცხებელ სიმღერად გავცოცხლდე, მუზას რომ ვუნდივარ, დამინდე, ღმერთო!





სევდა სიკვდილზე უღმობელად შემოიტოტებს,
დამარხოს სიღრმის შუქ-ფარები ის ურჩევნია!
ვილაცა ამბობს, მტერს მოვწონვარ თურმე ძალიან,
ამორძალია, მზე დალია, მეც ვეომები.
მოარჯულდება ხელნაკეთი ოქროს გალია,
ფიქრობენ გულში უღიმელოდ ეს მეგობრები!

ყვავილას სარინადა

ჩემი ხმა რომელი ყვავილის სურნელებს ასხივებს?
ხრამს მიღმა კენტად მზერანალრძობ ქვიშას ცა აჰკიდე?
სივრცის და მიწის გასაყართან ავიცდა კიბე...
ჰაერგაუმტარ ქონგურებზე ვერ ჰპოვე კიდე,

უხმოდ დულს უცხო სიახლოვე, ცრემლმალაქიტებს
ვერ გაექცევი ციცარივით, ცარცის წრე გვიცავს.
მაინც რამდენგზის მოვუძღვავებთ დარდს დედამიწას?!

ჩემი ხმა რომელი ყვავილის სურნელთა
ლიმილს გადაიკრავს?
მომნუსხველ ხმის ტემბრით მიაბობ უსრული
უდაბნოს უტყვე იგავს,
ფიქრს მიაქვს ტიბრი, თუმც მკვიდრი ვარ ქვიშის
და... პროფილი სფინქსს მიგავს,
ვერაფრით მელევი, უხმოდ გმობ სანუთროს,
ვინც შემოგვირიგა.
ჩემი ხმა რომელი ყვავილის სურნელმა ისესხა?
ქვიშის ლავგარდანზე სისხლად იფურცლება
უქრობი ქრისტეს ცა.
ბნელს ჩასცა ლახვარი კალამმა, შიშით რომ ზვერავენ,
ჩვენ შორის წყვილია ვერ დაამცობს ვერაგად ვერავინ!

მარსიანს

თქვენ ბუნებიდან განდევნილი ლომის
მწუხრი გზრავთ, მარსიან,
რჩეულს მოინიშნავს ელჭექის სახრე,
დრომ სოდომ-გომორი მოინება,

სიყალბის ნახერხით
საუკუნეებს ბოროტგანმზრახველნი ჩამომარცვლიან!
მჭვირვალი ბგერების კოსმიურ მწვერვალებს,
დრო თუ არ გახელდა, ვინ შემოიმტერებს?
დგახართ სიმარტოვის ურღვევ საწნახელთან,
ჯვარცმული ლექსის სისხლს
იღბალი-ცალხელა ხარბად შეიფერებს.

სულით ობლობის ლიტურგია
ტყვიის დახლასავით უკურნებელია,
ბრავო ბელზებელს!

ჟამი გადალევკავს უძრავი ლომკაცის მისტიკურ სიბერეს...
ყური არ ათხოვთ თალხი ბედისწერის ავყია სიბილეს,
უღირსმა მღიღებმა
სანუთრო უჟამოდ თუ შემოიბილნეს,
მაშინ დაიგრგვინეთ, დუმილი ბასრია,
ლომის გაბრძოლება დროს შეზანზარებს ნავსიანს,
რჩეულ უთვისტომოს დიდება დადაფნავს,
გახსოვდეთ, მარსიან!
უმეგობრობა
უმეგობრობის გაუსაძლისი სასჯელიდან სიტყვა იშვება.
გულზე დამანვა ლოდი იობის.
გაჯელებულ შენიშვნებად დრო იმშუშნება...
ისქანდერ მუნის ქრონიკასავით იშლება
ჟამი შებოჭილობის.

ცის ჭილოფზე ჭინკა ნებიერობს.
სად გულთმისნობს სევდის ბივრილი?
მზე დაეყუდა ორპირთა წინკარს.
მე ვკითხულობ ღიმილით რუდაქს
ფარისეველთა რისხვად ხმობილი.
მტრებზე მეტად მეგობრების სიძულვილს ვიმიკი,
მშვიდობის მტრედის როლზე რადგან ვერ დამამტკიცეს.
მიპყრობს გოია, არ მიზიდავს მონასში მუნკის,
და ამ მუნინ დროებაში გული კვლავ მიცემს!



იკა ქადაგიძე

ალგემატაჰი

ალგემატები, ჰოი, რარიგ ალგემატები,
მაინც გავარღვევ დროის ბარიკადს,
ჩემებურად მომენატრები,
სიამაყისთვის უზომოდ მსჯიან ცრუ მენადები...
ალგემატები
სიმართლით, რისხვით, სიკეთით თუ შემწყნარებლობით,
შენ მემართლები,
რადგან ასეთი დაუთმობელი
ამბოხების ცეცხლში ვეფლობი,
დასადუმებლად სივრცეებშიც რომ არ მეყოფა...

ალგემატები,
სიშორითაც ალგემატები,
ლექსის ძარღვებში განასკვული სიმარტოვითაც.
ჩვენი ეპოქის სისხლკორომში დაგეკარგები,
დაფნის გვირგვინზე მეტად მიხმობს
რადგან კორიდა!

ალგემატები,
სინაზითაც ალგემატები,
სიზიფეს ტვირთით დაკბილული
დასაცინად არ მემეტება,
წინათ შენს ფიქრში ვკამკამებდი თავგამეტებით,
ახლა შენს მიღმა მადმერთებენ
სულ სხვა მეტრები!

ალგემატები, ვაჰმე, რარიგ ალგემატები,
არ გიხმობ, კენტად ველექსები დროის ბარიკადს.
ჩემებურად მომენატრები,
ოდესმე ჟამსაც გამოვაცლი იცი არაქათს!
დავთმე,
უზომო სიმართლისთვის დამენანები,
არ მემეტები უსახელო უხმო ტარიგად,
სიამაყისთვის დუმილით მსჯიან ცრუ მენადები.
სიკვდილზე დიდი წყევლაა რომ ალგემატები!

ჩემი სიმღერა

რაც თავი მახსოვს, ყველაფერი წინ მელობება:
სქესი, ასაკი, ხასიათი, მრწამსი თუ ქცევა.
მხოლოდ წყენასთან და ტკივილთან დამეგობრება,
რაც სხვისთვის ფასობს, მხოლოდ ჩემთვის არ შეიძლება!

რაც თავი მახსოვს, მტერ-მოყვარე მე მეტოქება,
ქომაგობისთვის შიშნული ბრაზით მშხამავენ.
სისხლად მიჯდება სხვისი ბრძოლის მძიმე მოგება,
მადლიერიც კი არ დამრჩება ბოლოს არავინ.

რაც თავი მახსოვს, გულს ობლობა ჩაეკონება.
და არასწორი არჩევანის ჩრდილი შეიპყრობს.

შემომისწარი ბედისწერის ავსულ სონეტად,
არ გამარიდე წუთისოფლის უფსკერო საფლობს!

რაც თავი მახსოვს, ყველაფერი წინ მელობება
დაცინვის ჩრჩილი აგვირგვინებს ტრიუმფს თუ რკენას.
ყველა მერჩის და ბედისწერის მიერ დასჯილი
ასეთი რომ ვარ, მთელი გულით ვუმაღლი ზენარს!

ულანოში

ულანოში გამოეღვიძა ჩემს თავისქალას,
— „მე ვარ გავროში!“ — დამკვივის ქარი, სიკვდილის ძიძა,
მზეს არ ვპატიობ სანუთროს ღალატს ქვიშაუძლომელს,
გალაქტიკებს უნდა ვუძლოდე!
ამ საუკუნეს არ ვგავარ, რომელს
წაართვეს ღმერთის სხივმდინარება.
არ მენანება უალქაჯო სივრცის თალები,
ხელაღებით ნასამართლები დედამიწა
გულისფიცარზე მესამანება და... დრო მდარაჯობს.
ქვიშაუძლომელ თავისქალაზე გაცურდება
ღრუბლების კანჯო.

აჯობებს გზად არ შემეფეთო,
სიმარტივეში გამოტანჯული ჩემი სისხლი
უმალ დაგიტანს ქვიშაუძლომელ რუკაზე, სადაც
გავფოთლე სულის სიუცხოვე,
გალაქტიკებს წინ მივუძლოდე!
ულანოში გამოეღვიძა ჩემს თავისქალას
ქვიშაუძლომელს,
გავროშის სისხლი საუკუნეს დააჩნდა რომელს?
ქვიშაუძლომელ თავისქალაზე სახრჩობელები
ლექსის დაღვინდა.

მინამე ერთგზის.
ჩემი ხელები ჯვარცმულ მზეს ზიდავს ქვიშის თალიდან!

ამბოჯანე

ვილაცა ამბობს, მტერს მოვწონვარ
თურმე ძალიან,
ამორძალია, მზე სცალია და ვემონები.
აივსო ეჭვის, მძვინვარების, შურის თალია,
მინდა მტერივით მიწყალბდნენ დღეს მეგობრები!
ვილაცა ამბობს, თემიდასთან დადო პირობა,
სიტყვაძვირობა ვერ ისწავლა, დასანანია
და ეს ცხოვრება უსახელო ჭორის ნალია,
არ მეორდება, ძილ-ღვიძილის სამძიმარია.
ვილაცა ამბობს, შფოთის მიღმა ცოდვა-ბრაღია,
შემომალა ხელში წამის თოთო მჭიდები,
მტერს მე ვჭირდები, სულს მიბერავს,
როგორც მკვდარ ფოთოლს,
ჩემს ხელისგულზე უიღბლოთა სამართალია!
ვილაცა ამბობს, თავს მიხედოს, ის ურჩევნია,
ბავშვივით ფურცლავს ნოტებს ბახის, იქნებ ჩერნია,

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004